# საქართველოს რესპუბლიკა

პარასკევი, 10 დეკემბერი, 2004 წელი. №286 (5015) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, * ფასი 50 თეთრი


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



## ნომერში წაიკითხავთ:


**საქართველოს ჰიმნიც გაარემიქსეს?!**



რა სურთ და რის გაკეთებას აპირებენ ახლახან შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში დაფუძნებული ეროვნული კულტურის შენარჩუნებისა და განვითარების ცენტრ „ოროველას“ მესვეურნი, ან რამ უკარნახა მათ ამგვარი ცენტრის შექმნის იდეა. ამას სიმონ ბალახაძის წერილით შეიტყობთ.

მე-4 გვ.

**კარგი სპექტაკლის დადგმა თურმე სხვენშიც შეიძლება**



იცით სად მდებარეობს პლასტიკის თეატრი „სხვენი?“ წაიკითხეთ საუბარი ამ თეატრის დამაარსებელ, სახელმწიფო პანტომიმის თეატრის ყოფილ მსახიობ გიორგი გომურაშვილთან და ბევრ, ძალიან ბევრ საინტერესოს შეიტყობთ ამ თეატრის შესახებ.

მე-5 გვ.

**ქალი ციხეში**



საქართველოში ქალთა საპატიმრო დაწესებულება მხოლოდ თბილისშია. იგი 250 ადგილზეა გათვალისწინებული და სადღეისოდ იქ მხოლოდ 90 მსჯავრდებულია. მაინც რას სჩადიან ან რა ჩაუდენიათ ქალებს ისეთი, თავისუფლება რომ ციხის კედლებზე გაუცვლიათ?

მე-6 გვ.


◎ პრეზიდენტი

# ჭორო, საიდან მოდიხარ?

**საქართველოს პრეზიდენტი გუშინ აჭარაში ჩავიდა. მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ კმაყოფილია აჭარის მთავრობის ხელმძღვანელის ლევან ვარშალომიძის მუშაობით და არანაირი საკადრო ცვლილებები რეგიონში ამ ეტაპზე არ იგეგმება.**

— ჩამოვედი, რომ ვნახო, რა სამუშაოები ჩატარდა ბოლო პერიოდში აჭარაში. ვარშალომიძის მუშაობით კმაყოფილი ვარ, — განაცხადა პრეზიდენტმა და გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ლევან ვარშალომიძეს თანამდებობაზე ედვარდ სურმანიძე ჩაენაცვლება, „ჭორი“ უწოდა.

აჭარაში ჩასულმა მიხეილ სააკაშვილმა პირველად უკრაინიდან ჩამოყვანილი ახალი ავტობუსები ნახა, რომლებიც ქედაში, შუახევში, ხელვაჩაურში და ქობულეთის რაიონის რამდენიმე სოფელში იმოძრავებს.

ამის შემდეგ პრეზიდენტი ბათუმის საკოლმეურნეო ბაზარში შეხვდა მოვაჭრეებს და ქედა-ბათუმის სამარშრუტო ავტობუსით ბათუმი-ქობულეთის ავტომაგისტრალიც მოინახულა.

**ინტერ-პრესი.**

◎ გაერო

# ადამიანის უფლებათა დაცვა – უზენაესი მიზანი

## გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის განცხადება



ყოველწლიურად, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე შეგვახსენებს ჩვენს საზოგადოებაში და მთელ მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებულ პრობლემებს, აგრეთვე იმ უდიდესი ძალისხმევის შესახებ, რაც ჯერ კიდევ საჭიროა ადამიანის უფლებათა დასაცავად.

განათლების დონის ამაღლება ადამიანის უფლებების საკითხებში ამგვარ ძალისხმევათა უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რაც ითვალისწინებს მომავალ თაობათა აღჭურვას მათი განუყოფელი უფლებების ცოდნით, რათა შეძლონ მათი განხორციელება და დაცვა. ამ უფლებებში იგულისხმება ჯანმრთელობის, განათლების, კვების, თავშესაფრის, ქორწინებისა და ოჯახის შექმნის, საზოგადოებრივი ცხოვრების, ხელშეუხებლობის, დაუსაბუთებელი დაკავებისა და პატიმრობისგან დაცვის უფლებები — ანუ ადამიანისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უფლებები.

იხ. მე-2 გვ.

◎ რეპლიკა

# მაშ, ჟურნალისტებმა კვლავაც მხოლოდ ვწეროთ და თავადვე ვიკითხოთ?!

## არც ისეა საქმე, ბატონო დავით, თქვენ რომ გგონიათ!

**„საქართველოს რესპუბლიკის“ 3 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა ჩემი წერილი „საპატრულო პოლიცია თავის სახეს იძენს“, რომელშიც ზოგადად ამ ახალშექმნილი სტრუქტურის მუშაობის პირველ დადებით შედეგებზეც იყო საუბარი და მისი ზოგიერთი წარმომადგენლის, კერძოდ, მაიორ დავით ნიკოლეიშვილის შეუფერებელ საქციელზეც.**

შესაძლოა ეს ასეც მოხდება, რადგან ნიკოლეიშვილის მსგავსი სამართალდამცველები განსაკუთრებული თავდაჯერებულობით გამოირჩევიან.

საკითხავია, რატომ და ვისი იმედით?

ზემოხსენებული მასალის გამოქვეყნებამდე ერთმა კეთილისმსურველმა მირჩია, ის რეპლიკა არ დამებეჭდა



ვინ წაიკითხა წერილი და ვინ როგორ აღიქვა მასში აღნიშნული ფაქტები თუ ჩემი ჟურნალისტური პოზიცია, ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ამ დაწესებულების ზოგიერთ მუშაკს და პირადად გაკრიტიკებულ მაიორ ნიკოლეიშვილს ნამდვილად რომ ვერ გაუკეთებიათ საჭირო დასკვნა, ფაქტია.

ამა წლის 7 ნოემბერს, კვლავაც რომ გადაიკვეთა ჩვენი გზები, ცოტა არ იყოს, ამრეზით შემხვდა: რამდენიც გინდათ, წერეთ და იკითხეთ, ბუზსაც ვერავინ ამიფრენთო, — განმიცხადა. — საპატრულო პოლიციას გრძელი ხელები აქვს, არ გინდა, მასეთი ხალხისგან შორს დაიჭირე თავი, შარი არ მოგდონო.

დავით ნიკოლეიშვილის პოზიციით თუ ვიმსჯელებთ, ეს მართალი ყოფილა, მაგრამ დავიჯერო, რეფორმირებული საპატრულო პოლიციის ზოგიერთი წარმომადგენელი კვლავაც ვერ შეელია ყოფილი ავტოინსპექტორებისთვის დამახასიათებელ ჩვევებს?

**დავით ასკურავა.**

***რედაქციისგან:** საპატრულო პოლიციის გამოჩენა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და დადებითი მოვლენა რომ არის, ფაქტია. უკვე იგრძნობა კიდეც მისი საქმიანობის სასიკეთო შედეგები. მაგრამ თუ მაინც გამოვაქვეყნეთ კრიტიკული შენიშვნა, მხოლოდ იმიტომ, რომ ნამდვილად არ გვინდა, ანდაზისა არ იყოს, წვეთმა კუპრმა კასრი თაფლი გააფუჭოს.*

*ამ სასიკეთო სიახლეზე — საპატრულო პოლიციის კარგ მუშაობაზე — გვინდოდა ჩვენი გაზეთითაც გვეუწყებინა მკითხველთათვის, გამოგვეჩინა ის ადამიანები, ზოგჯერ საკუთარი სიცოცხლის ფასადაც რომ იცავენ ჩვენს უსაფრთხოებასა და სიმშვიდეს, მაგრამ გასაოცრად მოულოდნელ წინააღმდეგობას წავაწყდით — სანამ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი გურამ დონაძე არ დაგვრთავს ნებას, საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელებსაც და რიგით თანამშრომლებსაც ჟურნალისტებთან ურთიერთობა აკრძალული გვაქვსო (?!)*

*არ გვინდა, ჩავეძიოთ ამ აბსურდულ აკრძალვას, მაგრამ ერთი კითხვა ძალაუნებურად მაინც იბადება: თუ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ეთერით სისტემატურად გადის გადაცემა საპატრულო პოლიციაზე, რომლის ტიტრებშიც მუდამ ფიგურირებს სიტყვები „გურამ დონაძის პროექტი“, რატომ არ შეიძლება, რომ ამ „პროექტით“ სხვა ჟურნალისტებმაც „ააშენონ“ საკუთარი სატელევიზიო გადაცემები თუ საგაზეთო მასალები საპატრულო პოლიციაზე?*

*იმედია, ვისგანაც ჯერ არს, ამ საკითხებს დროული ყურადღება მიექცევა.*

◎ ვატყობინებთ პრეზიდენტს

# ქვეყნის საზარალოდ გათამაშებული მრავალთაგან ერთი ფარსი,

## ანუ ამბავი იმ ქარხნის 101 ათას დოლარად გაყიდვისა, რომლის საამქროშიც, სხვა დანარჩენს რომ თავი დავანებოთ, უკვე იდგა 2 მილიონ დოლარად ღირებული ახალთახალი კატარღა. რით არ არის ეს საქვეყნო ინტერესების ღალატი?



**ამ ოცდაათი წლის წინათ, უფრო სწორად, 1974 წლის ზაფხულში ჟურნალ „დროშის“ რედაქტორმა გიორგი ნატროშვილმა მითხრა, დავბერდი კაცი და ქართველებს თუ გემთსაშენი ქარხანა გვქონდა, არ ვიცოდიო... და გაზეთი „იზვესტია“ გაშალა, რომელშიც უცხო კონფიგურაციის მქონე ხომალდის სურათი იყო გამოქვეყნებული. ნახე, რა წყალქვეშა ფრთიან კატარღებს აშენებენო ფოთში, — დასძინა.**

მისი დავალებით ჩავედი ფოთში, გავეცანი გემთმშენებელთა საქმიანობას. ვისაუბრეთ და იმავე წლის № 8 ჟურნალ „დროშაში“ დაიბეჭდა ჩემი ნარკვევი „კომეტა ფრთებს შლის“. ცდა არ მოვაკელი და გემთმშენებლების წარმატებები სათანადოდ წარმოვაჩინე. შემდეგაც გულგრილად ვერ ჩავუვლიდი ხოლმე ამ ქარხანას და მოვხვდებოდი თუ არა ფოთში, აუცილებლად მოვინახულებდი. მახარებდა მისი კოლექტივის წარმატებები. ღირსების შესაბამისად ხოტბას ვასხამდი მათ ნახელავს. გემთმშენებლობა მართლაც შლიდა ფრთებს. აქაური პროდუქცია, იაპონიიდან მოყოლებული, აზიისა და ევროპის მრავალ ქვეყანაში იყიდებოდა. მეტიც, „კომეტამ“ და „კოლხიდამ“ საერთაშორისო გამოფენებზეც გაითქვეს სახელი და ოქროს ორი გრან-პრიც დაიმსახურეს.

აღარაფერს ვიტყვი იმის თაობაზე, თუ რა დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ამ ქარხანას ქვეყნისთვის და რას მოუტანდა იგი თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოს. ამ შემთხვევაში ბევრს ვერაფერს დავსძენ, რადგან დამოუკიდებელი ქვეყნის სტრატეგიული ობიექტებისადმი ზერელე დამოკიდებულება, სამწუხაროდ, დღესაც დიდ პატივშია.

ამ ორიოდე თვის წინათ ჩვენი გაზეთის მთავარმა რედაქტორმა მკითხა, ვიცნობდი თუ არა ფოთს და, კერძოდ, გემთმშენებელ ქარხანას...

ვაი რომ, ვიცნობდი, ვაი რომ...

იხ. მე-3-4 გვ.

◎ დღე

***ამ ახალი რუბრიკით გამოქვეყნებულ მასალებს, ცხადია, სულაც არ ექნებათ ყოველი განვლილი დღის მანძილზე მომხდარი მოვლენების სრულფასოვანი განხილვა-გარჩევის პრეტენზია (თუნდაც მათი მოცულობისა და იმის გათვალისწინებითაც, რომ სწორედ ამ საკითხებს ეძღვნება გაზეთის სხვა პუბლიკაციებიც). ეს, ცხადია, უმთავრესად იქნება მცდელობა იმისა, რომ მკითხველის ყურადღება მივაპყროთ გაზეთის მორიგი ნომრის გამოსვლის წინა დღეს მომხდარ ზოგიერთ მნიშვნელოვან ფაქტსა თუ მოვლენას. მხოლოდ და მხოლოდ ეს.***

# მედია თუ მედეა?

გუშინდელი დღე პირადად ჩემთვის, და დარწმუნებული ვარ, ბეჭდვითი მედიის სხვა წარმომადგენლებისთვისაც საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერის კაბინეტში გამართული შეხვედრით იყო მნიშვნელოვანი. იგი გუშინწინ ბატონ მიხეილ სააკაშვილის მიერ პრესისთვის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქების თაობაზე გაკეთებული განცხადებისა და მისი დავალების შესაბამისად შედგა.

— ჩვენი, როგორც დემოკრატიული მთავრობის ინტერესი არის, რომ, — განაცხადა გუშინწინ საქართველოს პრეზიდენტმა, — პრესა იყოს თავისუფალი და მკითხველს აწვდიდეს თავისუფალ ინფორმაციას. ამის ერთადერთი გზა არის ეკონომიკური თავისუფლება, რათა იყოს პოლიტიკური თავისუფლებაც. სხვაგვარად პრესა იძულებული გახდება, რომ ვიღაცას მიეყიდოს. ბიუჯეტი პრესის ხარჯზე არ უნდა ივსებოდეს...

მიხეილ მაჭავარიანი, ზურაბ ნოღაიდელი, მარიკა ვერულაშვილი და მედეა ახალკაცი პრეზიდენტის დავალებით როგორც აღვნიშნე, გუშინ შეხვდნენ კიდეც გაზეთების მთავარ რედაქტორებსა და ჟურნალისტებს.

იხ. მე-2 გვ.

◎ ინფორმაცია

**ხელი მოაწერეს მემორანდუმს**

**გუშინ ბრიუსელში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა და რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მირჩა დან ჯოანამ ხელი მოაწერეს „თანამშრომლობის მემორანდუმს საქართველოსა და რუმინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის სფეროში“.**

**მემორანდუმი ითვალისწინებს ორმხრივი თანამშრომლობის გაძლიერებას ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის სფეროში, მიზნად ისახავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორული ურთიერთობების წარმატებულ განვითარებას და ნატოში საქართველოს შესაძლო გაწევრიანების მხარდაჭერას.**

**1 მაისიდან „03“ უფასო იქნება**

**თბილისის მერიამ გუშინ სასწრაფო სამედიცინო დახმარება „03“-ს „მერსედესის“ ტიპის ორი ახალი რეანიმობილი გადასცა. ეს მუნიციპალური სასწრაფო სამედიცინო დახმარების ისტორიაში რეანიმობილის ტიპის ავტომობილების არსებობის პირველი პრეცედენტია.**

**ახალი რეანიმობილების გადაცემას შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, თბილისის ვიცე-პრემიერი ირაკლი თოდუა**



**და მერიის ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელობა დაესწრნენ.**

**გუშინვე სასწრაფო დახმარების ახლადგარემონტებულ სათავო ოფისს ქალაქის მთავრობამ ფაქსის 15 აპარატი და 10 კომპიუტერი გადასცა.**

**როგორც ჯანდაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა განაცხადა, სამინისტროს მიერ შემუშავებული პროექტის თანახმად, 1 მაისიდან ქვეყნის მასშტაბით სასწრაფო სამედიცინო მომსახურება უფასო იქნება. გარდა ამისა, 1 მაისამდე მერია სასწრაფო სამედიცინო დახმარება „03“-ს კარდიოგრაფიის 35 აპარატს გადასცემს.**

**მცირე პროექტების დასაფინანსებლად**

**გერმანიის მთავრობა 2005 წელს საქართველოში მცირე პროექტების დასაფინანსებლად 40 000 ევროს გამოყოფას გეგმავს. ამის შესახებ „ინტერ-პრესს“ გერმანიის საელჩოში განუცხადეს.**

**დიპლომატიური წარმომადგენლობის მონაცემებით, წლეულს გერმანიის მთავრობამ საქართველოს 39 250 ევრო გამოუყო, რომელიც განათლების, სოციალური პოლიტიკისა და ეკონომიკის სფეროებში განხორციელებული 6 მცირე პროექტის დაფინანსებას მოხმარდა. მსგავსი პროექტების განსახორციელებლად მომავალი წლისთვის გერმანიის მთავრობა იმავე რაოდენობის ფინანსური დახმარების გამოყოფას გეგმავს.**

**ინტერ-პრესი.**

◎ კანონმდებლები

# აიწონა-დაიწონა პარლამენტში

## რამდენი კილოგრამი შენიშვნა დარჩა რომან გოცირიძეს საგადასახადო კოდექსის მიმართ?

**გუშინ პარლამენტმა მეორე მოსმენით მიიღო საგადასახადო კოდექსი. ისევე, როგორც სამშაბათს, ვიცე-სპიკერს თხოვნა უწევდა — დარბაზი არ დატოვოთ, საგადასახადო კოდექსი უნდა განვიხილოთ და კენჭი ვუყაროთო. ოღონდ გუშინ მიხეილ მაჭავარიანმა განსაკუთრებულად რევერანსული ტონი შეარჩია — უმორჩილესად გთხოვთო.**

**ფინანსთა მინისტრის მოხსენება მხოლოდ იმ საკითხებს შეეხო, რომლებიც სამშაბათის შემდეგ შეაჯერეს პარლამენტმა და მთავრობამ.**

იხ. მე-2 გვ.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

„ვრემია ნოვოსტეი“, 9 დეკემბერი.

# გიორგი ბარამიძე: „თავი არ უნდა მოვიტყუოთ იმით, თითქოს დსთ-ს ფარგლებში რაიმე წყდებოდეს“

***იანვარში** ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოში გახსნის სამხედრო დახმარების ახალ პროგრამას. საქართველო-რუსეთის თანამშრომლობა კი აშკარად მოიკოჭლებს. ამის თაობაზე, საქართველოში „ვრემია ნოვოსტეის“ საკუთარ კორესპონდენტს მიხეილ ვიგნანსკის ესაუბრება თავდაცვის მინისტრი **გიორგი ბარამიძე.***

**— ორი წლის განმავლობაში ამერიკელებმა საქართველოში უკვე მოამზადეს ოთხი კონტრტერორისტული ბატალიონი, გამოყვეს რა ამ მიზნებისთვის 64 მილიონი დოლარი. რატომ იჩენს შეერთებული შტატები საქართველოსადმი ასეთ ინტერესს?**

— ჩვენს სამხედროებს ამზადებენ ერაყში სტაბილურობის შენარჩუნებისთვის გამიზნულ ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად. ამისთვის გამოიყოფა დაახლოებით 60 მილიონი დოლარი. მაგრამ ჩვენთვის არ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რამდენს დახარჯავენ ამერიკელები. ჩვენთვის მთავარია, რამდენი კარგად მომზადებული ჯარისკაცი გვეყოლება.

ამერიკელთა დაინტერესება კი მარტივად შეიძლება აიხსნას. საქართველო, რომელიც აქტიურად ზრდის ტემპს, თანამშრომლობს შეერთებულ შტატებთან. ჯერ იყო და ერაყში გავგზავნეთ 158 სამხედრო. ახლა კი 300 ქართველი სამხედრო მსახურობს ბააქუბში, ბაღდადიდან ჩრდილოეთით 60 კილომეტრზე. ჩვენ გამოვთქვით სურვილი, რომ გავგზავნოთ კიდევ უფრო მეტი — 850 კაცი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა, ამით ჩვენ საერთაშორისო კოალიციის ყველაზე მსხვილ მონაწილეებთან ერთ რიგში ვდგებით. ამერიკელები ამას უყურადღებოდ არ ტოვებენ. პარალელურად საქართველო იღებს იმ სამხედრო-ტექნიკურ დახმარებასაც, რომელიც ძალზე გვჭირდება იმისთვის, რომ ჩვენი არმია ჩამოყალიბდეს ნატოს სტანდარტების შესაბამისად.

**— ამ პროცესში თურქებიც მონაწილეობენ?**

— დიახ, მალე დაიდება შეთანხმება, რომლის მიხედვითაც თურქეთი 2005 წელს მოგვიმზადებს ქვეით ჯარისკაცებს. ეს იქნება მთლიანად დაკომპლექტებული ბრიგადა, რომელიც ახალციხესა და გორში განლაგდება.

**— რატომ განაცხადეთ უარი ნოემბრის დამლევს მოსკოვში დსთ-ს ქვეყნების თავდაცვის მინისტრების შეხვედრაში მონაწილეობაზე? ეს არ გაინტერესებდათ?**

— ჩვენ ძალზე გვსურს მოსკოვთან საუბარი. მაგრამ ეს უკეთესია მოხდეს უშუალო დიალოგის გზით. არ ღირს თავის მოტყუება იმით, თითქოს დსთ-ს ფარგლებში რაღაც წყდებოდეს, მით უმეტეს — რუსეთის თანხმობის გარეშე. ეს ფორმატი ვერ მოქმედებს. უფრო ნაყოფიერი იქნება თანამშრომლობა ორმხრივ საფუძველზე.

იხ. მე-2 გვ.

## ინტერპანორამა

**უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ გენერალური პროკურორის გენადი ვასილიევის თანამდებობიდან გადაყენების ბრძანებას ხელი მოაწერა**



51 წლის გენადი ვასილიევი უკრაინის გენერალური პროკურორის პოსტზე 2003 წლის 18 ნოემბრიდან მუშაობდა. უპარტიო გენპროკურორი უმაღლეს რადაში იყო. იგი 2002 წელს დეპუტატად დონეცკის მხარის საარჩევნო ოლქიდან აირჩიეს.

**გერმანიაში საბრძოლო თვითმფრინავი „ტარანდა“ ჩამოვარდა**

წინასწარი ინფორმაციით საუბარია გამანადგურებელ „ტარანდაზე“, რომლის ბორტზე, სავარაუდოდ, ეკიპაჟის ორი წევრი იყო. მათი ბედი ჯერჯერობით უცნობია. პოლიცია და სამხედრო მოსამსახურეები სამძებრო-სამაშველო ოპერაციებს ახორციელებენ.



**2050 წლისთვის დედამიწის მცხოვრებთა ნახევარი ინგლისურად ალაპარაკდება**

მომავალი ათწლეულების განმავლობაში 2 მილიარდი ადამიანი დაიწყებს ინგლისური ენის შესწავლას და 3 მილიარდი ამ ენაზე ილაპარაკებს, ამტკიცებენ ინგლისელი მკვლევარები, რომლებმაც კომპიუტერული მოდელის გამოყენებით შეძლეს მსოფლიოში ინგლისური ენის სწავლებასთან დაკავშირებული გამოკითხვების შეფასება.

CYAN MAGENTA YELOOW BLACK

საქართველოს რესპუბლიკა
№ 286, პარასკევი, 10 დეკემბერი, 2004 წელი.

⊙ კანონმდებლები

# აიწონა-დაიწონა პარლამენტში

(პირველი გვერდიდან)

– კოდექსის პროექტიდან ამოიღება ომბუდსმენის ინსტიტუტი; სანქციას არ ერიცხება საურავი; საგადასახადო კოდექსის მიზნებისთვის დაზუსტდება ოჯახის განმარტება; დამატებითი ღირებულების გადასახადისგან გათავისუფლდება ინვალიდთა ეტლების საბურავებისა და მარაგნაწილების, აგრეთვე, სმენის აპარატების იმპორტი...

რაც შეეხება მიწის გადასახადების განაკვეთებს, ის არ იცვლება, მაგრამ კანონპროექტში გათვალისწინებულია შენიშვნები, რომლებიც აგრარულმა კომიტეტმა გამოთქვა და რაც სოფლის მეურნეობაზე ზრუნვის გამოხატულებად მიიჩნევა. ამის გამო თავისი მადლიერება გამოხატა კომიტეტის თავმჯდომარემ გია ხევიაშვილმა და ალტერნატივები მოხსნა.

ცოტაოდენი ხნით ადრე, სანამ ზურაბ ნოღაიდელი გამოვიდოდა მოხსენებით, ერთი მნიშვნელოვანი საკითხიც გადაწყდა – პრესა თავისუფლდება მოგებისა და ქონების გადასახადებისგან.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ რომან გოცირიძემ მოხსენება თავისი სიამაყის გამოხატვით დაიწყო.

– მე შემიძლია სიამაყით ვთქვა, რომ ჩვენ გვექნება ძალიან კარგი, ჯანსაღი ეკონომიკური გარემოს შექმნის ხელშემწყობი საგადასახადო კოდექსი. ერთ-ერთი პრობლემა ქონების გადასახადი იყო. საბოლოოდ, ასე შევთანხმდით: ავტომობილების იმპორტის დაბეგვრა იმ რეჟიმში დარჩა, რომელსაც მოითხოვდა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი და რომელსაც პარლამენტართა უმრავლესობა უჭერდა მხარს. ავტომობილების იმპორტი დაიბეგრება ძრავის მოცულობისა და ავტომანქანის წლოვანების მიხედვით. ექვსი და მეტი წლის ავტომბილებზე კი თითქმის ძველი რეჟიმი გავრცელდება. ახალი ავტომანქანების იმპორტი ძვირდება, მაგრამ ეს ასატანია, ხელს არ შეუშლის ამ სახის ბიზნესის განვითარებას, თანაც, დამატებითი ფისკალური ეფექტი ექნება ბიუჯეტში თანხების მობილიზების სახით. რაც შეეხება ავტომანქანების დაბეგვრას ქონების გადასახადით, რჩება 5 ლარი წელიწადში ექვსი და მეტი ხნის ავტომობილებთან მიმართებაში. ახალი ავტომანქანები კი განსხვავებული, ეტაპობრივად გაზრდილი რეჟიმით დაიბეგრება. მაქსიმალურია 300 ლარი წელიწადში (ეს ეხება უახლეს ჯიპებს, რომელთა ღირებულება 40 ათასი დოლარი და მეტია). სადავო იყო ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული არაეკონომიკური დანიშნულების ქონების გადასახადიც. შევიმუშავეთ ახალი ვარიანტი. ქონების გადასახადით მხოლოდ ის ოჯახი დაიბეგრება, რომლის წლიური შემოსავალი 40 ათას ლარს აღემატება. ასეთი ოჯახების რიცხვი კი, სამწუხაროდ, ჯერჯერობით მცირეა.

ჩემდა გასაკვირად, სხდომათა დარბაზში 150-ზე მეტი დეპუტატი იმყოფებოდა და საგადასახადო კოდექსის შეჯერებული მუხლების ვარიანტს ჩაჰკირკიტებდა. გვიან შემოსულმა გიორგი ასანიძემაც გადაავლო მას თვალი წუთით (როგორც ჩანს, ოლიმპიური ჩემპიონისთვის ესეც საკმარისია).

მოხსენების დასასრულ რომან გოცირიძე პრესის დაბეგვრას შეეხო. დარჩა მხოლოდ ორი გადასახადი – საშემოსავლო და სოციალური.

– ეს ის გადასახადებია, რომლებითაც შემდეგ ჟურნალისტების საპენსიო ფონდები ფორმირდება (მომავალში, როცა დაგროვებით სისტემაზე გადავალთ). ბუნებრივია, ამ გადასახადების გაუქმება უფრო მეტად ჟურნალისტების საწინააღმდეგო აქცია იქნებოდა, ვიდრე პრესისთვის მხარდაჭერა.

სხვათა შორის, ეს ინიციატივა, რომელიც პრესიდან წამოვიდა, პარლამენტში „მემარჯვენეებმა" წამოაყენეს, თუმცა, საბოლოოდ, პრეზიდენტს ჩაეთვალა. „მემარჯვენე" მანანა ნაჭყებიამ აღნიშნა კიდეც, ეს ჩვენი წინადადება იყო, სხვათა შორის, ბატონი ნოღაიდელი ამას დემაგოგიად თვლიდა, მაგრამ პრეზიდენტი დაგვეთანხმა, რასაც მივესალმებითო. ისიც დასძინა, ოღონდ საქმე გაკეთდეს და ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს, ვისი სახელი დაერქმევაო.



მართალია, ვიცე-სპიკერმა არაკორექტულობის შიშით პასუხის გაცემის ნება არ დართო ზურაბ ნოღაიდელს, მაგრამ მან მაინც მოასწრო ეთქვა – ნურავინ დაიბრალებს იმ შეღავათებსა და გადაწყვეტილებებს, რაც პრეზიდენტმა მიიღო. ასეთი კორექტულობა კი მიკროფონის გამორთვის მუქარამ აიძულა.

რომან გოცირიძემ ასეთი გადასარევი საგადასახადო კოდექსის შემუშავებისთვის მადლობა გადაუხადა პრეზიდენტს, მთავრობას, პარლამენტარებსა და ექსპერტებს. ბესო ჯუღელმა გაკვირვება ვერ დამალა იმის გამო, რომ ბატონმა რომანმა ცალკე არ მოიხსენია ზურაბ ქვანიას ღვაწლი. ამას ბატონმა რომანმა ჟესტებით უპასუხა – მთავრობაში ვიგულისხმეო.

დათო ბერძენიშვილი კი სხვა რამის გამო გაოცდა.

– კოლეგებო, ვერ გავიგე, რა გვაქვს ერთმანეთისთვის მისალოცი. 6 თვით გადაიდო დამატებითი ღირებულების გადასახადის ისედაც არცთუ ძალზე მნიშვნელოვნად შემცირების ტენდენცია. ეს წინსვლას ნამდვილად არ ნიშნავს.

არადა, წინსვლა რომ არის, ეს ბატონ რომან გოცირიძეს სასწორით აუწონია. სამადლობელო ჩამონათვალის შემდეგ მან ერთი მაგიური სიტყვით მიიპყრო კოლეგების ყურადღება:

– სიურპრიზი!

თუ გახსოვთ, ერთი თვის წინათ კანცელარიაში გაბერილი, მძიმე ჩანთით მივდიოდი და შეხვედრილ ჟურნალისტებს ვუთხარი, საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებით 12 კილოგრამი შენიშვნა მაქვს-მეთქი.

ამის შემდეგ სიურპრიზის მოლოდინში გაფაციცებული დარბაზის თვალწინ პატარა სასწორი ამოიღო და ზედ ჩანთა ჩამოჰკიდა.

– საგადასახადო კოდექსი იმდენად გაუმჯობესდა, რომ ჩემი ტვირთი 24-ჯერ შემცირდა. ნახეთ, მხოლოდ 0,5 კილოგრამს იწონის.

მე, პირადად, აქამდე მოუთმენლობის ნიჭით დაჯილდოებული რამდენიმე პოლიტიკოსი მეგულებოდა (მაგალითად, შალვა ნათელაშვილი). ახლა კი თავის ნიჭიერებაში ამ კუთხითაც დამარწმუნა ბატონმა რომანმა. გახალისებულმა პარლამენტარებმა ტაში დაუკრეს, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კი თავისი გამოსვლა ასე დაასრულა:

– შეიძლება, ვინმემ თქვას, ესეც ბევრიაო, მაგრამ ეგზიუპერის სიტყვებს მოვიშველიებ – სრულყოფილი არაფერია ქვეყნად.

მართლაც, ასეა!

**რუსუდან გახარია.**

# ბაზარს ყველაფერი არ უნდა „გავაბაზრებინოთ"

## ასე მიაჩნიათ „მემარჯვენეებს" და სახელმწიფოს როლის გააქტიურებას თვლიან საჭიროდ

***გუშინ პარლამენტში „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონპროექტის მეორე მოსმენით განხილვისას „მემარჯვენე ოპოზიციამ" პროტესტის ნიშნად დარბაზი დატოვა. პარლამენტის განათლების კომიტეტის ინიციატივით, „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონპროექტის პირვანდელ ვარიანტში სერიოზული ცვლილებები შევიდა, მაგრამ „მემარჯვენე ოპოზიცია" აღნიშნულ კანონპროექტს მაინც აკრიტიკებს და მის განხილვაში მონაწილეობის მიღებაზე უარს აცხადებს. მოგეხსენებათ, „მემარჯვენეებმა" ალტერნატიული ვარიანტიც წარმოადგინეს, რომელიც პარლამენტში კენჭისყრისას ვერ გავიდა. ისინი აცხადებენ, რომ განათლებას ზუსტად ის დაფინანსება დარჩა, რაც ჰქონდა. სერიოზული შენიშვნები აქვთ უმაღლესი სასწავლებლების მართვის სისტემასთან დაკავშირებით და სხვა.***

**ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ** კანონპროექტით, უმაღლესი სასწავლებლის მართვის ორგანოებია: სენატი, აკადემიური საბჭო, რექტორი და კანცლერი. ოპოზიციის აზრით, ეს არის რომელიღაც ქვეყნის რომელიღაც უმაღლესი სასწავლებლის მართვის მოდელი, რომელიც ჩვენს ტრადიციებს ვერაფრით ვერ მოერგება. ამასთან, „მემარჯვენეებს" უმაღლესი განათლების სისტემის საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადაყვანა დაუშვებლად მიაჩნიათ.

**მანანა ნაჭყებია, ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციის" წევრი:** „ყველა საერთაშორისო კონვენცია, რომელიც დღეს განათლების სფეროში მოქმედებს, გვეუბნება, რომ არამც და არამც არ შეიძლება სახელმწიფომ განათლების სისტემის მართვა საბაზრო ეკონომიკას გადაულოცოს და ეს პროცესი თვითონ არ მოაწესრიგოს. განათლება კონსტიტუციურადაც არის სახელმწიფოს პრეროგატივა. როგორ შეიძლება ბაზარს მივანდოთ იმის დადგენა, გვყავდეს თუ არა ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის, ქართული ენისა და ლიტერატურის, ქართული კულტურის ისტორიის სპეციალისტები... შესაძლოა, საქართველოში ამდენი უმაღლესი სასწავლებელი საჭირო არ იყოს, მაგრამ ეს უნდა გააკეთოს არა ბაზარმა, არამედ სახელმწიფომ. სახელმწიფოს აქვს მექანიზმი, თვითონ გადაწყვიტოს, რამდენი უმაღლესი სასწავლებელი სჭირდება. ეს ყველაფერი კი რეალურ გათვლებს უნდა ეფუძნებოდეს".

„მემარჯვენეების" აზრით, ამ კანონპროექტის მიხედვით უმაღლეს სასწავლებლებს ავტონომიურობის ნიშანწყალი აღარ რჩება. განათლების ხარისხის ასამაღლებლად გამოსავალს იმაში ხედავენ, რომ სახელმწიფო ენდოს უმაღლეს სასწავლებლებს, ხელი შეუწყოს მათ, ხელშეწყობა კი, უწინარესად, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებით, დაფინანსების გაზრდით უნდა გამოიხატოს. „მემარჯვენეების" აზრით, უმაღლესი სასწავლებლების საბიუჯეტო დაფინანსებიდან მოხსნა დაუშვებელია. მიაჩნიათ, რომ მათ სასწავლო გრანტთან ერთად საბაზო დაფინანსება უნდა დარჩეთ.



„მემარჯვენე ოპოზიცია" აცხადებს, რომ განათლების სამინისტროს განათლების სისტემის რეალური ხედვა არა აქვს. უფრო მეტიც, მათი თქმით, რეფორმის ავტორებს უნდათ, უცხოეთიდან გადმოიტანონ და ჩვენთან დანერგონ რაღაც, რასაც ჩვენს ქვეყანაში არანაირი საფუძველი არ გააჩნია.

ასეთია „მემარჯვენეების" აზრი. არადა, პარლამენტის განათლების კომიტეტის ინიციატივით, „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონპროექტში სერიოზული ცვლილებები შევიდა, რითაც იგი დეპუტატთა უმრავლესობისთვის მისაღები გახდა. განათლების, მეცნიერებისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ დავით ზურაბიშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონპროექტი ძალიან ნორმალურია და იქ მხოლოდ დეტალებზე შეიძლება დავა წავიდეს". რაც შეეხება „ზოგადი განათლების შესახებ კანონპროექტს", ზურაბიშვილის აზრით, იგი თვისებრივად უნდა შეიცვალოს. საქართველოს განათლების მინისტრის ალექსანდრე ლომაიას განცხადებით კი „უნიკალურმა პოლიტიკურმა ვითარებამ" განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საშუალება მისცა, რომ განათლების რეფორმასთან დაკავშირებით რადიკალური ღონისძიებები განეხორციელებინა. მინისტრის თქმით, ეს რეფორმა 1992 წელს რომ დაწყებულიყო, ეს ამ სფეროში მნიშვნელოვან წინსვლას გამოიწვევდა. თუმცა, ის, რომ ორივე კანონპროექტი შეიცვლება და თავდაპირველი სახით არ იქნება მიღებული, ეს არც მინისტრის დამსახურებაა და არც პარლამენტის განათლების კომიტეტის. უპირველეს ყოვლისა, ეს ჩვენი საზოგადოების დამსახურებაა, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ პროცესები ნორმალურად წარმართულიყო.

**მზია გელენავა.**

⊙ გაერო

# ადამიანის უფლებათა დაცვა – უზენაესი მიზანი

(პირველი გვერდიდან)

დღეს, გენერალური ასამბლეა პლენარულ სესიაზე შეაჯამებს გაეროს ადამიანის უფლებათა განათლების ათწლეულის (1995-2004) შედეგებს და განიხილავს რეკომენდაციას ადამიანის უფლებათა განათლების მსოფლიო პროგრამის გამოცხადების თაობაზე.

პროგრამის განხორციელების პირველ ეტაპზე (2005-2007) ყურადღება დაეთმობა დაწყებით და საშუალო განათლებას, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხების სასწავლო პროგრამებში ჩართვას, განათლების პროცესის შეცვლას და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სასწავლო გარემო პირობების გაუმჯობესებას.

განათლება ადამიანის უფლებათა საკითხებზე უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ სკოლის გაკვეთილი ან დღის თემა – ეს არის ადამიანების იმ უნარჩვევებით აღჭურვის პროცესი, რომლებიც მათ დაეხმარება უსაფრთხოდ და ღირსეულად ცხოვრებაში. ადამიანის უფლებათა დაცვის ამ საერთაშორისო დღეს, მოდით, ერთად ვიბრძოლოთ მომავალ თაობებში ადამიანის უფლებათა კულტურის დანერგვისა და განვითარებისთვის; ყველა ქვეყანაში თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მშვიდობის მისაღწევად.

**10 დეკემბერი, 2004 წ.**

⊙ დღე

(პირველი გვერდიდან)

შეხვედრა ჟურნალისტებისთვისაც და, ვფიქრობ, მთელი საზოგადოებისთვისაც, კარგი შედეგით დამთავრდა – ბეჭდვითი მედია დამატებითი ღირებულებისა და სოცანარიცხების გადასახადების გარდა ყველა დანარჩენი გადასახადისგან გათავისუფლებულია.

დიდი მადლობა ამისთვის!

მთელი საზოგადოება რა შუაშიაო? – შეიძლება იკითხოს ვინმემ.

შუაშიც არის და თავშიც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეკონომიკურად ვინმეზე დამოკიდებული და ვინმეს მიყიდული მედია ვერასოდეს იქნება ჭეშმარიტად თავისუფალი, დემოკრატიული და ობიექტური. იგი ამ შემთხვევაში ძალიან იოლად შეიძლება გარდაიქმნას რომელიმე თანამედროვე მსუბუქი ყოფაქცევის მედეად (მაპატიოს ამ სახელის მატარებელმა ყველა მანდილოსანმა, რადგან „მედეაში", იოლი მისახვედრია, ზოგადად ქალი იგულისხმება), რომელსაც რომელიმე ასევე თანამედროვე „იაზონი" „ოქროს საწმისთან" ერთად, ან ამ „საწმისის" საფასურად, ჭეშმარიტად თავისუფალი სიტყვისა და აზრის საზიანოდ, იყიდის.

## დაჰკითხავენ ედუარდ შევარდნაძეს?

**ᲘᲧᲝ** კაცი, ათწლეულების მანძილზე შრომობდა, ოფლს ღვრიდა, ოჯახსაც არჩენდა და გარკვეულ დანაზოგსაც ინახავდა „შავი" დღისთვის შემნახველ სალაროებში. რაღა კაცი, ლამის მთელი საზოგადოება ასე იყო.

ერთ მშვენიერ დღეს კი მისი დანაზოგიდან პრაქტიკულად არაფერი დარჩა – შესანახად მიბარებული ათასების ნაცვლად კაპიკებიღა მიუგდეს „მგლებმა".

და სწორედ 1992-93 წლებში მოქალაქეთა ანაბრების გაუფასურებისა და ამ პროცესში ვანო ჩხარტიშვილის შესაძლო მონაწილეობის შემსწავლელმა საპარლამენტო ჯგუფმა შესაძლოა, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე დაკითხოს.

ეს გადაწყვეტილება ჯგუფის წევრებმა სწორედ გუშინ, თავიანთ პირველსავე შეკრებაზე მიიღეს. მათი აზრით, ექსპრეზიდენტის გარდა უნდა დაიკითხონ მაშინდელი პრემიერ-მინისტრიც, ფინანსთა მინისტრიც და ზოგი სხვა იმდროინდელი ხელმძღვანელი მუშაკიც.

იქნებ მოეფინოს კიდეც ნათელი ამ ბურუსით მოცულ საკითხს.

## ჩვენ რომ აკადემია გვეგონა...

**ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ** გუშინდელ პლენარულ სხდომაზე ოპოზიციის ლიდერმა დავით გამყრელიძემ თანამდებობიდან ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის ემზარ ჯგერენაიას გათავისუფლება მოითხოვა ამ უკანასკნელის მიერ ერთ-ერთ საგაზეთო პუბლიკაციაში ქართული სუფრის „ჰომოსექსუალიზმის აქტად" მოხსენიების გამო.

მართლაც, რამდენად აქვს **ეროვნული** ბიბლიოთეკის დირექტორობის მორალური უფლება ადამიანს, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ქეიფისა და თამადობის მოყვარულს, რომელიც ქართულ სუფრას, აქამდე აკადემიად რომ მივიჩნევდით, „ჰომოსექსუალიზმის აქტად" მიიჩნევს?

მართლაც, „ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?"

ერთმა „ქართვლის დედას" ფიალისა და ხმლის ნაცვლად (მაპატიოს მკითხველმა ამ სიტყვებისთვის) ფალოსი და საშო დააკავებინა, მეორემ თამარ მეფეზე „წაიკაიფა", მესამემ „ვეფხისტყაოსანს" „გადაუარა", ახლა ქეთევან წამებულსაც სურთ შეეპოტინონ ბინძური კალმითა და ზრახვით...

ღმერთო ჩემო, ამაზე მეტი დაცემა იქნება? შეიძლება, ასეთი რამ ჭეშმარიტმა ქართველმა არამცთუ დაწეროს, თუნდაც აზრად გაიელოს?!

თუმცა მგლის თავზე სახარების კითხვას ვისთვის და როდის დაუყრია ხეირი, მე რომ გამომივიდეს!

ამიტომაც მორალის უაზრო კითხვას შევეშვები, კვლავ **ეროვნული** ბიბლიოთეკის „ეროვნულ" დირექტორს დავუბრუნდები და ერთი დიდებული, მართლაც ეროვნული პოეტის მიერ ჭეშმარიტად ერისკაცისადმი მიძღვნილი ლექსის ტაეპსღა მოვუხმობ მცირეოდენი პერიფრაზირებით: მცხეთას ხომ არ მიბრძანდებით, ჯგერენაია ბატონო?

ქეიფი გყვარებიათ და, მოგეხსენებათ, მცხეთაში, მტკვრის პირას, შესანიშნავი რესტორნებია. იქ წაიქეიფეთ თქვენს მიერ ჰომოსექსუალისტებად მონათლულ ქართველებთან ერთად, რომლებიც, თუ თქვენს „აღმოჩენას" გააცნობთ, ამისთვის სათანადოდ „მოგეფერებიან" და დარწმუნდებით, ქართული სუფრა მართლაც „ჰომოსექსუალიზმის აქტია", თუ სხვა რამ!

**აზო შელია.**

⊙ უმაღლესი სკოლა

# წინასაარჩევნო „მოთელვა" სახელმწიფო უნივერსიტეტში

***ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ორი თვეა, რაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესი ურექტოროდ მიმდინარეობს. ამის პარალელურად, უნივერსიტეტის რექტორობის კანდიდატთა აქტიურობაც არ ნელდება. ზოგიერთმა სხვადასხვა მიზეზის გამო საკუთარი კანდიდატურა უკვე მოხსნა. 13 დეკემბერს დიდი საბჭოს 198 წევრს არჩევანის გაკეთება დარჩენილი ხუთი კანდიდატიდან მოუწევს. ბევრმა მათგანმა საკუთარი კანდიდატი უკვე შეარჩია, ნაწილი კი გაფაციცებით ადევნებდა თვალს გუშინ უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში კანდიდატთა შორის გამართულ დებატებს. კანდიდატები კი პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა მოიწვიეს. მართალია, მოსაწვევი ხუთივე კანდიდატს გაეგზავნა, მაგრამ დარბაზს მხოლოდ ოთხ მათგანთან შეხვედრის საშუალება მიეცა, რადგან ქალბატონმა რუსუდან ლორთქიფანიძემ, როგორც დარბაზში აღნიშნეს, დებატებს თავი აარიდა.***



**ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲛᲐ** უპირველესად მათ მიერ შემუშავებულ გეგმებზე ისაუბრეს. **მიხეილ ქურდიანი** რექტორობის კანდიდატად ფილოლოგიის ფაკულტეტმა წარადგინა. მის სამუშაო გეგმაში ძირითადი ყურადღება რეფორმებზეა გამახვილებული. მისი აზრით, უნივერსიტეტი ეს არის განუყოფელი ერთობა პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისა, ამ ორივე ნაწილმა უნივერსიტეტში ისე უნდა იგრძნოს თავი, როგორც საკუთარ სახლში და მათ უნდა იცოდნენ, რომ თითოეული მათგანის ხმა არასოდეს დაიკარგება.

საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტმა რექტორობის კანდიდატად **ლარისა ყორღანაშვილი** წარადგინა. მის გეგმაში ყურადღება ეთმობა სასწავლო-მეთოდურ მუშაობას, სამეცნიერო-კვლევით მუშაობას, ფინანსების მართვას, ნაკლოვანებებთან ბრძოლას, საგარეო ურთიერთობებსა და ა.შ. მისი თქმით, ყველაფერი აგებულია სტუდენტებისთვის საერთაშორისო დონის განათლების მისაღებად, მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მოსამზადებლად და სამეცნიერო პროდუქტის შესაქმნელად.

**ლერი ქურდაძე** რექტორობის კანდიდატად ფიზიკის ფაკულტეტმა წარადგინა, იგი ძირითად პრიორიტეტად სასწავლო პროცესის სათანადო დონეზე უზრუნველყოფას მიიჩნევს, რათა უნივერსიტეტი უახლოეს მომავალში მსოფლიო დონეზე გავიდეს. ქურდაძე მიიჩნევს, რომ აღნიშნულის უზრუნველყოფა შესაძლებელია ნორმალური დაფინანსებითა და რეფორმების განხორციელებით.

ფსიქოლოგიის ფაკულტეტმა რექტორობის კანდიდატად **გუგული მაღრაძე** წარადგინა, რომელიც დღესდღეობით პარლამენტარია, რექტორობის შემთხვევაში კი მას პარლამენტარის მანდატის დატოვება მოუწევს. იგი რექტორობის შემთხვევაში სტუდენტებს ბაგების სტუდქალაქის გარემონტებას დაჰპირდა, რათა რაიონებიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს ბინის ქირის გადახდა აღარ უწევდეთ. მისი თქმით, სასწავლო გეგმები აუცილებლად უნდა მოწესრიგდეს, რათა სტუდენტებს უკეთესად სწავლის საშუალება მიეცეთ.

დარბაზში ხელისუფლების მისამართით ნათქვამი არაერთი ფრაზა ისმოდა. პროფესორ-მასწავლებელთა ნაწილის აზრით, უნივერსიტეტის რექტორი ხელისუფლებას უკვე დანიშნული ჰყავს. მათი თქმით, უნივერსიტეტი არ არის ზოოპარკი და არ შეიძლება მისი დირექტორი ისე დანიშნო, რომ მის ბინადართ არაფერი ჰკითხო.

დარბაზში ხმაური გამოიწვია განათლების ახალი კანონპროექტის განხილვამ. რექტორობის ერთ-ერთი კანდიდატი გუგული მაღრაძე დამსწრე საზოგადოებას კანონპროექტის დადებით მხარეებზე ესაუბრებოდა და პროფესორ-მასწავლებლებსა თუ სტუდენტებს უმტკიცებდა, რომ მისი ამოქმედების შემთხვევაში ბევრი რამ მათ სასიკეთოდ შეიცვლებოდა. თუმცა აღნიშნა ისიც, რომ პარლამენტის იურიდიულმა დეპარტამენტმა უნივერსიტეტის შენიშვნები განათლების ახალ კანონპროექტთან დაკავშირებით არ გაითვალისწინა.

დარბაზში მყოფი ახალგაზრდების სიხარული მიხეილ ქურდიანის იმ განცხადებამ გამოიწვია, რომ სახელმწიფომ 1997 წელს ხელი მოაწერა ლისაბონის კონვენციას, რის შემდეგაც მათი დიპლომი მისაღებია ყველა სახელმწიფოსთვის, რისი გარანტიც სახელმწიფოა და არა ახალი კანონპროექტი. ასე რომ, კანონპროექტს მიიღებენ თუ არა, ამის მიუხედავად ახალგაზრდებს ევროპისკენ გზა ხსნილი აქვთ.

პროფესორ-მასწავლებლებს არ დაავიწყდათ, რომ 9 დეკემბერი სოროსის დაბადების დღეა, ან რატომ უნდა გამორჩენოდათ ეს თარიღი, მისი წვლილი ხომ დღევანდელობაში დიდია?

გუშინდელი დღე უნივერსიტეტისთვის გადატვირთული აღმოჩნდა. მცირე სააქტო დარბაზში სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის ავტორს, პოეტ დავით მაღრაძეს შეხვდნენ. პოეტმა საკუთარი პოეზიიდან არაერთი ახალი თუ ძველი ლექსი წაიკითხა. უპასუხა სტუდენტთა მიერ დასმულ შეკითხვებს. ახალგაზრდებს იმაშიც გამოუტყდა, პოეტი რომ არ ყოფილიყო, აუცილებლად რომელიმე დაწესებულების ღამის დარაჯი იქნებოდა. პოეტი საქართველოს პარიზს ადარებს, რადგან, როგორც თავად აღნიშნა, საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ყველაზე კარგად პარიზს იცნობს.

**ლელა ხვადაგიანი.**

⊙ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# გიორგი ბარამიძე: „თავი არ უნდა მოვიტყუოთ იმით, თითქოს დსთ-ს ფარგლებში რაიმე წყდებოდეს"

„ვრემია ნოვოსტეი",
9 დეკემბერი.

(პირველი გვერდიდან)

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ჩვენ აღარ დავესწრებით ასეთ შეხვედრებს. უბრალოდ, ამ შემთხვევაში ჩვენ ვერ დავინახეთ რაიმე პერსპექტივები საქართველოსთვის. რა საჭირო იყო დროის ამაოდ ხარჯვა? თუ გაიმართება დსთ-ს ფარგლებში ისეთი შეხვედრები, რომლებზეც რაღაც გადაწყდება საქართველოს სასარგებლოდ, – ჩვენ მივიღებთ მონაწილეობას.

**– რას ფიქრობთ რუსეთთან სამხედრო თანამშრომლობის დონეზე?**

– არის წარმატებები ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის ობიექტების გადმოცემის საქმეში. გასულ თვეში ჩვენ მივიღეთ 15 ასეთი ობიექტი. ეს მნიშვნელოვანია, მაგრამ, სამწუხაროდ, თანამშრომლობა ნელი ტემპით ვითარდება.

ჩვენ გვეხმარებიან ამერიკელები, თურქები, სხვები. ჩვენ დიდი მადლიერებით მივიღებთ დახმარებას რუსეთისგანაც. მაგალითად, დასავლეთში, უკრაინაში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში ჩვენ უსასყიდლოდ გვიმზადებენ სამხედრო კადრებს. თუ რუსეთიც მზად არის იგივე მოიმოქმედოს ასეთივე პირობებში, ვისარგებლებთ ამ შემოთავაზებით, აქ არანაირი პოლიტიკური პრობლემა არ იქნება. მაგრამ რუსები გვეუბნებიან, რომ ამისთვის ფული უნდა გადავიხადოთ, ჩვენ კი ამის შესაძლებლობა არ გვაქვს. შეიარაღებას ჩვენ საჩუქრად ვიღებთ. რუსეთმა კი ისიც არ დაგვიტოვა, რაც საქართველოს ეკუთვნოდა სსრ კავშირის დაშლის შემდეგ. არადა, რუსეთს უხვად აქვს მოჭარბებული იარაღი. იქ ხომ მიმდინარეობს არმიის რიგების შემცირება. მაგრამ რუსეთი იარაღს გვაწვდის არა ჩვენ, არამედ სეპარატისტებს. ამიტომაც დიდი მეგობრობა რუსეთთან ჯერჯერობით არ გამოგვდის, თუმცა, ჩვენ უკეთესი მომავლის იმედი გვაქვს. ჩვენ და რუსეთს მრავალი საერთო ინტერესი გვაქვს – ეს არის ბრძოლა ტერორიზმისა და აგრესიული სეპარატიზმის, ორგანიზებული დამნაშავეობის, იარაღით, ნარკოტიკებით ვაჭრობის წინააღმდეგ, ეკონომიკური კავშირურთიერთობის განმტკიცება.

**– კვლავ ძალაში რჩება თბილისის წინადადება მოსკოვთან ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრის შექმნის შესახებ?**

– რუსეთს აქვს უფლება, მოითხოვოს ამ რეგიონში უშიშროების გარანტიები, მის ხელთ არის ვითარებაზე ზემოქმედების ბერკეტები. ამიტომ, ისეთი ანაქრონიზმის ნაცვლად, როგორიც არის ბაზები, რომლებიც სამხედრო თვალსაზრისით, არაფერს წარმოადგენენ, გარდა იმისა, რომ ტვირთად აწვებიან რუსეთის ბიუჯეტს, შევთავაზეთ შეგვექმნა მოქნილი, მობილური სტრუქტურა – ანტიტერორისტული ცენტრი. ჩვენ მზად ვართ ასეთი ერთობლივი ცენტრი შევქმნათ თბილისში, შესაძლოა მისი ფილიალი გაიხსნას ბათუმშიც. ეს არის რეალური, გულწრფელი წინადადება, რომელიც ჩვენს საერთო ინტე-



რესებს ითვალისწინებს. მაგრამ, რუსეთის პოლიტიკაში ჯერჯერობით დომინირებენ ძალები, რომლებიც ასე ფიქრობენ: ოღონდ საქართველო არ იყოს დალხინებული, და არა უშავს, თუ ჩვენც გაგვიჭირდება ამის გამო. ჩვენ პარტნიორობისა და მეგობრობის მომხრე ვართ. მაგრამ სადღეისოდ რუსეთი, პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და ფინანსური თვალსაზრისით, ეხმარება სეპარატისტებს და დიდ ზიანს აყენებს საქართველოს სახელმწიფოს.

**– მალე საქართველოში გაიხსნება ნატოს ოფისი, რომელშიც იმუშავებს ალიანსის სპეციალური წარმომადგენელი. როდისთვის არის შესაძლებელი საქართველოს გაწევრიანება ნატოში?**

– შეიძლება რეალურად ვილაპარაკოთ 2007 წელზე. ეს ამბიციური, მაგრამ რეალურია, თუ რეფორმები არმიასა და საზოგადოებაში განხორციელდება ამჟამინდელი ტემპით. მაშინ ჩვენ შეიძლება მოვემზადოთ იმისთვის, რომ ნატოს სამიტზე საქართველოს მიიწვევენ ალიანსში.

**– იმ დროისთვის რუსეთის სამხედრო ბაზები გატანილი უნდა იყოს ქვეყნის ტერიტორიიდან?**

– აქ აუცილებელი კავშირი არ არსებობს. ჯერ კიდევ ნატოს ყოფილი გენერალური მდივანი ჯორჯ რობერტსონი აცხადებდა, რომ ვერანაირი ბაზები ან მოუგვარებელი კონფლიქტები ვერ შეუქმნის დაბრკოლებას საქართველოს ალიანსში გაწევრიანებას, თუ ქვეყანა ამისთვის მზად იქნება. იქნებ, რუსეთში მიაჩნდათ კიდეც, რომ საქართველოში სამხედრო ბაზების, ან კონფლიქტების ზონების შენარჩუნება შეაფერხებს ჩვენს შესვლას ნატოში, მაგრამ ეს ასე არ არის. იმედი მაქვს, რომ ჩვენ ამ პრობლემებს ნატოში გაწევრიანებამდე გადავჭრით. თუ ვერ მოვასწრებთ, ამას მოგვიანებით გავაკეთებთ. მაგრამ თუ რუსეთი კვლავაც დაუჭერს მხარს სეპარატიზმს სამხრეთ კავკასიაში, ჩრდილოეთ კავკასიაშიც ვერ იქნება სიმშვიდე. ეს ბუმერანგია, რომელიც მას აუცილებლად დაუბრუნდება. გახსოვთ, შამილ ბასაევი – აფხაზეთის გმირი!

**მოამზადა
სიმონ კილაძემ.**

⊙ ვატყობინებთ პრეზიდენტს

# ქვეყნის საზარალოდ გათამაშებული მრავალთაგან ერთი ფარსი

(პირველი გვერდიდან)

იქ ჩასულს პირველად ანეკდოტის მსგავსი ამბავი მიამბეს: ქარხნის გაყიდვის სავაჭრო გარიგების სხდომას კორეელი ახალგაზრდა კაცი ესწრებოდაო — ვითომცდა კორეული ფირმა „ჰიუნდაის" შვილობილი ფირმის წარმომადგენელი. სხდომის შემდეგ გამართულ ალა-ფურშეტზე კი აღმოჩნდა, რომ კორეელი კიმი ბათუმში ყოფილა დაბადებული და გაზრდილი, რომელსაც წარმოდგენაც არ ჰქონდა, რას საქმიანობდა „ჰიუნდაი" და, მით უმეტეს, მისი შვილობილი თუ „შვილიშვილი" ფირმა.




ფარსის გამთამაშებელთა ეს ამბავი და ბევრი სხვა რამ ჯერ კიდევ ამ ხუთიოდე წლის წინათ ვიცოდი, როცა ფოთის ნავსადგურის პრესსამსახურს ვხელმძღვანელობდი. ნავსადგური და გემთსაშენი კი თითქმის გადაბმულია ერთმანეთზე.

ქარხნის გაყიდვას თავიდანვე რომ კომიკური ელფერი დაჰკრავდა, ამის დასადასტურებლად მოვიყვან ერთ ამონარიდს მიმდინარე წლის თებერვალში საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილისადმი გაგზავნილ ყოფილი ქარხნის ყოფილი სპეციალისტების და მუშების ერთი ჯგუფის წერილიდან. აქვე გაგიმხელთ, რომ ამ წერილს ადრესატამდე არ მიუღწევია და იგი ულვთოდ ჩაიკარგა საკანცელარიო ლაბირინთებში (სტილი დაცულია — რედ):

**„... მრეწველობის მინისტრმა თ. აგლაძემ, — ნათქვამია მასში, — წერილი გაუგზავნა ბატონ შევარდნაძეს, ფოთის გემთსაშენი ზარალიანია და სიმბოლურ ფასად უნდა გაიყიდოსო. იმდროინდელმა პირველმა პირმა განკარგულება გასცა, მაშინდელ სახელმწიფოს მინისტრს ბატონ ნ. ლეკიშვილსა და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს, გაეყიდათ ფოთის გემთსაშენი. ჩვენი ღრმა რწმენით, აგლაძე მოქმედებდა ლეკიშვილის და ბასილაიას მითითებით.**

**ამ ვარაუდის საფუძველს გვაძლევს ის ფაქტი, რომ 1998 წლის 26 თებერვალს მთავრობის სხდომაზე გადაწყდა, გაყიდულიყო „ფოთის გემთსაშენის" საკონტროლო პაკეტი 51 პროცენტის ოდენობით და სხდომიდან რამდენიმე დღის შემდეგ 51 პროცენტი გაიზარდა 99,39 პროცენტამდე. ვინ გაბედავდა ასეთ შესწორებას, ზემოდან რომ მწვანე შუქი არ ჰ ქონოდათ?**

**ამის შემდეგ გამოცხადდა ტენდერი, რომლის შესახებ ცნობა მხოლოდ ქონების მართვის სამინისტროს გაზეთში დაიბეჭდა, რომელიც ფართო მკითხველისთვის მიუწვდომელი იყო და მიზნად ისახავდა ხალხისთვის თვალის ახვევას. ამ დადგმულ ტენდერშიც მხოლოდ ერთი მონაწილე იყო, — „ინტელექტბანკი", ისიც „ჰიუნდაის" ე. წ. შვილობილი ფირმა „დარლინგ უორთ ლიმითედს" ზურგს ამოფარებული, რომელიც ვირჯინიის კუნძულების ოფშორულ ზონაშია რეგისტრირებული. შემდგომ გაირკვა, რომ კორეელებს არათუ მონაწილეობა არ ჰქონდათ მიღებული პროექტში, წარმოდგენაც კი არ ჰ ქონდათ ხელშეკრულების შესახებ. ცხადზე ცხადია, რომ „ფოთის გემთსაშენი" ხელში ჩაიგდეს მაღალი ჩინის სახელმწიფო მოხელეებმა".**

გაყიდვას რომ საიმედოდ აპრობირებული და გამოწრთობილი მეთოდით ამზადებდნენ, ცხადია ესეც. ამაში ფრიად დახელოვნებულები გახლდნენ და სახელმწიფო თაღლითებს მონდომება არ დაუშურებიათ.

ობიექტის „გაიმასქნების" მსურველმა გუნდმა ყველა ხერხი იხმარა, რომ ქარხანა რაც შეიძლება მცირე ფასად ჩაეგდო ხელში. მოსამზადებელი სამუშაოები შემდეგნაირად (ნაცნობი სცენარით) გათამაშდა. ამონარიდი იმავე წერილიდან:

**„მრეწველობის სამინისტრომ ფოთის გემთსაშენი ზარალის წარმოებათა სიაში შეიყვანა, თუმცა ამის რეალური საფუძველი არ არსებობდა. ქარხნის კრედიტორული დავალიანება შეადგენდა 834 ათას ლარს, რომელიც, დაწყებული 1997 წლის აპრილიდან, ყოველ თვე კლებულობდა და 1998 წლის ივლისისათვის (როდესაც ქარხანა გაიყიდა) შეადგენდა მხოლოდ 600 ათას ლარს. დებიტორების ვალი კი შეადგენდა 13 მლნ აშშ დოლარს. გარდა ამისა, ქარხანა აწარმოებდა მოლაპარაკებებს უცხოურ გემთმშენებელ ფირმებთან ავსტრალიიდან, იტალიიდან, ამერიკიდან, საბერძნეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. ისინი ძალზე დაინტერესებულნი იყვნენ ჩვენთან თანამშრომლობით".**

იხ. მე-4 გვ.

⊙ ცხელი თემა

# ქართულ ჯარში პრესტიჟული ნაწილები გაჩნდა, სადაც მოხვედრა მხოლოდ ნაცნობობით შეიძლება

**ვარდების რევოლუციის შემდეგ საზოგადოებაში მომავლის რწმენის, სამართლიანობის იმედმა გაიღვიძა. ხალხი, ხელისუფლების მსგავსად, სხვადასხვა სტრუქტურაში არსებულ კანონდარღვევებზე თამამად ალაპარაკდა. ამ სტრუქტურათა ჩამონათვალში ქართული ჯარიც შედიოდა, რომელსაც მხოლოდ სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა, რეალურად კი მშიერი, შიშველი, „უპატრონო" ადამიანებით დაკომპლექტებულ უწყებას წარმოადგენდა. დღეს მდგომარეობა შეიცვალა, ჯარისკაცი, შეძლებისდაგვარად, დაპურდა და შეიმოსა. თუმცა, ელიტარულის პარალელურად საქართველოში არაპრივილეგირებული ნაწილებიც გაჩნდა. იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ელიტურ ნაწილში მოხვედრა და, საერთოდ, რა სახის დარღვევები გვხვდება ქართულ ჯარში, ვესაუბრებით არასამთავრობო ორგანიზაცია — „სამართალი და თავისუფლების" დირექტორს დავით კიკალეიშვილს.**


ასოციაცია „სამართალი და თავისუფლება" სამუშაო პროცესში.

***— ბატონო დავით, რა არის, რას წარმოადგენს თქვენი ორგანიზაცია?***

— ჩვენი ორგანიზაცია 1998 წელს დაარსდა. ეს არის ერთადერთი ორგანიზაცია საქართველოში, რომლის სპეციფიკაც სამხედრო სფეროში მუშაობაა. ვიცავთ სამხედრო მოსამსახურეებისა და წვევამდელთა უფლებებს — იქნება ეს ადმინისტრაციულ ორგანოებში თუ სასამართლოებში...

მოგეხსენებათ, არასამთავრობო ორგანიზაციის მთავარი მიზანია სამოქალაქო მონიტორინგის წარმოება იმ სფეროზე, რომელშიც იგი მუშაობს. ჩვენი რამდენიმეწლიანი დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ ქართულ ჯარში და, მთლიანად სამხედრო სამსახურში, უამრავი პრობლემა არსებობს. მათი ნაწილი ბოლო ერთი წლის მანძილზე მეტ-ნაკლებად მოგვარდა. თუმცა პრობლემები დღესაც არსებობს, უბრალოდ, შეიცვალა მათი ხასიათი. დღეს სუფთა სამართლებრივი სახის პრობლემები გვაქვს, რაც, უპირველესად, კადრების არაკვალიფიციურობიდან ან ვინმეს პირადი ინტერესებიდან მომდინარეობს.

***— რა იყო ძირითადი პრობლემები წლების წინათ და რა არის დღეს?***

— ადრე გაწვევის პერიოდში ყოველთვის იყო ძალადობა, სამხედრო სამსახურისადმი შიშის დამკვიდრება, ქრთამის აღება და ა. შ. ეს ყველაფერი დღეს მეტ-ნაკლებად მოწესრიგდა. საზოგადოებამ სამართლებრივად წინ წაიწია, ამ კუთხით რაღაც ცოდნა შეიძინა. სამაგიეროდ, დღეს, წინა წლებისგან განსხვავებით, ძირითადად უფრო სამართლებრივი კუთხით სცოდავენ, — ცდილობენ, რომ ადამიანი სამართლებრივად ჩიხში მოაქციონ. ვთქვათ, მავანს სამხედრო ბეგარა ორჯერ მოახდევინონ, ღედისერთა ჯარში წაიყვანონ და ა. შ. ანუ არის ცდები, რომ ადამიანები უფრო დახვეწილი ფორმით მოატყუონ.

დღეს პრობლემა არის ჯარიდან ხალხის მასობრივად დათხოვნაც. ალბათ, გასაკვირი არაა, რომ ამ ბოლო დროს ჩვენს ორგანიზაციაში ყველაზე ბევრი განცხადება სწორედ ამ კუთხით შემოდის. რამდენჯერმე მოხდა მინისტრის შეცვლა, რასაც თან ახლავს ახალი კადრების ჩანაცვლება, ანუ გარკვეულწილად დამკვიდრდა ტრადიცია, რომ ახალი მინისტრის მოსვლისთანავე, ყველა ძველმა თანამშრომელმა, სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადება დაწეროს, რაც არც სამართლებრივად და არც ადამიანურად, გამართლებული არ არის.

პრობლემაა ისიც, რომ დღეს ქართულ ჯარში გაჩნდა პრივილეგირებული და არაპრივილეგირებული ნაწილები. მართალია, ჩვენ მხარს ვუჭერთ წვრთნისა და აღჭურვის პროგრამას, მაგრამ არ შეიძლება, რომ ჯარი ასე დაიყოს. პრივილეგირებულ ნაწილში ჯარისკაცს კარგად აცვია, კარგად იკვებება, ჯარისკაცს ხელფასი აქვს 400 ლარამდე, ოფიცერს კი — 800 ლარამდე, ანუ შეიძლება სხვა ნაწილის პოლკოვნიკი უფრო დამცირებული იყოს, ვიდრე პრივილეგირებული ნაწილის ჯარისკაცი. ალბათ, იყო ჩანაფიქრი, რომ ამ წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის მონაწილეთა მომზადების შემდეგ, ეს ხალხი, მთელ ჯარში გადანაწილდებოდა, მაგრამ ესეც ვერ ხერხდება. ის ჯარისკაცი თუ ოფიცერი, ვინც ამ ნაწილშია, სხვაგან უკვე აღარ მიდის. შესაბამისად, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოში უკვე გვაქვს პრესტიჟული და არაპრესტიჟული ნაწილები.

***— რა არის საჭირო პრესტიჟულ ნაწილში მოსახვედრად?***

— ამ პროგრამაში მონაწილეობისთვის საჭიროა მინიმალური სამხედრო ცოდნა, მაგრამ ამასთან ერთად აუცილებელია „ჩაწყობა," ნაცნობობა და ა. შ. თუმცა აღსანიშნავია, რომ დარღვევები პრესტიჟულ ნაწილშიც არის. იქიდან ხშირად მოდის ხალხი, ვისაც ნაწილის დატოვება სურს, რადგან ამერიკელების სამხედრო დახმარების დასრულებისთანავე, იქ ქართული ტიპიური ხასიათის შიდა პრობლემები იწყება. ცნობილია, რომ ამ ელიტურ ნაწილებში კი ხდება ჯგუფებად დაყოფა, მათ შორის ხელჩართული ჩხუბი იწყება, ხდება ე. წ. „ობშიაკების" შეგროვება და სხვა... ამდენად, ქართულ ჯარში ყველაფერი კარგად არისო, ამას ნამდვილად ვერავინ იტყვის. უბრალოდ, პრობლემებმა სახე იცვალეს.

***— დღეს ქართულ ჯარში პრობლემების არსებობაზე, ალბათ, ისიც მეტყველებს, რომ თავდაცვის სამინისტრომ ყველა ნაწილში ნდობის ყუთები დააყენა, რამდენად შედეგიანი იქნება ჯარისკაცსა და სახელმწიფოს შორის ამგვარი ურთიერთობა?***

— ამ შემთხვევაში ვთვლი, რომ საკითხს არასწორად მიუდგნენ. მნიშვნელობა არა აქვს, იქ ნდობის ყუთები იქნება, ფოსტა თუ სხვა. მთავარია ჯარისკაცმა იცოდეს, რომ მის მიერ გამოთქმული პრეტენზია ადრესატამდე მივა. სამწუხაროდ, ჯარისკაცებს არასამთავრობო ორგანიზაციებთანაც კი უჭირთ „გახსნა". სამხედრო სამსახური შედარებით ჩაკეტილი სივრცეა. ძალზე მეეჭვება, რომ ჯარისკაცებმა პრეტენზიის ფურცლები ყუთებში ჩაყარონ. ვინ იცის, ვის ხელში მოხვდება ისინი. სეიფებს ამტვრევენ და ყუთების დამსხვრევას რა უნდა...


ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის სამზარეულო.

***— დღეს აცხადებენ, რომ ზოგიერთ სამხედრო ნაწილში სასტუმროს დონის ყაზარმების სარემონტო სამუშაოები განხორციელდა, რაზეც მილიონობით ლარი დაიხარჯა. რა მდგომარეობაა იქ რეალურად?***

— სარემონტო სამუშაოების უდიდესი ნაწილი მაღალჩინოსანთა კაბინეტებში განხორციელდა, რაზეც საკმაოდ დიდი თანხა დაიხარჯა. რაც შეეხება ნაწილებს, იქ გარკვეული სამუშაოები კარგად ჩატარდა, მაგრამ მაღალი დონის მისაღწევად კვლავ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

***— თქვენი ორგანიზაცია თუ თანამშრომლობს სახელმწიფო სტრუქტურებთან?***

— ყოველი ახალი მინისტრი თავის საქმიანობას ერთიდაიგივე სიტყვებით იწყებს, რომ ითანამშრომლებს არასამთავრობო სექტორთან. აქედან გამომდინარე, დღევანდელი მინისტრიც იგივეს აცხადებს. თუმცა ვფიქრობ, რომ სახელმწიფოს არასამთავრობოებთან ურთიერთობაზე, უბრალოდ, არასწორი წარმოდგენა აქვს. ურთიერთობა არ გამოიხატება კონფერენციებში მონაწილეობით, შეხვედრების მოწყობით. ბუნებრივია, ესეც ერთ-ერთი კომპონენტია, მაგრამ ძირითადი ურთიერთობა არის ის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები, ნაპოვნი ხარვეზები, დანაშაულის, კორუფციის ფაქტები, რასაც შემდეგ თავდაცვის სამინისტროს ვაწვდით, სამინისტრომ შეურაცხყოფად არ მიიღოს და აგრესიის ნაცვლად ჩვენი მუშაობა დაინახოს, მათ აღსაკვეთად ჩვენთან ითანამშრომლოს. ჯერჯერობით, ახალ მინისტრთან იმართება შეხვედრები. გვაქვს რამდენიმე პროგრამა, ჩავატარეთ მნიშვნელოვანი მონიტორინგი და, ალბათ, ამ შედეგების მიწოდების შემდეგ გამოჩნდება, თუ რამდენად ჩამოყალიბდა ურთიერთობა ჩვენსა და სამინისტროს დღევანდელ ხელმძღვანელობას შორის.

***— და მაინც, რა ეტაპზე იმყოფება დღეს ქართული ჯარი?***

— ძალიან კარგია, რომ თავდაცვის სამინისტროში მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ქართული ჯარი, დღესდღეობით, არავის არ უნდა ეხვეწებოდეს ტანსაცმელს, საჭმელს, ჭურჭელს და ა. შ. თუ ასეთ ელემენტარულზე ხვეწნა გვიხდება, მაშინ ნატოზე ფიქრი უნდა შევწყვიტოთ. სახელმწიფომ ასეთი საკითხები შიგნითვე უნდა მოაგვაროს. უცხოეთი კი შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკის თვალსაზრისით დაგვეხმაროს. დღეს ჩვენი მეგობარი ქვეყნები უკვე დაგვეხმარნენ. ახლა ახალი ეტაპი დაიწყო. თუ ეს ეტაპი სათანადოდ ვერ გადავლახეთ, მაშინ მომავალში არავინ დაგვეხმარება და გვეყოლება ისეთივე სიმბოლური დატვირთვის ქართული ჯარი, როგორიც აქამდე გვყავდა.

ესაუბრა
**ლელა ხვადაგიანი.**

⊙ ინფორმაცია

<u>იანუსი</u>

### არც ფიცი გვწამს, არც ბოლო გვაკვირვებს

**როსტოვსა და სოხუმს შორის გუშინ სარკინიგზო მიმოსვლა აღდგა. რუსეთსა და აფხაზეთს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის შემდეგ დღეს, 10 დეკემბერს, სოხუმიდან როსტოვის მიმართულებით პირველი მატარებელი გავა. ეს ინფორმაცია ჩრდილოეთ კავკასიის რკინიგზის სამმართველოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა გაავრცელა.**

**სამსახურის განცხადებით, რუსეთსა და აფხაზეთს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის შესახებ განკარგულებას გუშინ „რუსეთის რკინიგზის" პირველმა ვიცე-პრემიერმა ხასან ზიაბიროვმა მოაწერა ხელი.**

**სამსახურის მონაცემებით, რუსეთსა და აფხაზეთს შორის, კერძოდ, სოხუმი-მოსკოვის, სოხუმი-როსტოვის, სოხუმი-კისლოვოდსკის მიმართულებებით მიმოსვლა იმავე გრაფიკით აღდგება, რომელიც მომოსვლის აკრძალვამდე მოქმედებდა. სოხუმის რკინიგზის სადგურში უკვე დაიწყო ბილეთების გაყიდვა სოხუმი-სოჭის მიმართულებით მოძრავ მატარებელზე.**

**შეზღუდვის მოხსნის შემდეგ დღეს სოხუმიდან როსტოვის მიმართულებით პირველი მატარებელი გავა. 12 დეკემბერს სოხუმიდან ასევე გავა მატარებელი კისლოვოდსკის მიმართულებით.**

<u>კრიმინალი</u>

### „დარიალის" პუნქტზე დააკავეს

**საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩრდილოეთ მონაკვეთზე, „დარიალის" სასაზღვრო-გამტარ პუნქტზე მესაზღვრეებმა რუსეთის ჩეჩენი ეროვნების ორი მოქალაქე დააკავეს.**

**როგორც „ინტერ-პრესს" საზღვრის დაცვის დეპარტამენტში განუცხადეს, ჩეჩნებს პირადი დათვალიერებისას საიდუმლო ტოპოგრაფიული რუკები, შავი ფერის დაუდგენელი ნივთიერება, 4600 აშშ დოლარი და 1000 ევრო აღმოაჩნდათ.**

**ინტერ-პრესი.**

⊙ მოსაზრება

# როგორ ვმართოთ სახელმწიფო?

## კიბერნეტიკული კონცეფცია

**კიბერნეტიკული მიდგომა როგორც ტექნოლოგიურ სისტემებს, ისე ცოცხალ ორგანიზმებს და საზოგადოებას მართვის თეორიის ერთიანი პოზიციებიდან განიხილავს. ასეთივე მიდგომა უნდა იქნეს გამოყენებული პოლიტიკური პროცესების ანალიზისა და მართვისათვის და, მათ შორის, სახელმწიფო მართვის ამოცანებისთვის.**



მეორე ათასწლეულის მიწურულს მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები ორი ზესახელმწიფოს, აშშ-სა და სსრკ-ის დაპირისპირების ფონზე, „ცივი ომის" პირობებში ვითარდებოდა. მას შემდეგ, რაც ამერიკელმა მათემატიკოსმა ნორბერტ ვინერმა თავისი ცნობილი წიგნი „კიბერნეტიკა" გამოაქვეყნა, სულ უფრო თვალსაჩინო გახდა სახელმწიფო მართვის საბჭოთა სისტემის ამერიკულისგან ჩამორჩენა. ეს გასაგებიც გახლდათ. ვინერის მიხედვით მართვის პრინციპები ერთგვაროვანი იყო როგორც ტექნიკური სისტემების, ისე საზოგადოებისთვის. საბჭოთა კომუნისტური იდეოლოგიის თვალსაზრისით კი საზოგადოების მართვის პრინციპები ერთხელ და სამუდამოდ სავსებით განისაზღვრა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებით. ამრიგად, სრულიად ბუნებრივია, რომ კიბერნეტიკა საბჭოთა კავშირში ბურჟუაზიულ ცრუმეცნიერებად გამოცხადდა, საზოგადოების მართვა ე. წ. „მეცნიერული კომუნიზმის" მეთოდებით ხორციელდებოდა, ქვეყნის ეკონომიკური სისტემისა კი — ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდებით, რომლებიც პოლიტბიუროს დადგენილებებით განისაზღვრებოდა და სრულებით გამორიცხავდა არსებული რეალობის გათვალისწინებას, ანუ მართვის პროცესში უკუკავშირის რგოლის გათვალისწინებას. **სახელმწიფო მართვის საბჭოური სისტემის მთავარი ნაკლოვანება გახლდათ მართვის პროცესში უკუკავშირის რგოლის იგნორირება, ანუ არ ხდებოდა საზოგადოების აზრის და, თუნდაც, რეალურად არსებული საშინაო თუ საგარეო ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების გათვალისწინება.** უცდომელ კომუნისტურ პარტიას არ ესაჭიროებოდა საზოგადოებასა თუ ეკონომიკაში პრაქტიკულად არსებული ვითარება. მეცნიერული აზროვნების პოლიტიკური იდეოლოგიის პროკრუსტეს სარეცელში მოქცევამ ფაქტობრივად განაპირობა საბჭოთა კავშირის სულ უფრო მზარდი საყოველთაო ჩამორჩენა, ჯერ მეცნიერული, შემდეგ ეკონომიკური, რასაც საბოლოოდ ქვეყნის პოლიტიკური კრახიც მოჰყვა. როდესაც „პერესტროიკის" დროს ქვეყნის ხელმძღვანელობამ მოინდომა არსებული რეალობის გათვალისწინება, უკვე ძალიან გვიან იყო.

პირიქით, კიბერნეტიკული მიდგომის გამოყენებამ აშშ-ში მძლავრი სტიმული მისცა სახელმწიფო მართვის ახალი მეცნიერული მეთოდების შემუშავებას, რამაც განაპირობა სულ უფრო გართულებული საზოგადოებრივი და ეკონომიკური ურთიერთობების ეფექტიანი მართვა და განვითარება. კიბერნეტიკული კონცეფციის შესაბამისად პრიორიტეტული გახდა სტრატეგიული მენეჯმენტი, სტრატეგიული დაგეგმვა ბიზნესისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო მართვის კიბერნეტიკულმა მოდელმა პრაქტიკულად დაამტკიცა თავისი უპირატესობა, მაინც, პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის საქართველოში, სახელმწიფო მართვის კიბერნეტიკული კონცეფცია უკეთეს შემთხვევაში იგნორირებულია, უარეს შემთხვევაში — უარყოფილი.



მართვის თეორიის თვალსაზრისით სახელმწიფო მართვის პრობლემა განიხილება როგორც მართვის ობიექტი, რომლის შიგნით მიმდინარე პროცესები ჩვენთვის უცნობია, ან ნაკლებად ცნობილი. ჩვენს განკარგულებაშია ძირითადად ობიექტზე მოქმედი გარე პროცესები და ობიექტის რეაქცია ამ ზემოქმედებაზე, მისი ე. წ. გამოსასვლელი პროცესი — გამოძახილი.

ჩვენი ამოცანაა განვახორციელოთ ამ „ობიექტის" ოპტიმალური (გარკვეული თვალსაზრისით — საუკეთესო) მართვა. ანუ ობიექტის გარეთ და მის შიგნით მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური თუ ფიზიკურ-ქიმიური პროცესების გათვალისწინებით განვახორციელოთ ისეთი გადაწყვეტილება (მოვახდინოთ მართვის ისეთი ზემოქმედება), რომელიც საშუალებას მოგვცემს მივაღწიოთ დასახულ მიზანს — უზრუნველვყოთ „ობიექტის" ოპტიმალური ფუნქციონირება. თუ „ობიექტი" საზოგადოებაა — მივაღწიოთ მის სოციალურ სტაბილურობას, ეკონომიკურ კეთილდღეობას, იდეოლოგიურ თანხმობას.

იმისათვის, რომ შევამოწმოთ, რამდენად ვაღწევთ დასახულ მიზანს, სწორად უნდა იყოს შერჩეული შეფასების კრიტერიუმი. კრიტერიუმის მიხედვით უნდა დავადგინოთ, რამდენად ეფექტიანია ჩვენი გადაწყვეტილება, რამდენად ვუახლოვდებით მიზანს. მაგალითად, მიზანია ქალაქის პოლიციის კარგი მუშაობა. მაგრამ, რას ნიშნავს კარგი მუშაობა, რა მაჩვენებლით, რა კრიტერიუმით? ასეთი კრიტერიუმი შეიძლება იყოს გახსნილი დანაშაულების რაოდენობა. აქვე შევნიშნოთ, რომ თვით ჩადენილი დანაშაულების რაოდენობა ვერ იქნება პოლიციის მუშაობის მაჩვენებელი. შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ დანაშაულებრიობის ზრდა პოლიციის ცუდი მუშაობის გამოა, მაგრამ სინამდვილეში ასეთ მდგომარეობას განაპირობებს მთლიანად საზოგადოების ცხოვრება და არა მხოლოდ პოლიცია.

**გიორგი ბაღათურია,**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტის სახელმწიფო პოლიტიკის კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი.**

**(დასასრული იქნება).**

⊙ ინფორმაცია

<u>კადრები</u>

### იმერეთის ახალი „მთავარი პოლიციელი"

**პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა იმერეთის მხარეში გია გეწაძემ გუშინ შს სამინისტროს იმერეთის მთავარ სამმართველოში ახალი უფროსი წარადგინა. ამ თანამდებობაზე შს მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა გია კაჭარავა დანიშნა, რომელიც მანამდე სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს ხელმძღვანელობდა.**

**„მართალია, ამ თანამდებობაზე გადმოყვანით კაჭარავა დააქვეითეს, მაგრამ ამით შს მინისტრმა გვიჩვენა, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იგი რეგიონებში ძლიერი კადრების გადმოსროლას", — განაცხადა გია გეწაძემ.**

### თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოს ახალი ხელმძღვანელი

**თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. ამ თანამდებობაზე გუშინ შს მინისტრის მოადგილემ მალხაზ მაისურაძემ სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს ყოფილი უფროსი მერაბ ბაღათურია წარადგინა.**

**ამ დრომდე თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოს ლევან გვაზავა ხელმძღვანელობდა.**

<u>კომისია</u>

### შვიდი სამუშაო ჯგუფი იქნება

**საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა და მათი ოჯახის წევრთა უფლებების დაცვის სახელმწიფო კომისიაში 7 სამუშაო ჯგუფი იმუშავებს. ეს გადაწყვეტილება გუშინ დიღმის ძმათა სასაფლაოზე არსებული უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მემორიალური მუზეუმის დარბაზში გამართულ პირველ სხდომაზე მიიღეს, რომელშიც კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს დაზვერვის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ზურაბ ერქვანიაც მონაწილეობდა.**

**ინტერ-პრესი.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 286, პარასკევი, 10 დეკემბერი, 2004 წელი.

ჩაუმქრალი სანთელი

# ნამდვილი პოეტი თავის ქვეყანასთან და თავის ხალხთან რჩება

## გამოიცა ერთდროული ლიტერატურული გაზეთი „ხუტა ბერულავა-80“

*10 დეკემბერს პოეტს დაბადების 80 წელი შეუსრულდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოესწრო ამ დღეს. სულ რამდენიმე თვეა აღესრულა. თუმცა კვლავაც თავის ქვეყანასაც და თავის ხალხთან ერთად განაგრძობს სიცოცხლეს. ამის დასტურია თუნდაც ის ერთდროული ლიტერატურული გაზეთი, რომელიც მეგობრებმა პოეტის დაბადების დღისთვის საზოგადოებას ჩაუმქრალი სანთლის სახით წარუდგინეს.*

*ხუტა ბერულავას ძლიერი ხმა, როგორც ჭეშმარიტი პოეტის ხმა, 63 წლის მანძილზე ისმოდა ქართულ პოეზიაში. ის ჯერ კიდევ 17 წლის ყმაწვილკაცი იყო, როცა მართლაც რომ საქრესტომათიო ლექსის — „ამხანაგო მიშაკოვ, ძმაო შალამბერიძის“ ავტორი გახდა. პოეტის სახელი სამუდამოდ დაუკავშირდა მრავალ საქვეყნო საქმეს. ის ხომ ქართული წიგნის სწორუპოვარი, უბადლო გამომცემელი იყო. ცალკე თემაა ხუტა ბერულავა, როგორც არაერთი გაზეთისა და ჟურნალის რედაქტორი. დღიდან დაარსებისა, იგი საქართველოს საბავშვო ფონდის უცვლელი თავმჯდომარე იყო. ერთი სიტყვით, მუდამ ქართული სულიერების ფხიზელ დარაჯად იდგა.*




*აი, სწორედ ასეთი ხუტა ბერულავას პორტრეტის დახატვის ცდას წარმოადგენს თექვსმეტგვერდიანი, უხვად ილუსტრირებული გაზეთი — „ხუტა ბერულავა-80“, რომლის რედაქტორია ცნობილი პოეტი ᲓᲘᲚᲐᲠ ᲘᲕᲐᲠᲓᲐᲕᲐ, გამომცემლები კი არიან ᲒᲘᲒᲚᲐ ᲕᲔᲙᲣᲐ და ᲓᲐᲕᲘᲗ ᲘᲜᲯᲘᲐ.*

*გაზეთის ფურცლებზე მკითხველი მრავალ ავტორს შეხვდება, რომლებიც სულ სხვადასხვა კუთხიდან ხედავენ დღეს უკვე 80 წლის თვალსაჩინო პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს.*

*ქვემოთ გთავაზობთ ორ ამონარიდს გაზეთიდან — „ხუტა ბერულავა-80“.*

## „კარგი ბიჭი“

დღეს არსად მიგვეჩქარება. ვიდრე მძღოლი გარაჟიდან მანქანას გამოიყვანდეს, ტროტუარის ნაპირას ვდგავართ და გამვლელ-გამომვლელთ ვათვალიერებთ. მარჯანიშვილის ქუჩის მეორე მხარეს, გამომცემლობათა შენობის წინ, ახალგაზრდა კაცი ხანდაზმულ მანდილოსანს ესაუბრება.

— შეხედე, — ამბობს გალაკტიონი და თვალით მიმანიშნებს, — ის ხუტა ბერულავაა, კარგი ბიჭია!

ვიძაბები, უფრო იმიტომ, რომ გალაკტიონისგან იშვიათად მსმენია, რომ ცოცხალი პოეტი სახოტბო ეპითეტით შეემკოს. ახლა კი...

რა ხდება? ვაკვირდები. გალაკტიონი ალალად იღიმება.

ვინ იცის, იქნებ ხუტას ის სტრიქონები გაახსენდა, მას რომ ეძღვნებოდა...

ვინ იცის, იქნებ ის ქრუანტელისმომგვრელი შეხვედრები გაუცოცხლდა, რომლებიც ყოველთვის მკერდზე ამბორით იწყებოდა...

ვინ იცის, იქნებ ამ ენერგიული და ნიჭიერი კაცის საზოგადოებრივ საქმიანობასაც ითვალისწინებდა...

გალაკტიონი ხომ დაჯილდოებული გახლდათ მართალი და გულწრფელი კაცის გამორჩევის უნარით.

ერთი სიტყვით, გალაკტიონმა კეთილად განმაწყო ხუტა ბერულავასადმი.

მერე... დავახლოვდით და ჩვენს ურთიერთობას ხინჯი არასდროს შეჰპარვია.

**ნოდარ ტაბიძე.**

## როცა სიკვდილი ერთადერთი საბოლოო თავშესაფარი არ არის

*ის გრიგალივით ამოვარდნილი სიცოცხლისთვის დაბადებული წინმავალი კაცი იყო და არა უპიროვნო მსახური.*

*მთელი ცხოვრება დროს ედგა ჯიბრში. ცუდი ადამიანების წახმარებით დრო ხშირად ხელფეხს უბორკავდა. თითქოს გასაქანს არ აძლევდა, მაგრამ ის მაინც არ ეპუებოდა, გლეჯდა ამ დროისმიერ ბორკილებს და მუდამ საქვეყნო საქმეში პოულობდა შთაგონებას.*

*რაც თავი მახსოვს, მიწევ ვაჟკაცობის აბჯარი ემოსა, მოდიოდა და მოიბრძოდა! თავის წილხვედრ ბედის გზაზე ავად გადაღობებულს ვერავის იტანდა, სიკვდილადაც რომ დასჯდომოდა, მაინც ჩამოიშორებდა. ერთსა და ორს კი არა, ჯარს გადაუდგებოდა წინ, თუკი ამას ის საქმე მოითხოვდა, რომლის უცილოდ ქმნაც გადაწყვეტილი ჰქონდა.*

*მაგრამ არც დაუნდობელი ეთქმოდა. მოფერებაც თავისებური იცოდა, სიყვარულიც. თუ მოფერებისა და სიყვარულის ღირსი იყავი, მტკვრიდან წყალს ამოგიტანდა, პატარა ბავშვივით დაგეუმცროსებოდა. ხოლო კაცობის პერანგი თუ არ გეცვა, შენი უკაცობის მთელ სიმძიმეს მეის გაგრძნობინებდა. არ მოგერიდებოდა, ვინც გინდა ყოფილიყავი, თუნდაც მეფის ტახტზე გამოჭიმული. პირში გეტყოდა სათქმელს, ზურგიდან არ დაგიწყებდა სისინს, ხან იქნებ სიტყვასაც არ ეკმარა და ჯიქურ გამოიწევდა კიდევაც. მართლაც უშიშარი იყო, შეურიგებელი. იმ დიდი ჩარგლელისა არ იყოს, ბილწთან ზავს არცროდის შეჰკრავდა. მთელი ცხოვრების დევიზადაც ეს ჰქონდა: ბილწს არ შევეკვრი ზავითა...*

*პიტალო ხასიათმა, ბუნებრივია, უამრავი მტერი გაუჩინა. დასტურ მტერმრავალი მოღვაწე იყო, ოღონდ არა მტერმორეული. თუმცა, ამ უბარაქო წუთისოფელში მადლიერი მეგობრებიც არ აკლდნენ არც ჩვენში და არც ჯუღაშვილ-სტალინისეულ თვალგადაუწვდენელ იმპერიაში. თუნდაც მარტო ერთი გიორგი ლეონიძის მეგობრობა რად ღირს! „ნატვრის ხე“ ჩემი კი არა, მაგ კაცის დაწერილიაო. „ნაკადულიდან“ ფული წინასწარ გადმომირიცხა, — თუ ქქვს თვეში ცალკე წიგნად არ მომიტან, რაც ჩემთვის გარეკახური ამბები გიამბნიაო, იცოდე, გაფლანგვას დამაბრალებენ და ციხეში გამომამწყვდევენო. რა მექნა, ავედი წყნეთში, ჩავიკეტე და დავიწყე წერა, ამ კაი დედამიშვილს მართლა ხომ არ დავაჭერინებდიო...*

*მუდამ ემადლიერებოდა დიდი კონსტანტინეც, გამსახურდია, რომელსაც ჩემი თანდასწრებით ბევრჯერ გულწრფელად უქია თავისი ახალგაზრდა კოლხი ჯიმას „ეპიტაფია სვეტიცხოვლის აღმშენებლისა“ და თავად პირტიტველა პოეტის ის სიმღერებად ქცეული ლექსები, წინა ასწლეულის ყველაზე დიდი ომის პირტიტველავე ქართველ გმირებს რომ ეძღვნება...*

*მახსოვს, ამ მართლაც ღვაწლდადებული მამულიშვილის საგამომცემლო საქმიანობით აღტაცებული და აღფრთოვანებული სულგანათლებული ნიკო კეცხოველი, „ჩვენი საუნჯის“ გარდა სულაც რომ არაფერი გაეკეთებინა, მომავალ თაობათაგან გულით სადღეგრძელებლად ესეც იკმარებდაო...*

*სადაც მივიდა, თავისი კვალი გაავლო — ზედაობა არ უყვარდა, ღრმად იცოდა სიტყვაშიც და საქმეშიც ჩახედვა.*

*დრო ყველას და ყველაფერს გასცრის, თავის მერდინ-სიმტკიცეში გაატარებს... ყველას თავის ადგილს მიუჩენს, ვინ ღვიძლი შვილი იყო და ვინ გერი მოეცე საუკუნისა.*

*ბევრი კალამგირისთვის, ანუ კალმის ბოროტად მხმარებლისთვის, ვინც საქვეყნო საქმისთვის ამ ფრიად აბობოქრებულ კაცს სრულიად დაუმსახურებლად თავს აჭარბებდა როგორც კალმოსანსა და მწიგნობარს, სიკვდილი, ვფიქრობ, ერთადერთი სამუდამო თავშესაფარი იქნება.*

*ის კი, მჯერა, კვლავაც აქ დროდადრო ცოცხლებს შეეხმიანება. ეს კიდევ ერთი ის შემთხვევაა, როცა სიკვდილი ერთადერთი და თანაც საბოლოო თავშესაფარი არ არის. იქნებ ამიტომაც იყო, რომ აგრერიგად გაჭირდა, სამწუხაროდ, ნაჩქარევად გადავსებულ ღირსეულ დამაშვრალთა დიდუბის მკვალთშესალაგში მისთვის სამარის ჯერ პოვნა და მერე გაჭრა.*

**ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

ვატყობინებთ პრეზიდენტს

(მესამე გვერდიდან)

# ქვეყნის საზარალოდ გათამაშებული მრავალთაგან ერთი ფარსი

გემთმშენებლებმა ამაოდ აატალახეს ზემდგომთა და უფრო ზემდგომთა ფიანდაზებით მოფენილი კაბინეტები, თუმცა საწადელს ვერ მიაღწიეს. მიზეზი? ქარხანა გაყიდული იყო... ზემოდან!

კეთილი და პატიოსანი. დავუშვათ, რომ ქარხანა გაიყიდა იმისთვის, რომ იმდროინდელი თავკაცები ცდილობდნენ ქვეყნის კაპიტალისტურ რელსებზე შეყენებას. კაპიტალიზმი კი უკაპიტალისტოდ წარმოუდგენელია. აუცილებლობა მოითხოვდა, შექმნილიყო კაპიტალისტთა ბირთვი. ჰოდა, რაკი ამ საზრუნავით დამძიმებულ სახელმწიფო ბიძებს კარგად ესმოდათ ძმაკაცური და ნათესაური კავშირის უძლეველობის, ამ ბირთვის წევრთა გამოზრდას მათივე ხროვიდან შეუდგნენ. ამიტომ გაიყიდა ჩალის ფასად არაერთი ქვეყნისთვის აუცილებელი ობიექტი.

კიდევ ერთი დაშვებაც გავაკეთოთ. ვთქვათ და, მიჰყიდე შენიანს ესა თუ ის საწარმო. ამუშავა კი იგი ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ იმ დიდი სახელის პატრონი თავკაცის ნათესავმა თუ ძმაკაცმა?

კონკრეტულ შემთხვევაში (გემთმშენებელი ქარხნის მაგალითზე) — ვერა! ისევ ამონარიდი ზემოთ ხსენებული წერილიდან:

**„აგორდება ხოლმე ტალღა გემთსაშენის ირგვლივ და მაშინ იწყებს ქარხნის მეპატრონე გემების მშენებლობაზე ლაპარაკს. ადგილობრივი ტელევიზიით განცხადებასაც კი აკეთებენ სპეციალისტების მიღებაზე, მაგრამ ეს ყველაფერი კეთდება საზოგადოებისთვის თვალის ასახვევად. აბა, რამდენი ახალი გემთმშენებელი სპეციალისტი მიიღეს? არც ერთი. ხუთი წლის და ექვსი თვის განმავლობაში არაფერი გაუკეთებიათ და არც ახლა არიან ქარხნის პროფილის შემნარჩუნებლები. ქარხანა ისე გააჩანაგეს, რომ გემთმშენებლობაზე საუბარი ზედმეტია. სრულფასოვანი გემთრემონტის სამუშაოთა შესრულებაც შეუძლებელია, ვინაიდან მცურავი დოკი ჯართად გაყიდეს ნაცვლად რემონტისა (რაც პირობის სახით იყო გათვალისწინებული ქონების მართვის სამინისტროსა და „ტენდერში გამარჯვებულ“ კომპანიას შორის დადებული ხელშეკრულებით). რაც შეეხება ზემოთ აღნიშნულ ხელშეკრულებას, მასში გათვალისწინებული და ჩადებული მოთხოვნები სამი წლის განმავლობაში უნდა შესრულებულიყო. მათი 99 პროცენტი დღესაც შეუსრულებელია.**

**დარღვეულია ხელშეკრულების ყველა პუნქტი. თავდაპირველად ვთვლიდით, რომ ეს უცოდინარობით იყო გამოწვეული და ამ მიზეზით არ ჰკიდებდნენ ხელს გემთშეკეთებასა და გემთშენებას (იმ დროისთვის ამის საშუალებაც იყო), მაგრამ როცა დავრწმუნდით, რომ მათ ეს სრულებითაც არ აწუხებდათ, გაზეთ „ახალ საქართველოში“ (1998 წლის 3 დეკემბერს) გამოვაქვეყნეთ სტატია „მოდი, ვნახოთ ქარხანა, ვინ შეჭამა ქარხანა“. მეორე დღეს, 4 დეკემბერს ამ სტატიას შეეწირა ქარხნის დირექტორი დიმიტრი ჭითანავა, საფუძველი აკრძალული საკითხების პრესაში გამომზეურება (?!) გახლდათ.**

**1999 წლის 18 აგვისტოს ქ. ფოთის სასამართლომ მიიღო განჩინება, დაუყოვნებლივ აღედგინათ თანამდებობაზე ბატონი ჭითანავა. საქალაქო სასამართლოს განჩინება ქუთაისის საოლქო სასამართლომაც ძალაში დატოვა, მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილება დღემდე შეუსრულებელია.**

**ჩვენ გვჯერა, რომ ახლა საქართველოში დადგა ის დრო, როცა სამართალი გამარჯვებას ზეიმობს. ამის იმედი, ბატონო პრეზიდენტო, თქვენ ფოთელებს მაშინ ჩაგვისახეთ, როდესაც საპარლამენტო არჩევნების წინ ჩამობრძანდით ჩვენს ქალაქში და ფოთელებთან შეხვედრისას განაცხადეთ, უკანონოდ მითვისებული ქონება სახელმწიფოს, ანუ ხალხს დაუბრუნდებაო.**

**ვხედავთ, რომ დაპირებას ასრულებთ. გმადლობთ, მაგრამ ჩვენთვის ჯერ არ გათენებულა. სხვა რომ არაფერი, გული გვტკივა (პირდაპირი გაგებით) იმის შემყურეთ, თუ როგორ ნადგურდება ქარხანა“.**

როგორც კარგად დავინახეთ, დიდ დატაცებებში ხელგაწაფულმა ვაჟბატონებმა ხელოვნურად დააკნინეს ქარხნის ეკონომიკა. გიენას პრინციპით მოქმედებდნენ: დასუსტებული იოლი მოსანადირებელია!

ქარხანა, ჰა და ჰა, ამოვიდოდა ზემდგომთა მიერ ხელოვნურად შექმნილი უფსკრულიდან, მაგრამ კვლავ ხელი ჰკრეს და 24 ჰექტარზე გაშენებული კორპუსები თავისი სამიათასიანი მუშახელითა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალით, დაუნდობლად გადაჩეხეს. **ქარხანა 101 ათას (!!!) დოლარად გაიყიდა, ეს მაშინ, როდესაც ამ ფასად გაყიდულ საწარმოში ახალთახალი წყალქვეშაფრთიანი ხომალდი „კოლხიდა“ იდგა, რომელიც ქარხნის გაყიდვის პირველივე თვეში ახლადმოვლილმა მარიფათიანმა მეპატრონეებმა, იცით, რა ფასად? — ორ მილიონ დოლარად გაყიდეს (?!).**

ზუსტად ანალოგიური სცენარით ვითარდებოდა მოვლენები ზესტაფონის ფეროს, ჭიათურის მანგანუმის, კაზრეთის საბადოების და მთელი რიგი სხვა სამრეწველო გიგანტების სინამდვილეში. ხელწერა რომ არ იცვლებოდა, ეს იმის გამო ხდებოდა, რომ ყველა ამ ოპერაციას ერთი ჯგუფი, ვაი-მოღვაწეთა ერთი კლანი ახორციელებდა.

სათქმელი უკვე ითქვა და წერტილის დასმაც უპრიანი იქნებოდა, ერთი მეტად მტკივნეული სა**კითხი რომ არა: დღეს, როცა ფოთის გემთმშენებელი ქარხნის ბედში არაერთი სხვა საწარმოა, ნუთუ დასამვებია, ცოდვები ეპატიოთ იმ ყოფილ ჩინოსნებს, რომლებმაც ასე დაუნდობლად გაყვლიფეს ქვეყანა? კანონშემოქმედნი კი იმაზე დავაში იმტვრევენ თავს, გატარდეს თუ არა ამნისტია იმ პირთა მიმართ, ვინც ამდაგვარ „გადაწყვეტილებებს“ საკუთარი ხელმოწერით ამტკიცებდა. ნუთუ მსჯელობის საკითხია ის, რაც ჭეშმარიტებაა?**

**განა ამ ფუნქციონერთა წყალობით არ აღმოჩნდა ქვეყანა სავალალო მდგომარეობაში, განა მათი წყალობით არ გაიყარა ქუჩაში ასი ათასობით კვალიფიციური სპეციალისტი თუ მუშა? განა მართლა შეიძლება იმის სერიოზულად გაფიქრება, რომ ქურდობიდან ბიზნესში მისული ადამიანები სიკეთეს მოუტანენ ქვეყანას? კაპიტალისტთა ის ბირთვი, ხელოვნურად რომ შეიქმნა, სწორედ რომ, ვერ უთავკაცებს პატიოსანი გზით ქვეყნის სიკეთის გზაზე დაყენებას. აკი, ფაქტი ჯიუტია, უიშვიათესი გამონაკლისის გარდა, მათი „კაპიტალისტური“ მიზნები საკუთარი ოფისაგარაკებისა და საძინებლების „გენიალურად“ მოწყობას ვერ გასცდა.**

მიუხედავად ამისა, გნებავთ თავდაჯერებული ბრიყვი მიწოდეთ და, გნებავთ, გამოუსწორებელი დონ კიხოტი, მჯერა და კვლავაც მჯერა, რომ ყველა ავკაცობას, უმნიშვნელოსა თუ მნიშვნელოვანს, აეხდება ფარდა და სამართლიანობა იზეიმებს!

**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲡᲙᲣᲠᲐᲕᲐ,**
**„სრ“ სპეც. კორ.**
**ᲤᲝᲗᲘ-ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ.**




**ᲝᲠᲘ წლის წინათ რუსეთის სახელმწიფო სათათბირო ეცადა, შეეფასებინა არა მარტო თვით პრივატიზაცია, არამედ ის ზარალიც, რომელიც მისმა შედეგებმა მიაყენეს რუსეთის ეკონომიკურ პოტენციალს. როგორც გაირკვა, დანაკარგები 2,5-ჯერ აღემატებოდა სსრ კავშირის დანაკარგებს დიდ სამამულო ომში და უტოლდებოდა 9540 ტრილიონ რუბლს 1995 წლის ფასებით. ამჟამინდელი კურსით, ეს შეადგენს 2 ტრილიონ დოლარს, ანუ 58 ტრილიონ რუბლს.**

**ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ: დაგვეთანხმებით, ქარხანას, რომლის ერთ საამქროში, მის სხვა სიმდიდრეს თავი რომ დავანებოთ, ორ მილიონ დოლარად ღირებული კატარღა დგას, 101 ათას დოლარად არსად არც ერთი ჭკუათმყოფელი არ გაყიდის. ამას მხოლოდ ჭკუანაკლულები და სულელები თუ გააკეთებენ.**

**ალბათ, იმაშიც დაგვეთანხმებით, რომ იმ ხელისუფლებაში, რომელმაც ქვეყნისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი, ლამის სტრატეგიული დანიშნულების ქარხანა ჩალის ფასად გაყიდა, ასეთები ნამდვილად არ იყვნენ.**

**პირიქით, იქ საკმაოდ ჭკვიანი ადამიანები ისხდნენ. ოღონდ არა ქვეყნისთვის, არამედ სათავისოდ ჭკვიანები. ჰოდა, მათგან მავანმა ქარხნის (და, სამწუხაროდ, არა მარტო ამ საწარმოს) პრი(ხ)ვატიზაციით დიდძალი ფული ჩაიჯიბა, საქვეყნო ინტერესები კი ამოიფეხქვეშა.**

**გაზეთ „არგუმენტი ი ფაქტიდან“ აღებული ამონარიდებით, ამ მასალასთან ერთად რომ ვაქვეყნებთ, ნათლად ჩანს, როგორ გააჩანაგა რუსეთის ეკონომიკა ბოლოდროინდელმა „პრიხვატიზაციამ“. სახელმწიფო დუმამ ამ საკითხის შესწავლა ორი წლის წინათ დაიწყო და მართლაც ფანტასტიკური ზარალის ოდენობაც დაადგინა.**

**იქნებ ჩვენმა პარლამენტმაც დროულად მოიწადინოს და იგივე გააკეთოს, რათა ჩვენებური „პრიხვატიზაციის“ „კეისრებსაც“ კეისრისა მიეზღოთ და, რაც მთავარია, მათ მიერ მუქთად ნაშოვნი ქონება კვლავაც ქვეყნის სასარგებლოდ ამუშავდეს?**

**რაც შეეხება ფოთის გემთმშენებელ-გემთსარემონტო ქარხანას, ამ საკითხს რედაქცია კვლავაც მიუბრუნდება.**

დაფუძნება

# საქართველოს ჰიმნიც გაარემიქსეს?!

ახლახან შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში დაფუძნდა ეროვნული კულტურის შენარჩუნებისა და განვითარების ცენტრი **„ოროველა“.**

**„გადავარჩინოთ ქართული კულტურა!“,** — აი, გენერალური ხაზი, რომელიც ლაიტმოტივად გასდევდა დამფუძნებელ კრებას.

„ოროველას“ პრეზენტაციას დაესწრნენ ქართული საზოგადოებისა და კულტურის ღირსეული წარმომადგენლები, სახელმწიფო მოხელეები, სტუდენტი ახალგაზრდობა, გაიმართა ცხარე კამათი.

**ᲛᲐᲙᲐ ᲡᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ეროვნული კულტურის შენარჩუნებისა და განვითარების ცენტრ „ოროველას“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი:** — ალბათ გაინტერესებთ რა გვინდა ჩვენ, რის გაკეთებას ვაპირებთ მომავალში. ჩვენი საზოგადოების ძირითადი ამოცანაა: ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება-განვითარებაში აქტიური მონაწილეობის მიღება, სოციალურად დაუცველ ხელოვანთა ხელშეწყობა, კულტურულ-სანახაობრივი, საგანმანათლებლო ღონისძიებების, აუქციონების, გამოფენების, კასტინგების, ფესტივალების მოწყობა, ქორეოგრაფიულ-მუსიკალური და სამხატვრო სტუდიების შექმნა, ქართული კინოსა და თეატრის პოპულარიზაცია, სარეჟისორო, საპროდიუსერო, საოპერატორო საქმიანობის აქტივიზაცია. ამ იდეის განხორციელებისთვის შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივას უკვე შემოუერთდა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო ხელოვნების პედაგოგიური ინსტიტუტი, მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, თბილისის დამოუკიდებელი ინსტიტუტი „ეგრისი“, კავკასიის აკადემიური ცენტრი, პაატა გუგუშვილის სახელობის უნივერსიტეტი.

**ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲮᲕᲔᲓᲔᲚᲘᲫᲔ „ოროველას“ პრეზიდენტი:** — ოთხი წელიწადია ეროვნული კულტურის შენარჩუნებისა და განვითარების ცენტრის შექმნაზე ვმუშაობთ. თეატრალურ უნივერსიტეტთან „ოროველა“ დავაფუძნეთ მე და ზურაბ ნანობაშვილმა — კასკადიორთა ასოციაციის პრეზიდენტმა. ამ ცენტრის შექმნის იდეა ქართული კულტურის იგნორირებამ, შეურაცხყოფამ გვიკარნახა. ქართველი სტუდენტი ახალგაზრდობა დღეს უსმენს და მღერის მუსიკას, რომელიც ამაზრზენია, იღებენ ფილმებს, რომლებიც ეწინააღმდეგება ქართულ, ეროვნულ ცნობიერებას, კულტურის ყველა სფეროში შეტევაა ეროვნულ სულისკვეთებაზე, გავა წლები და ეს „უკულტურობა“, თუ ასე გაგრძელდა, აღარ იარსებებს ქართული სული. დიდი მადლობა ბატონ გიგა ლორთქიფანიძეს, რომელმაც საშუალება მოგვცა თეატრალური უნივერსიტეტის ბაზაზე დაგვეფუძნებინა ეროვნული კულტურის შენარჩუნებისა და განვითარების ცენტრი „ოროველა“. ცენტრში უკვე მოღვაწეობენ ქართული კინოს, თეატრის, მუსიკის ნიჭიერი წარმომადგენლები. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. გარემიქსდა ოქროს ფონდის ქართული ხალხური სიმღერები. ეს სიმღერები მომავალ თაობას უნდა გადაეცეს იმ ფორმით, როგორიც შექმნეს ჩვენმა წინაპრებმა. გარემიქ-



სდა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნიც. ეს ეროვნული შეურაცხყოფაა. არცერთ სახელმწიფოს მსოფლიოში ჰიმნი არ გაურემიქსებია, არც ჯაზში, არც როკში, არც რეპში. ეს ჩვენი სირცხვილია. ჩვენ რეალურად, საქმით შევებრძოლებით ყველას, ვინც შეეცდება დაამახინჯოს ქართული ეროვნული მუსიკა.

**ᲖᲣᲠᲐᲑ ᲜᲐᲜᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ, „ოროველას“ დამფუძნებელი:** — ცენტრის პრეზენტაციაზე დამსწრე საზოგადოებას გაუჩნდა კითხვა — ვინ დაგვაფინანსებს?

ჩვენ შევხვდით საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს, სახელმწიფო მინისტრს — გურამ აბსანძეს. ისინი დაგვპირდნენ ფინანსურ დახმარებას. დაგეგმილი გვაქვს მოსკოვში მოვაწყოთ ქართული კულტურის დღეები. გვინდა რუსეთმა გაგვიცნოს ჭეშმარიტი ქართული კულტურით და არა გარემიქსებული, გადაგვარებული, სამარცხვინო მუსიკით. რუსეთის ახალგაზრდობას დღეს მტრებად მივაჩნივართ. ჩვენ აღვადგენთ ტრადიციულ კულტურულ ურთიერთობას რუსეთის ახალგაზრდებთან. ბატონმა გურამ აბსანძემ ეს საკითხი მთავრობის სხდომაზე დასვა. გამოხმაურება და მხარდაჭერა დიდია, სხვა ჩვენზეა დამოკიდებული.

**ᲙᲠᲘᲡᲢᲘᲜᲐ ᲐᲑᲠᲐᲛᲘᲐᲜᲘ, მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი:** — „ოროველა“ კარგი შანსია ქართველი და რუსი სტუდენტი ახალგაზრდობის დაახლოებისა. მე ვიცი, იქაურ სტუდენტებსაც დიდი სურვილი აქვთ ეზიარონ ქართულ ხელოვნებას, დაამყარონ მეგობრული კავშირები ქართველ ახალგაზრდებთან. იმეგობრონ. ამ საქმეს ხელშეწყობა სჭირდება. მადლობა ყველას, ვინც დაგვეხმარება.

**ᲒᲘᲒᲐ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ, შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი:** — ყოველი ინიციატივა, იდეა, რომელიც სიკეთეს ემსახურება, მხარდასაჭერია. პირობას ვდებთ, შეძლებისდაგვარად, დავეხმარებით სტუდენტებს ამ იდეის განხორციელებაში, ფრთაშესხმაში. კეთილი დასაწყისია და ღმერთმა ხელი მოუმართოს ყველას, ვინც ქართული სულიერების გადარჩენისთვის იბრძვის.

**ᲕᲐᲥᲐ ᲐᲖᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, კომპოზიტორი:** — ბედნიერი ვარ ამ შეხვედრით, ვგულისხმობ არა მხოლოდ ჩემი თაობის წარმომადგენლებს, არამედ ახალგაზრდებს, რომლებიც დაინტერესდნენ ქართული ეროვნული კულტურის თვითმყოფადობით. უნდა დაიძლიოს ქართული კულტურის ამჟამინდელი დეგრადაციის პერიოდი. ვწუხვარ, ამ უკანასკნელ პერიოდში ტელეარხებში საერთოდ აღარ გადასცემენ ქართველ კომპოზიტორთა სიმღერებს, ქართული მუსიკა ახლა დაბალი ხარისხისაა, ბანალურია. რადიოშიც კანტიკუნტად ისმის ქართული მელოდია. შეიძლება ყველაფერი გავარემიქსოთ და შევბღალოთ, დავამახინჯოთ? „შემოდგომის ნისლია“ — როგორ შეიძლება ამ სიმღერის დისკოს სტილში გადაკეთება. საყვედური გამოვთქვი ამაზე ტელევიზიაში და ზოგიერთი უვიცის მრისხანება დავიმსახურე. სიტყვის თქმის უფლებაც აღარ გვაქვს. რა გვეშველება? ღმერთმა ხელი მოუმართოს „ოროველას“.

**ᲗᲔᲛᲣᲠ ᲬᲘᲙᲚᲐᲣᲠᲘ, მომღერალი:** — კაი ხანია სცენაზე აღარ ვდგავარ. მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში, რომელშიც მომღერლებიც მოვხვდით, სული მეხუთება. თანამედროვე სიმღერებში აღარც სიტყვა ვარგა, აღარც მელოდია, შეიცვალა ფორმატი, რომლითაც ასე ვამაყობდით ესტრადაზე. მემღერებოდა და ვმღეროდი, ახლა აღარ მემღერება.

**ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲢᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ, მომღერალი:** — „ოროველამ“ უნდა მოიპოვოს ლიცენზიის უფლება, უნდა შეიქმნას ავტორიტეტული კომისია, რომელიც არ დაუშვებს ქართული ეროვნული მუსიკის ხელყოფას, ქართული კულტურის იგნორირებას, დეგრადაციის ხელისშემწყობი სათბურების გამრავლებას. შესაბამისი კომისიის გარეშე არცერთი კომპაქტდისკი და არცერთი კასეტა არ უნდა გამოვიდეს. სად გაგონილა, ვისაც როგორ მოეპრიანება, ისე გადააკეთოს ქართული ხალხური სიმღერები თუ ცნობილ, აღიარებულ კომპოზიტორთა შემოქმედებითი ნიმუშები. საავტორო უფლებებს სახელმწიფო უნდა იცავდეს.

**ᲐᲜᲖᲝᲠ ᲔᲠᲥᲝᲛᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ, სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავის“ სამხატვრო ხელმძღვანელი:**

— ქართულ ხალხურ სიმღერებს საუკუნეებმა ვერაფერი დააკლეს, მაგრამ ის, რაც დღეს ხდება, სულისშემძვრელია. ხალხური სიმღერა მხოლოდ სიმღერა არ არის, ეს არის ტრადიცია, პოეზია, ქართული სულის უკვდავება. ეროვნული ფასეულობების შეცვლას დიდი სიფრთხილე სჭირდება. 70 წლის განმავლობაში სოციალიზმის მონოპოლიურ პირობებში ბევრი რამ დააკლდა ქართულ კულტურას, მაგრამ მაინც შევინარჩუნეთ კინოც, თეატრიც, მუსიკაც, ცეკვაც. ახლა ვინ გვაიძულებს ხელვყოთ ეს ყველაფერი?! საბაზრო ეკონომიკას, შოუს არ უნდა ვანაცვალოთ ერის სასიცოცხლო ღირსებები.

**ᲛᲐᲠᲘᲙᲐ ᲙᲕᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, კომპოზიტორი:** — მისასალმებელია, რომ ქართველმა ახალგაზრდებმა გამოიჩინეს ინიციატივა ხელყოფისაგან იხსნან ისტორიული კულტურული მემკვიდრეობა. რაც გვაქვს, იმას ნუ გააფუჭებენ, შექმნან ახალი სიმღერები სურვილისამებრ, მაგრამ სასურველია ახალ სიმღერებშიც ქართული სული იყოს დომინანტი.

... ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ უნივერსიტეტიდან ამაღლებული გრძნობით გამოვედი, სამარშრუტო ტაქსის რადიოში მამუკა ჩარკვიანი მღეროდა. უნივერსიტეტში დისპუტი ქართულ კულტურაზე იქამდე გაგრძელდა, ვიდრე მთვარე არ ამოიწვერა მთაწმინდაზე. ვუყურებდი ერთი ქართველი თანამედროვე პოეტისაგან შეურაცხყოფილ მთვარეს — „მთვარე მაკოცე ტრა-ზე“ და სირცხვილით თვალს ვეღარ ვუსწორებდი მთაწმინდის მთვარეს. ისე, კაცმა რომ თქვას, ჩვენ რა დავაშავეთ?!

**ᲡᲘᲛᲝᲜ ᲑᲐᲚᲐᲮᲐᲫᲔ.**

**ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: სადაც ახალგაზრდობაა, საქართველოს სახალხო არტისტი დოდო ჭიჭინაძეც ყოველთვის იქ არის, კრების შემდეგ ახალგაზრდებმა შუაში ჩაიყენეს იგი და სურათი გადაიღეს.**

◎ სტუდენტური შემოქმედება

# კარგი სპექტაკლების დადგმა თურმე სხვენშიც შეიძლება



*თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვენში მოწყობილ პატარა კამერულ სცენაზე უკვე მეხუთე წელია არაორდინარული სპექტაკლები იქმნება.*

*გიორგი გომურაშვილი არის პლასტიკის თეატრის დამაარსებელი და სახელმწიფო პანტომიმის თეატრის ყოფილი მსახიობი. როდესაც იგი სკოლა-სტუდია „ბერიკებში“ ბავშვებს პლასტიკას ასწავლიდა, მაშინ გაუჩნდა თეატრის შექმნის იდეა. ერთხელ რამდენიმე ნოველა გააერთიანა და სპექტაკლი გერმანიაში უჩვენეს ფესტივალზე, რთულ ხელოვნებასთან შეჭიდებულმა ბავშვებმა გაიმარჯვეს და პატარა მსახიობი ირაკლი სანაია საუკეთესო მსახიობად აღიარეს. ახლა ირაკლი სანაია უნივერსიტეტის დასის წევრია. ამ წარმატებამ რწმენა შემატა გიორგი გომურაშვილს, როგორც რეჟისორს და გადაწყვიტა, რომ სერიოზულად ეფიქრა დასის შექმნაზე. ძველმა მეგობარმა უნივერსიტეტიდან შესთავაზა მათთან მოეწყო თეატრის სცენა.*

*გვესაუბრება* ***გიორგი გომურაშვილი:***

— ჩემმა მეგობარმა ვანო ჭელიძემ გამაცნო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორი თენგიზ ყურაშვილი. მან მითხრა, თავისუფალი ადგილი მხოლოდ სხვენზე გვაქვს და თუ მოგეწონებათ, კი ბატონოო. გვერდით დამიდგა ჩემი აღზრდილი მამუკა გურჩიანი, რომელიც მსახიობი და მეორე რეჟისორია. რომ იტყვიან, არაფრისგან ავაშენეთ თეატრი. შემოგვიერთდნენ სტუდენტები, პროფესიონალი მსახიობები თეატრალური ინსტიტუტიდან და საესტრადო სასწავლებლიდან. ჩვენი ძალებით მოვაწყვეთ სცენა, საგრიმიოროები, განათება დავაყენეთ. პლასტიკის თეატრს ვუწოდეთ **„სხვენი“.** ბატონი თენგიზის დახმარებით გარკვეული თანხაც გამოგვიყვეს. პირველი ნამუშევარი — ოთხი თუ ხუთი ნოველა წარმოვადგინეთ კონცერტზე წარმატებით და მას შემდეგ ვმუშაობთ.

**— თქვენ დადგით სპექტაკლები — „სტუმარ-მასპინძელი“, „სამანიშვილის დედინაცვალი“. რთული იყო მათი პლასტიკის ენაზე ამეტყველება?**

— პანტომიმაში ძალიან ძნელია მუშაობა. საჭიროა ყოველდღიური მომქანცველი ვარჯიში, ყოველ მოძრაობაში უნდა ჩანდეს გრძნობა, თუმცა სტუდენტები იმდენად პროფესიონალურად გამოდიან, რომ არც ველოდი. ჩვენთვის პირველი სერიოზული ნამუშევარი „სტუმარ-მასპინძელი“ იყო. პრემიერას ესწრებოდა ქალბატონი დოდონა კიზირია, რომელმაც ასეთი შეფასება მოგვცა: „მე მეგონა, რომ საქართველოში სულიერება გაქრა, მაგრამ ეს სპექტაკლი ვნახე და ცრემლები მომადგა თვალებზე. მივხვდი, არასდროს მოკვდება ქართველი ერი. ყველას გთხოვთ, ნახოთ „სტუმარ-მასპინძელი“. რისკთან იყო დაკავშირებული „სამანაშვილის დედინაცვლის“ დადგმა. იმდენად ძლიერია კლდიაშვილის სიტყვა, რომ მეშინოდა, მაგრამ მაინც გავბედე ექსპერიმენტი. პრემიერაზე დარბაზი გაივსო. პირველივე სცენის შემდეგ ატყდა ტაში და ასე გაგრძელდა ბოლომდე. მუშაობის სირთულეები აღარც გამახსენებია. სპექტაკლს სხვა ელფერი მისცა მოწვეულმა დრამატულმა მსახიობმა გიორგი ცერცვაძემ (იგი გ. შავგულიძის სახელობის თეატრის დასშია), რომელსაც საინტერესო შინაგანი პლასტიკა და აზროვნება აქვს. მან ითამაშა ბეკინა და კირილე. ეს ხაზი იმ მოსაზრებით შემოვიტანე, რომ კირილე გახდება ბეკინა გარკვეული დროის შემდეგ. ბეკინა გადაპრანჭული კაცია, რომელმაც ცხოვრება დროსტარებაში გაატარა, ასევეა კირილეც. სპექტაკლის შემდეგ ბატონმა როინ მეტრეველმა მადლობა გადაგვიხადა და თანადგომას შეგვპირდა.



**— თქვენმა პედაგოგმა, ბატონმა ამირან შალიკაშვილმა თუ ნახა სპექტაკლები და რა გითხრათ?**

— ბატონი ამირანი ცოტა მწყრალადაა ჩემზე. პრემიერაზე დავპატიჟე, მაგრამ არ მოვიდა. მერე მის ერთ-ერთ ინტერვიუში წავიკითხე, ვაჟა-ფშაველას დადგმა ჩემი პრეროგატივა იყო და სხვებმა თავი დაანებონო. დიდ პატივს ვცემ ბატონ ამირანს, მაგრამ ასე არ ვფიქრობ. მე როცა ვთამაშობდი მის დადგმულ „სტუმარ-მასპინძელში“, დღიურებს ვწერდი. საერთოდ, ყველა სპექტაკლზე ვაკეთებდი ჩანაწერებს, როცა რომელიმე სცენის გადაწყვეტას არ ვეთანხმებოდი ხოლმე, ჩავწერდი — მე ამ ეპიზოდს ასე გავაკეთებდი, იმას ამგვარად და ა. შ. ყველას თავისი ხედვა აქვს. რატომ არ შეიძლება სხვასაც გაუჩნდეს ცნობილი ნაწარმოების დადგმის სურვილი?

**— ამჟამად რაზე მუშაობთ?**

— სტუდენტებს უყვართ და მოსწონთ მხიარული ნოველები, ვიმუშავებთ ახალ ნოველებზე. ვფიქრობ გოგოლის მიხედვით გავაკეთო სპექტაკლი, სადაც იქნება გართობაც, აბსურდიც, ძლიერი ემოციური მუხტიც და ყველაფერი ეს დაკავშირებულია ჩვენს ცხოვრებასთან. შევეჭიდები „პიკის ქალს“. კაზინო და ფულის თემა მინდა სხვანაირი კუთხით დავანახოთ მაყურებელს. ძალიან მიყვარს კლოუნი. ხშირად სიზმარშიც კი ვხედავ. ის არა მარტო აცინებს მაყურებელს, ატირებს კიდეც. კლოუნში იმდენი სევდაა. ეს არის პატარა ადამიანის ბედი, რომელსაც ჩარლი ჩაპლინი — ჩემი კუმირი — გვიჩვენებს გენიალურად. ქართული კლოუნადის ტიპაჟები სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლების სახით მინდა გამოვიყვანო სცენაზე და ყველამ ითამაშოს ის, როგორიც არის. ამას აუცილებლად განვახორციელებ.

**— ფესტივალებზე ან გასტროლებზე სად ყოფილხართ?**

— შარშან თელავში ფესტივალი იყო შემოდგომაზე, მაგრამ ცნობილი მოვლენების გამო ვეღარ წავედით. ყველა გასტროლი ფინანსებთან არის დაკავშირებული. ჩემი კოლეგა და მეგობარი ლაშა ონიანი გერმანიაში მუშაობს და გვეპატიჟება მიმოდრამის თეატრში. ახლა სანკტ-პეტერბურგში ფესტივალი იმართება. გვინდა წასვლა, მაგრამ უნივერსიტეტს თანხები უჭირს. არადა, თეატრისთვის გასვლა საჭიროა, სხვამაც უნდა ნახოს შენი ხელოვნება. დეკემბრის ბოლოს ბაქოში ათდღიანი გასტროლი იგეგმება, თუმცა, ესეც სათუოა.

და მაინც გიორგი გომურაშვილი აღფრთოვანებით საუბრობს თეატრზე, მსახიობებზე. მხატვარი ვაჟა შაბურიშვილი პანტომიმისტი იყო, შემდეგ სამხატვრო აკადემია დაამთავრა და სპექტაკლებს აფორმებს, პაატა მხეიძე ქორეოგრაფია და მსახიობი, თავადაც თამაშობს როლებს. ყველა, ვინც ამ თეატრშია, სიყვარულით ეკიდება საქმეს, ეს კი მათ სიძნელეების გადალახვას უადვილებს. თუ აქამდე არაფერი იცოდით პლასტიკის თეატრ „სხვენის“ შესახებ, დღეიდან ხომ იცით? ესტუმრეთ მას და კმაყოფილი დარჩებით.

**ნანული ზოტიკიშვილი.**

**სურათებზე: სცენები სპექტაკლებისა — „სტუმარ-მასპინძელი“ და „მხიარული ნოველები“.**

---

## განცხადება

**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ მოთხოვნით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სულამიგის“ მიერ წარმოდგენილია II კატეგორიის საქმიანობაზე:**

წყალტუბოს რ-ნის სოფ. ზარათის ტერიტორიაზე „ტეშენიტების გამოვლინების (საბადოს) დამუშავების პროექტი“.

**საპროექტო დოკუმენტაციის გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია 2005 წლის 25 იანვრამდე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს პრესცენტრში: თბილისი, კოსტავას № 68 ა, VI სართული და გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახურში: თბილისი, ფალიაშვილის № 87, ტელ: 25-02-19.**

**საჯარო განხილვა შედგება 2005 წლის 25 იანვარს 12 საათზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში.**

**გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახური.**

---

## შპს „საქართველოს რკინიგზა“ მის ბალანსზე რიცხული ჯართის რეალიზაციის მიზნით აცხადებს აუქციონს

**ინფორმაცია სარეალიზაციო ქონების შესახებ:**

საჯართე რელსი სულ 4836,648 ტ. მათ შორის

1. საჯართე რელსი 1739.49 ტ. მათ შორის:

ა) ხაშურის სალიანდაგო დისტანცია (ხაშურის რ-ნი) 1724.99 ტ (რელსის ტიპი: რ-65 822.21 ტ, რ-50 507.44 ტ, რ-43 395.349 ტ);

ბ) გორის შპალსაჟღენთი ქარხანა (ქ. გორი) 14.5 ტ (რელსის ტიპი რ-50 14.5 ტ). საჯართე რელსების საშუალო სიგრძე 10 მეტრიდან 25 მეტრამდე. საწყისი სარეალიზაციო ფასი 260923,50 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში. „ბე“-ს თანხა 142460 ლარი, ბიჯი 8697, 45 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში.

2. საჯართე რელსი 1073.695 ტ. მათ შორის:

ა) თბილისი-სახალხო სალიანდაგო დისტანცია (ქ. თბილისი) 522.055 ტ (რელსის ტიპი: რ-65 494.765 ტ, რ-50 10 ტ, რ-43 17.29 ტ);

ბ) თბილისი-საკვანძო სალიანდაგო დისტანცია (ქ. თბილისი) 516.64 ტ (რელსის ტიპი: რ-65 154.8 ტ, რ-50 175.44 ტ, რ-43 182.9 ტ, მსუბუქი 3.5 ტ);

გ) რელსშემდუღებელი ქარხანა (ქ. თბილისი) 35 ტ (რელსის ტიპი რ-65 35 ტ).

საჯართე რელსების საშუალო სიგრძე 10 მეტრიდან 25 მეტრამდე. საწყისი სარეალიზაციო ფასი 161054,25 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში. „ბე“-ს თანხა 87935 ლარი, ბიჯი 5368,48 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში.

3. საჯართე რელსი 1002.249 ტ. მათ შორის:

ა) სამტრედიის სალიანდაგო დისტანცია (სამტრედიის რ-ნი) 381.769 ტ (რელსის ტიპი: რ-65 130.314 ტ, რ-50 251.455 ტ);

ბ) ზესტაფონის სალიანდაგო დისტაცია (ზესტაფონის რ-ნი) 253.9 ტ (რელსის ტიპი: რ-65 170.900 ტ, რ-70 70 ტ, რ-43 13 ტ);

გ) ბათუმის სალიანდაგო დისტანცია (ბათუმის რ-ნი) 149.77 ტ (რელსის ტიპი რ-65 149 ტ);

დ) სალიანდაგო სამანქანო სადგური (ბროწეულა) 216.81 ტ (რელსის ტიპი რ-65 216.81 ტ). საჯართე რელსების საშუალო სიგრძე 10 მეტრიდან 25 მეტრამდე. საწყისი სარეალიზაციო ფასი 150337,35 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში. „ბე“-ს თანხა 82080 ლარი, ბიჯი 5011,25 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში.

4. საჯართე რელსი 1021.214 ტ. მათ შორის:

ა) გურჯაანის სალიანდაგო დისტანცია (გურჯაანის რ-ნი) 229.244 ტ (რელსის ტიპი: რ-65 58.22 ტ, რ-50 168.874 ტ, რ-43 2.15 ტ);

ბ) სალიანდაგო სამანქანო სადგური (ველი) 225.04 ტ (რელსის ტიპი: რ-65 158.04 ტ, რ-50 53.4 ტ, მსუბუქი 13.6 ტ);

გ) ბორჯომის სალიანდაგო დისტანცია (ბორჯომის რ-ნი) 177.76 ტ (რელსის ტიპი: რ-65 78.8 ტ, რ-50 50.4ტ, რ-43 29.56 ტ, მსუბუქი 19 ტ);

დ) ლანჩხუთის სალიანდაგო დისტანცია (ლანჩხუთის რ-ნი) 389.17 ტ (რელსის ტიპი: რ-65 389.17 ტ).

საჯართე რელსების საშუალო სიგრძე 10 მეტრიდან 25 მეტრამდე. საწყისი სარეალიზაციო ფასი 153182,10 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში. „ბეს“ თანხა 83635 ლარი, ბიჯი 5106,07 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში.

აუქციონში მონაწილეობა შეუძლია ყველა რეზიდენტ ან არარეზინდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სააუქციონო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

— დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას „მონაწილეზე“.

— შპს „საქართველოს რკინიგზის“ ანგარიშსწორების ანგარიშზე (ბანკი „რესპუბლიკა“ ცენტრ. ფილიალი ა/ა № 3407003205 ბანკის კოდი № 220101757 საიდენტიფიკაციო კოდი № 202886010) „ბეს“ და „მონაწილის ბილეთის“ ღირებულების გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითრები.

— პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული ასლი.

— ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის სახელით.

— იურიდიული პირი დამატებით წარმოადგენს სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ნოტარიულად დამოწმებულ ასლს.

თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი აკმაყოფილებს მოთხოვნებს, მონაწილე იღებს „მონაწილის ბილეთს“, რის შემდეგაც იგი ღებულობს მონაწილის სტატუსს.

პირმა, რომელსაც სურს მიიღოს მონაწილეობა რამდენიმე ქონების ცალკეული სახეობის ვაჭრობაში, უნდა გადაიხადოს „ბე“ თითოეულ ქონებაზე, შეიძინოს „მონაწილის ბილეთი“ თითოეულ სარეალიზაციო ქონებაზე და წარმოადგინოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია თითოეულ სარეალიზაციო ქონებაზე ცალ-ცალკე. აღნიშნულის შემდეგ მას მიეცემა ცალკეული სარეალიზაციო ქონების აუქციონის მონაწილის სტატუსი.

მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს 100 (ასი) ლარს.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია სარეალიზაციო ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის შემოთავაზება.

თანხის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ბანკი „რესპუბლიკა“ ცენტრ. ფილიალი ა/ა № 3407003205 ბანკის კოდი № 220101757 საიდენტიფიკაციო კოდი № 202886010 აუქციონი ჩატარდება 2004 წლის 12 იანვარს 12 საათზე შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციულ შენობაში.

აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადები მიიღება აუქციონის ჩატარებამდე ბოლო 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

განაცხადები მიიღება ყოველდღე (შაბათკვირის გარდა) 12 საათიდან 17 საათამდე. შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი № 15, შპს „საქართველოს რკინიგზა“ მე-4 სართული, ტ. 56-53-18.

აუქციონის შედეგები მტკიცდება აუქციონის ჩატარებიდან 10 დღის განმავლობაში. აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში ქონების გამოსასყიდი თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში მყიდველს „ბე“ არ დაუბრუნდება და არ მიეცემა მესაკუთრის უფლება.

გამარჯვებულს „ბეს“ სახით გადახდილი თანხა ჩაეთვლება ნასყიდობის ფასის სრულად გადახდის დროისათვის არსებული კურსით.

აუქციონის შედეგებზე ხელმოწერის უარის მთქმელ პირს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი „ბე“ არ დაუბრუნდება.

„მონაწილეს“ „ბეს“ დაუკავებლად უფლება აქვს, მხოლოდ განაცხადების მიღების პერიოდში განაცხადოს წერილობითი უარი აუქციონში მონაწილეობაზე.

ჯართის გატანასთან და აწონვასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს მყიდველი.

საკუთრების უფლების სანოტარო დამოწმების და აუცილებელი საბუთების გაფორმების ხარჯებს იხდის მყიდველი.

საბოლოო ანგარიშსწორება მყიდველსა და შპს „საქართველოს რკინიგზას“ შორის განხორციელდება ფაქტობრივად მიწოდებული პროდუქციის შესაბამისად.

**დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ შპს „საქართველოს რკინიგზაში“ ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი № 15, IV სართულზე, ტ. 56-53-18, 56-53-19, 56-33-48.**

---

## აშშ სახელმწიფო დეპარტამენტმა კიდევ 3 მილიონი დოლარი გამოყო უკრაინის არჩევნებისთვის

**ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს უკრაინის რადის გადაწყვეტილება მიაჩნია „უკრაინელი ხალხის გამარჯვებად“, აღნიშნა სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ადამ ერლიმ. როგორც მან თქვა, ქვეყნის მოქალაქეებმა „თავიანთი ინსტიტუტებისა და კანონების მეშვეობით შეძლეს აღმოეფხვრათ საარჩევნო კრიზისი და ქვეყანა დააყენეს ისეთ გზაზე, რომელიც აკმაყოფილებს უკრაინელი ხალხის ნებას“.**

„ეს ის გადაწყვეტილებაა, რომელსაც ჩვენ უნდა მივესალმოთ“, — განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო-პოლიტიკური დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

როგორც ცნობილია, უკრაინის უზენაესმა რადამ ოთხშაბათს შეიტანა ცვლილებები ქვეყნის კონსტიტუციაში, რის შედეგადაც უკრაინა იქცა საპარლამენტო-საპრეზიდენტო სახელმწიფოდ, აგრეთვე, მიიღო კანონპროექტი ადგილობრივი თვითმმართველობის თაობაზე კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ და უკრაინის კანონი „2004 წლის დეკემბერში ხელახალი კენჭისყრის დროს „უკრაინის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“ უკრაინის კანონის გამოყენების თავისებურებათა თაობაზე“.

„ჩვენ მოვუწოდეთ ყველა მხარეს, იღონონ ყველაფერი საიმისოდ, რომ 26 დეკემბრის არჩევნები იყოს დემოკრატიული, თავისუფალი და სამართლიანი, მისი შედეგები კი ასახავდეს უკრაინელი ხალხის ნება-სურვილს“, — თქვა ერლიმ.

მან აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დამატებით გამოუყოფს 3 მილიონ დოლარს ეუთოს, რომელიც, თავის მხრივ, ამ სახსრებს მოახმარს არჩევნებზე 100 ამერიკელი მეთვალყურის დაფინანსებას.

უკრაინის მოქმედი პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა ტელეფონით ესაუბრა შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს კოლინ პაუელს. როგორც პრეზიდენტის პრესსამსახური იტყობინება, საუბრის დროს პაუელმა მიულოცა კუჩმას მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება.



## იულია ტიმოშენკოს მიაჩნია, რომ მის წინააღმდეგ აღძრული საქმე შეწყდება იუშჩენკოს პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში

**უკრაინის ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერს იულია ტიმოშენკოს მიაჩნია, რომ რუსეთის სამართალდამცავი ორგანოების მიერ მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე დაიხურება უკრაინის ოპოზიციის ამჟამინდელი ლიდერის ვიქტორ იუშჩენკოს ქვეყნის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ.**

„ეს საქმე არის წმინდა წყლის პოლიტტექნოლოგია. იგი დაიხურება, როცა იუშჩენკოს აირჩევენ პრეზიდენტად, რუსეთ-უკრაინის ურთიერთობა კი უფრო დათბება“, — განაცხადა ტიმოშენკომ გაზეთ „იზვესტიისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.




როგორც ცნობილია, რუსეთის მთავარმა სამხედრო პროკურატურამ ტიმოშენკოს წაუყენა რუსი ოფიცრების მოქრთამვის ბრალდება, კერძოდ, აღნიშნავდნენ, რომ დაიდო კონტრაქტი რუსეთის თავდაცვის სამინისტროსთვის საშენი მასალების მიწოდების შესახებ „ეეს-უკრაინისთვის“ რუსეთიდან გაზის მიწოდების შედეგად წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის ანგარიშში. ამ ბრალდების საფუძველზე ტიმოშენკოზე გამოცხადდა საერთაშორისო ძებნა.

ტიმოშენკომ განაცხადა, რომ უკრაინის პრეზიდენტად ვიქტორ იუშჩენკოს არჩევის შემთხვევაში, მოსკოვსა და კიევს შორის დამყარდება ნორმალური ურთიერთობა. „მართალია, რუსეთი მთელ იმედებს ამყარებს იანუკოვიჩზე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ იუშჩენკოს გაპრეზიდენტება რუსეთისთვის უკეთესი იქნება, — აღნიშნავს ტიმოშენკო. — როცა იგი გახდება პრეზიდენტი, გაცილებით უფრო წარმატებით განვითარდება კიევისა და მოსკოვის ურთიერთობა. იუშჩენკო იქნება სახელმწიფოს ეფექტიანი მეთაური და რუსეთთან ნორმალურ მეგობრულ ურთიერთობას დაამყარებს“.

იუშჩენკოსა და უკრაინის ამჟამინდელ პრეზიდენტს ლეონიდ კუჩმას შორის მოლაპარაკების გამართვის შესახებ დასმულ კითხვას, იულია ტიმოშენკომ ასეთი პასუხი გასცა: „იუშჩენკოს არაფერი აქვს მოსალაპარაკებელი კუჩმასთან. ასეთმა მორიგებამ, შესაძლოა, მხოლოდ ხელი შეუშალოს იუშჩენკოს ხალხის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში, როცა იგი პრეზიდენტი გახდება“.

როგორც „იზვესტია“ აღნიშნავს, იულია ტიმოშენკო უკრაინის ოპოზიციის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ლიდერია. გარდა ამისა, იგი თითქმის ყველაზე გავლენიანი ფიგურაა. ზოგიერთი მონაცემებით, მასთან კონსულტაციების გარეშე ვიქტორ იუშჩენკო არც ერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას არ იღებს.

## აფეთქება დონეცკის შახტში

**დონეცკის ოლქში გრძელდება ავარიულ-სამიებო სამუშაოები „იუჟნო-დონბასკაიას“ შახტის ლავაში, სადაც მეთანის აფეთქება მოხდა. ავარიის ზონაში დაახლოებით 500 მეტრ სიღრმეზე იმყოფებოდა 31 მაღაროელი, რომელთაგან 28 ამოიყვანეს სამთო მაშველებმა.**

სანგრევში ნაპოვნია ცვლის ერთ-ერთი მაღაროელის ცხედარი, რომელიც მიღებული ტრავმების შედეგად გარდაიცვალა. დილით იპოვეს კიდევ ორი ტრავმირებული მეშახტე, რომლებიც გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევის შემდეგ ამოიყვანეს შახტის ზედაპირზე. ყველა მაღაროელი საავადმყოფოშია მოთავსებული.

ავარიის მიზეზები უნდა დაადგინოს სპეციალურმა კომისიამ, რომელიც უკვე შუდგა მუშაობას.

ამ ბოლო 12 წლის განმავლობაში უკრაინის ქვანახშირის მრეწველობის დარგში მოხდა 20-ზე მეტი დიდი ავარია, რომელთა შედეგადაც დაიღუპა თითქმის 600 მეშახტე. უკრაინაში სადღეისოდ მუშაობს დაახლოებით 180 შახტი, რომელთა უმრავლესობაც მეთანის აფეთქების გადიდებული საშიშროების მიხედვით, პირველ კატეგორიას განეკუთვნება.

## მოკლედ

**ისრაელის მმართველმა პარტიამ დაიწყო კენჭისყრა ეროვნული ერთობის შექმნის საკითხზე. არიელ შარონის პარტიის „ლიკუდის“ ცენტრალური კომიტეტის დაახლოებით სამი ათასმა წევრმა კენჭისყრის**



**დროს პასუხი უნდა გასცეს ასეთ კითხვას: უჭერენ თუ არა ისინი მხარს ახალი კოალიციის შექმნას, რომელიც შედგება „ლიკუდის“, „ავოდის“ და რელიგიური ფრაქციების წარმომადგენელთაგან.**

* * *

**მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე საკონტროლო-გამშვებ პუნქტში სცემეს პალესტინის ავტონომიის მეთაურის პოსტის კანდიდატს. ავტონომიის წყაროების მონაცემებით, ებრაელმა ჯარისკაცებმა სცემეს პალესტინის ავტონომიის პოსტის კანდიდატს — „ფათჰის“ ლიდერის მოგვარეს — ექიმსა და სამართალქომაგს მუსტაფა ბარგუთის. ისრაელის მხარე უარყოფს ამ ფაქტს.**

* * *

**ერაყიდან თითქმის ყველა შინ დაბრუნებული დაჭრილი სამხედრო მოსამსახურე ინვალიდად დარჩება. ამერიკელი ჯარისკაცები, რომლებიც მონაწილეობენ ავღანეთსა და ერაყში მიმდინარე საომარ მოქმედებებში, უმეტეს შემთხვევებში იღებენ მძიმე, მაგრამ არასასიკვდილო ჭრილობებს, რის შედეგადაც ხშირია მათი დაინვალიდების შემთხვევები. ასეთ დასკვნას შეიცავს სამხედრო ქირურგების მიერ მომზადებული მოხსენება.**



* * *

**სამხრეთ კორეის ერთ-ერთ საავადმყოფოში მისულმა პაციენტმა, რომელიც მწვავე ტკივილებს უჩიოდა თავის არეში, დიდად განაცვიფრა მრავლისმომსწრე ექიმები. რენტგენმა დაადგინა, რომ ამ ადამიანს თავში ჩარჭობილი ჰქონდა 5-სანტიმეტრიანი ლურსმანი, რომელსაც იგი 4 წლის განმავლობაში ატარებდა.**

* * *

**ამერიკელები აპირებენ ქვეყანაში შესვლა აუკრძალონ ბელორუსიის იმ სახელმწიფო მოხელეებს, რომლებიც არჩევნების დროს „თაღლითობაში**



**არიან ეჭვმიტანილი“. „ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა არაერთხელ გამოთქვეს შეშფოთება იმის გამო, რომ ბელორუსიის ხელისუფლების მოქმედება არ შეესაბამებოდა ამ ქვეყნის მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს და ლახავდა ადამიანის უფლებებს“, — განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახურის უფროსის მოადგილემ ადამ ერელიმ.**

* * *

**იაპონიის ქალაქ კიტაკიუსიუში წარმატებით გაიმართა მეხანძრეებისა და მაშველთა წვრთნა, რომელშიც პირველად მონაწილეობდნენ ხანძრისა და მიწისძვრის შედეგების წინააღმდეგ ბრძოლისთვის სპეციალურად შექმნილი რობოტები.**

**რობოტს მართავს ოპერატორი, რომელიც თვით რობოტში დამონტაჟებულ კაბინაში იმყოფება. რობოტის სიმაღლე 3,5 მეტრს აღწევს და იგი დაახლოებით ხუთ ტონას იწონის.**

## პალესტინელებმა ამერიკას და ევროკავშირს 4,5 მილიარდი დოლარი მოსთხოვეს

**პალესტინის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნაბილ შაათმა განაცხადა, რომ ავტონომიის ეკონომიკას სასწრაფოდ სჭირდება დახმარება.**

ოსლოში, პალესტინის ავტონომიის სპონსორი სახელმწიფოების კონფერენციაზე გამოსვლისას, შაათმა აღნიშნა, რომ დანგრეული ეკონომიკის აღსადგენად პალესტინელებს უახლოესი სამი წლისთვის დასჭირდებათ 4,5 მილიარდი დოლარი.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის მთელი რიგი ქვეყნებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციების წარმომადგენლები.



შაათის თქმით, მსოფლიო ბანკმა ასეთი თანხა განსაზღვრა როგორც „მინიმალური“.

პალესტინის ავტონომიის საგარეო საქმეთა მინისტრმა განმარტა, რომ ავტონომიის მოსახლეობის ნახევარი სიღატაკეში ცხოვრობს, სულ მოსახლეზე იქ დღეში 2 დოლარზე მეტი არ მოდის.

პალესტინის ავტონომიაში არჩევნების გამართვამდე რაიმე წინსვლა ისრაელთან სამშვიდობო მოლაპარაკების პროცესში მოსალოდნელი არ არის, დასძინა შაათმა. მან მხარეებს შორის ამჟამად არსებული კონტაქტების დონეს „დაბალი“ უწოდა.

⊙ აკრძალული ზონა

# ქალი ციხეში

**იჯდა ერთ დროს ქალი შინ – შვილებს ზრდიდა, მატყლს ართავდა, წინდას კემსავდა, საჭმელს ამზადებდა, სახლს ალაგებდა...**

რაო, მონა ხომ არ არისო, გარეთ გამოუშვითო, საქმეში ჩააბითო. გამოუშვეს, საქმეში ჩააბეს და, მამაკაცებს თავბედი საწყევლად გაუხადეს.

ქალი იმდენ უბედურებაში, იმდენ ბოროტებაში, იმდენ დანაშაულში გაება, რომ მისი მორჯულება, მოთვინიერება შეუძლებელიც კი გახდა.

ერთი სიტყვით, ქალმა გაიწია და ცხრა უღელმა ხარმაც ვეღარ შეაჩერა...

რახან სიტუაცია ასე განვითარდა, მართლმსაჯულებამ თავისი სიტყვა თქვა და სუსტი სქესის წარმომადგენლებიც იქ მიაბრძანა, სადაც, საერთოდ, თავს უყრიდნენ ძლიერი სქესის ავაზაკებს.

პირველად, ალბათ, ბევრს ეხამუშა ქალის ოთხ კედელში გამომწყვდევა, ოჯახს, ქმარს, შვილებს მოწყვეტა, მაგრამ როგორც სხვა ბევრ რამეს ვეჩვევით, ამასაც მივეჩვიეთ, ჩვეულებრივ ამბად ვაქციეთ.

და, ალბათ, გამოუსწორებელი შეცდომა სწორედ აქ დავუშვით. ყველაზე დიდი განგაში კაცობრიობას (და არა მარტო საქართველოს მოსახლეობას) მაშინ უნდა აეტეხა, როცა პირველი ქალი ციხეში წავიდა...

საქართველოში ქალთა საპატიმრო დაწესებულება მხოლოდ თბილისშია. იგი გათვალისწინებულია 250 ადგილზე და, ჩვენდა საბედნიეროდ, სადღეისოდ იქ მხოლოდ 90 მსჯავრდადებულია.

ღმერთმა ქნას, ესეც განახევრდეს, მინიმუმადე შემცირდეს, მაგრამ დრო ისე შეტრიალდა, ამის მიღწევა შეუძლებელი ხდება. ეკონომიკურმა გაჭირვებამ, უმუშევრობამ, უამრავი საქმის ქალის მხრებზე გადატანამ მისი ტვირთი დაამძიმა, სამართებლის პირზე სიარული ასწავლა.

ვინ იცის იმიტომ, რომ უარესებიც ხდება. ქუთაისელი ნინო ფრუიძე 5-ჯერ იყო ნასამართლევი ნარკოტიკების რეალიზაციისთვის და აჰა, მეექვსედაც ჩავარდა. 43 წლის ქალი მეექვსედ რომ ციხეში წავა, აბა, იმან როდისღა უნდა მოიცალოს ოჯახისა და შვილებისათვის?

თუმცა მოცლას ვინ ჩივის, ზოგი ქალი შვილსაც გვერდით იყენებს ავი ზრახვების განხორციელებისას და, შემდგომ, ციხეშიც თან მიჰყავს. რამდენად დასაძრახია ასეთი დედის საქციელი, ეს თავად მკითხველმა განსაჯოს ან ისევ იმ ქალმა, რომელიც აი ახლა, ამ წუთში შვილს მახეში აბამს...

წარმოშობით წალენჯიხიდან არიან დედა-შვილი თინათინ მიქავა და ლევან ციმინტია. დედამ ერთხელ ნარკოტიკები შეიძინა, წყალტუბოში დისშვილის ოჯახში შეინახა და შემდეგ თბილისში წამოსაღებად და გასასაღებლად შვილი მიიხმარა. ქუთაისის სადგურში ლევან ციმინტია პოლიციელებმა გააბეს და პარკიდან დაფასოებული ჰეროინი ამოუღეს. ცხადია, ლევან ციმინტია იქვე აიყვანეს. მალე მას თინათინ მიქავაც მიაყოლეს. ქუთაისის საოლქო სასამართლომ დედა 6 წლით, შვილს კი – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. არ ვიცი, დედამ შვილის მიმართ ასეთი ბოროტება როგორ უნდა ჩაიდინოს...

არა, მეტ ბოროტებასაც სჩადიან. როგორ არა, შვილებს კლავენ კიდეც. ასეთი ფაქტები საქართველოშიც არის, არის როგორც ქალის პირდაპირი, ისე მისი ირიბი მოქმედებით. ცხადია, ორივე შემთხვევა სავალალოა...

წლეულს გაუგონარი ამბავი დატრიალდა თბილისში. ძმამ და ჯერ გააუპატიურა, შემდეგ კი მოკლა. გოგონა სულ რაღაც თორმეტიოდე წლის იყო. ბიჭიც და გოგოც სადღაც, ნა-



გავსაყრელზე ცხოვრობდნენ, იქ ჯართს აგროვებდნენ, აბარებდნენ და თავს იმით ირჩენდნენ. დედა ციხეში იჯდა და იმიტომ.

ერთხელაც წაიჩხუბეს. დას ძმის საქციელი არ მოსწონდა, ნარკოტიკს ეძალებოდა, ციხიდან ერთხელ გამოვიდა და მეორედაც იქით მიიწევდა. ამიტომაც ძმას ეჩხუბებოდა, პოლიციით აშინებდა. ჰოდა, ძმამ გაიმეტა, ქამრით გაგუდა და ტყეში მიატოვა. დედამ ციხიდან ბიჭს დიდი წყევლა-კრულვა შემოუთვალა, მაგრამ ვინ უფრო იყო საწყევლი და საძრახი, ეს კიდევ გასარკვევია.

ამ შემთხვევაში მე გვარებს განგებ არ ვასახელებ. ბიჭი თავს იკლავს, დამნაშავე არა ვარო, მაგრამ არიან მოწმეები, რომლებიც საწინააღმდეგოს ამტკიცებენ.. თუ დედა შინ იქნებოდა, ალბათ, ეს ტრაგედია არ დატრიალდებოდა...

ამ დღეებში 16 პატიმარი ქალი შეიწყალეს და შინ გაუშვეს. როგორც ამბობენ, წარდგენილი იყო მეტი, მაგრამ გაუშვეს მხოლოდ 16. დასანანია, – ზოგიერთ ქალს ჩადენილი აქვს ისეთი მძიმე დანაშაული, რომლის გამოც საკნიდან არ უშვებენ, სიცოცხლის საწყისს გისოსებში სტოვებენ...

ათიოდე წლის წინათ სწორედ ამ ქალთა კოლონიაში, ერთ-ერთი პატიმრის დღიურში ასეთი ჩანაწერი იპოვეს: – „მზეო, შემოდი ჩემს ოთახში და წამიყვანე. შენს მეტი პატრონო მე აღარ მეგულება. შემოდი და წამიყვანე, მზეო, შენ ხომ ყოვლის შემძლე ხარ!“

მზეც უძლურია ზოგჯერ!

სამწუხაროდ, ქვეყნის სამწუხაროდ...

ახლახან თბილისში 21 წლის (ჯერ ეს რა ასაკია?) თამარ გახოკიძემ წაკინკლავებისას რკინის ნაჭერი უთავაზა ქმარს თემურ ქვანიას, რომელიც მაშინვე გარდაიცვალა. საქმე მის წინააღმდეგ განზრახ მკვლელობის მუხლით აღძრეს და უკვე წინასწარი პატიმრობაც შეუფარდეს.

ახლა თამარ გახოკიძემ, როგორც იტყვიან ხოლმე, ცხოვრების საუკეთესო წლები ციხეში უნდა გაატაროს და რატომ? რატომ დასრულდა ერთი (თუნდაც ათი) წაკინკლავება ტრაგედიით? დროზე გაშორება, ოჯახის ამ გზით მოშლა არა სჯობდა სიკვდილითა და ციხით დანგრევას?

ხანდახან ამბობენ, – ამას და ამას ეშმაკი შეუჯდაო, სულში სატანა ჩაუსახლდაო... იქნებ ერთხელ შეცდენილს ასეთი წარწყმედილის იარლიყი არ მივაკეროთ, მაგრამ როცა იგივე საშინელებას სჩადის მეორედ, მესამედ, მეხუთედ, მეშვიდედ? მაშინ რა ქნას საზოგადოებამ?

მარინა მოდებაძე პირველად 1996 წელს გაასამართლეს და განზრახ მკვლელობისთვის 8 წლით თავისუფლება აღუკვეთეს. მან ბათუმში კაცი დანით მოკლა, – შეურაცხყოფა მომაყენაო. 2003 წლის 20 აპრილს პატიმარი ციხიდან გამოუშვეს, იმავე წლის 29 სექტემბერს კი ისევ უკან შეატრიალეს. ამჯერად მან ისევ დანით, თავისი გულის სწორი – ვეფხია ბაქრაძე იმსხვერპლა და საკანში ისევ 8 წლით წავიდა.

ნეტა, რაღაა ეს ცხოვრება – 8 წელი პირველად, 8 წელი მეორედ. გამოვა იქიდან და ერთი 8 წელი იქნებ მესამედაც მიირტყას. ვინ იცის...

**ზონდო გულიაშვილი.**

⊙ გვირეკავენ, გვეკითხებიან

**– 1999 წლის სექტემბერში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დამეღუპა შვილი, რომელიც მუშაობდა შსს სისტემაში; 1993 წელს კი მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში.**

**როგორც მარჩენალდაკარგულის დედას, მეკუთვნის თუ არა შეღავათები კომუნალურ გადასახადზე?**

**გალინა შალიკაშვილი.**

– თუ თქვენ ცხოვრობთ თბილისში და ითვლებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების დროს დაღუპულის მშობლად და გაქვთ ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის მიერ გაცემული ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანის მოწმობა (ე. წ. პლასტიკური ბარათი), ქ. თბილისის ბიუჯეტის ხარჯზე, თავისუფლდებით კომუნალური მომსახურების გადასახადის გადახდისაგან, ხოლო თუ ცხოვრობთ რეგიონში, შეღავათები გაგივრცელდებათ იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი ბიუჯეტი იძლევა დაფინანსების საშუალებას.

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ არ გაქვთ ზემოაღნიშნული მოწმობა, გირჩევთ მიმართოთ ვეტერანთა საბჭოს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ან ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტს (თბილისი, ბაქრაძის ქ. 6).

**ირინე ღლონტი.**

**დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.**




⊙ მხარე

# იუბილარი რაიონი

**75 წლის წინათ, 1929 წლის 4 ნოემბერს, ჩხოროწყუს რაიონი ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოცხადდა. ამ საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად დიდი სახალხო დღესასწაული გაიმართა. იქ თავი მოიყარეს საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან, ასევე ქვეყნის გარედან ჩამოსულმა სტუმრებმა: ჩხოროწყუს რაიონში დაბადებულმა სხვადასხვა სფეროში მოღვაწე, გამოჩენილმა ადამიანებმა, მეცნიერებმა, ბიზნესმენებმა, პარლამენტის წევრებმა, მეზობელი რაიონების გამგებლებმა, ჟურნალისტებმა...**

ზეიმში მონაწილეობდა საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში გიორგი უგულავა, რომელმაც იქაურებს გულთბილად მიულოცა საიუბილეო თარიღი...

ჩხოროწყუელები სადღესასწაულოდ საგანგებოდ მოემზადნენ. სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს.

სტუმრებმა დაათვალიერეს რაიონში მცხოვრებ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა (განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა სოფელ კირცხის მკვიდრის, მხატვარ ჯემალ მალანიას უნიკალურმა ნამუშევრებმა) და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. მის უნიკალურ ფონდში აღრიცხულია 16 ათასზე მეტი ექსპონატი, რომლებიც შორეულ და უახლეს ისტორიულ წარსულს გვახსენებს.

სადღესასწაულო გალა-კონცერტი გახსნეს რაიონის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა „ჩხოროწყუმ“ (ხელმძღვანელი რობერტ გეთია), გამოვიდნენ რაიონის კულტურის სახლთან და სკოლებში ჩამოყალიბებული სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედების კოლექტივები. გაიმართა მოსწავლე ახალგაზრდობის წარმომადგენელთათვის თბილისში გამართულ შეჯიბრებებზე მოპოვებული ჯილდოების საზეიმო გადაცემის ცერემონიალი.

„ჩხოროწყუელობის“ ზეიმის მონაწილეებმა შემდეგ გადაინაცვლეს რაიონის ერთ-ერთ ულამაზეს საკურორტო სოფელ მუხურში.

მუხურის განახლებულ დასასვენებელ კომპლექს „ლუგელაში“, რომელიც განლაგებულია უნიკალურ დასასვენებელ ადგილზე – მდინარე ხობისწყლის მარცხენა მაღალ სანაპიროზე, მარადმწვანე ტყე-პარკით დამშვენებულ ტერიტორიაზე, გაიმართა სტუმრების მიღება.

სტუმრებს მიესალმა რაიონის გამგებელი მამუკა ვეკუა.

გულთბილად მოიხსენიეს არაერთი ღირსეული მოღვაწე, რომლებსაც თავიანთი სიცოცხლე დიდების შარავანდედით შეუმოსავთ და რაიონის ცხოვრების დიდი ისტორია შეუქმნიათ.

სათქმელი და საამაყო ბევრი აქვთ ჩხოროწყუელებს. აქ დაიბადნენ და გაიზარდნენ პირველი მფრინავი-კონსტრუქტორი ბესარიონ ქებურია, ბერლინის უნივერსიტეტის რექტორი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი კირილე ვეკუა, მათემატიკოსები, აკადემიკოსები ნიკოლოზ ვეკუა, ნიკოლოზ ვახანია, რამინ დიხამინჯია, დიდი მსახიობი აკაკი ხორავა, პოეტები ალეკო შენგელია, ხუტა ბერულავა და სხვები. ჩხოროწყუელთა სახელოვანი შვილია კოტე მახარაძე (დედა ქვედა ჩხოროწყუელი ჰყავდა). სოფელ ახუთში დაიბადა გამოჩენილი მათემატიკოსი ილია ვეკუა...

ზეიმი გვიანობამდე გაგრძელდა.



**სურათზე: „ჩხოროწყუელობაზე“.**

# უფალთან მიახლოების რწმენით...

**ცნობილია, რა საქმიანობასაც არ უნდა ეწეოდეს ადამიანი, რა გინდ ლამაზად, ლაზათიანად მოიწყოს ცხოვრების მატერიალური მხარე, მისთვის უმთავრესი უფალთან მიახლოების სურვილი უნდა იყოს...**



როგორც ამას წინათ ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ პუბლიკაციაში ვიუწყებოდით, სენაკის რაიონის გამგეობის საზრუნავი სოფელ ნოსირის მკვიდრების ზეინაბ და ტატაჩ ქაჯაიების მრავალშვილიანი ოჯახისათვის საკუთარი საცხოვრებელი სახლის მიკუთვნება იყო. რაკი ეს პრობლემა წარმატებით გადაიჭრა, რაიონის ხელმძღვანელობამ ამ ოჯახის ბავშვთა სულიერებაზე ზრუნვა გადაწყვიტა. რაიონის გამგებლის გურამ მისაბიშვილის წინადადებით, რომელიც ვერა და ვერ ივიწყებდა ახალმოსახლეობით გახარებული, სახეგაბადრული თერთმეტი მოზარდის დიდრონ თვალებს, გადაწყდა, რომ ისინი გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულზე მოენათლათ.

23 ნოემბერი, გასული წლიდან მოყოლებული, ქართული კაცის ცნობიერებაში სიმბოლურად დამკვიდრდა, როგორც ახალი ცხოვრების დასაწყისი.

სწორედ ღვთისა და ერის ამ დიდ დღესასწაულზე მოინათლა მრავალშვილიანი ოჯახის ათი ბავშვი.

ნათლობა შედგა ნოსირის მაცხოვრის აღდგომის სახელობის ტაძარში. ნათლიები იყვნენ გამგებელი გურამ მისაბიშვილი, მისი პირველი მოადგილე გიორგი მიქაია, მოადგილე ვეფხია ვეხვაძე, ასევე მანანა ბურსულაია, ირმა კუპრეიშვილი, დონარა ალანია, თამილა ბურსულაია, ტურფა ნაროუშვილი და მათი ნათესავები...

ღვთისა და ამ კეთილი ადამიანების წყალობით ახალმონათლულმა პატარებმა სრულყოფილებისაკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს და უფალთან მიახლოების ძნელად სავალ გზას შეუდგნენ...

**იოსებ გოგეჩია,**
**„სრ“ საკ. კორ.**
**ქ. სენაკი.**

**სურათზე: ზეინაბ და ტატაჩ ქაჯაიების მრავალშვილიანი ოჯახი ახალშეძენილი სახლ-კარისა და საჩუქრების ფონზე.**

**ავთანდილ ბაღათურიას ფოტოები.**

## პარასკევი, 10 დეკემბერი

**08.00** მოამბე **08.10** დოკ. ფილმი "კათედრალური ტაძრები" **09.10** მოამბე **09.40** სერიალი **"ჩემი საყვარელი ოჯახი"** **10.05** "იმღერე რამე" **10.30** მხ. ფილმი **"ხაფანგი"** (U) 1-ლი ს. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15, 20.50** სერიალი **"მკვლელობათა ძიების განყოფილება"** **13.00** მატარებელი **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "მითის ხელოვნება" **15.15** "ასე ვცხოვრობთ" **15.30** დოკ. სერიალი "ცხოველი და მისი ტერიტორია" **16.00** ფრენბურთში საქ. პირველი თასის გათამაშება, ალმოსავლეთი – დასავლეთი. **17.25** "ისტორიანი" **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. ფილმი "ცისფერი მატარებელი" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ტელე-ზღაპარი **21.50** "გრიფით საიდუმლო" **22.15** "აუდიტორია" – გ. რონიშვილი **00.00** მხ. ფილმი **"ხაფანგი"**

**19.00** საბ. სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **19.25** სერიალი **"ცხელი ზაფხული"** **20.15** "იმღერე რამე" **20.45** ტელე-ზღაპარი **21.00** ძველი აფიშა **21.35** აფხაზეთის ტელევიზია **22.05** მხ. ფილმი **"ლაქა"** (U)

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუტები" **10.00** სერიალი **"ეკლები და ვარდები"** **11.00** "ვის უნდა 50 ათასი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.45** კურიერი **12.20** სერიალი **"შეყვარებული ქალები"** **13.30** მხ. ფილმი **"აფონია"** (U) **15.25** სერიალი **"ბევერლი ჰილზი"** **16.30** სერიალი **"ეკლები და ვარდები"** **17.25** "ტელელიპუტები" **18.20** "ჟეტექსი 402-ე ოთახიდან" **18.55** სერიალი **"ბევერლი ჰილზი"** **19.40** პატრული **19.50** სერიალი **"შეყვარებული ქალები"** **22.00** ღამის შოუ **23.00** სერიალი **"სამეფო"** **00.00** მხ. ფილმი **"გუნდი"**. მთ. რ-ში: რიჩადრ დრეიფუსი. **02.05** პატრული **02.20** მხ. ფილმი **"ფელიცის მოგზაურობა"**.

**07.00** სერიალი **"რელიქვიების მაძიებელი"** **07.30** დოკ. სერიალი "ბუნების გენიოსები" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** "იმედის" დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი **"მოჯადოება"** **11.15** სერიალი **"მგლების ხორუში"** **12.20, 14.50, 17.15, 03.20** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 02.50 ტვ**-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი **"ჩვიდმეტი წლის"** (U) (ე. ვუდი) **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.40** ქრონიკა **15.20** სერიალი **"ოცნების სანაპირო"** **16.40** დოკ. სერიალი "უცნობი აფრიკა" **17.25** თამაში "ათასიდან ერთი შანსი" **18.05** სერიალი **"მოჯადოება"** **19.55** სერიალი **"ოცნების სანაპირო"** **20.30** თოკ-შოუ "რეაქცია" **23.00** "საიმედო ლოტო" **23.30** თამაში "ათასიდან ერთი შანსი" **00.05** მხ. ფილმი **"სუნამო"** **01.45** სერიალი **"ნეშ ბრიჯესი"**

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** "ფარული კამერა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი **"სინიორ ვიანელო"** **10.30** სერიალი **"ვუჰი"** **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი **"ჩენტო ვეტრინე"** **12.05** კრიმინ. დრამა "CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი **"პოლიციელი ქალები"** **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ტაიმსლოტი" **16.05** სერიალი **"მარია ემილია"** **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი **"პოლიციელი ქალები"** **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** სერიალი **"ჩენტო ვეტრინე"** **20.45** სერიალი **"სინიორ ვიანელო"** **21.15** სერიალი **"ვუჰი"** **21.45** კრიმინ. დრამა "CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **00.00** მხ. ფილმი **"თავისუფლების აჩრდილი"**

**18.00** მხ. ფილმი **"ჩემი ბრალი არ არის"** (U) **19.35** დოკ. ფილმი **20.35** კონცერტი **22.30** მხ. ფილმი **"ჯადოქრის სიყვარული"** (15)

**14.00** მხ. ფილმი **"თეთრი მტრედი"** (U) **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** სერიალი **"მილედი"** **19.20** სპექტრი **21.30** მხ. ფილმი **"დიდი ზომა"** (U) **23.00, 00.30** ქართული მუსიკა

## შაბათი, 11 დეკემბერი

**08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.30** მოამბე **08.15** მხ. ფილმი **"ხაფანგი"** (U) მე-**2**ს. **09.20** იმღერე რამე **09.50** საცირკო სანახაობა **11.00** მხიარული კარუსელი **11.30** საქართველო არის ესე **12.10** მხ. ფილმი **"ნაზი კანი"** **14.10** დოკ. ფილმი "ხეები" **16.00** მხ. ფილმი **"მსურველებს შეუძლიათ ჩაეწერონ"** **17.00** დოკ. ფილმი "ამერიკული კინო" **18.00** ვესტნიკი **18.40** "იმღერე რამე" **19.05** "ტელეზღაპარი" **19.20** "დრო და ადამიანები" - შვეიცერი **19.40** "ეთნოგრაფიული ჩანახატი" **20.35** მუს. ოქტაგონი - ჯ. სეფიაშვილი **21.25** საღამოს საუბარი **22.10** სპექტაკლი **"სტელა და ავი სული"** **00.45** მხ. ფილმი **"მოკვეთილი"** (U)

**19.00** საცირკო სანახაობა **19.50** საქართველო არის ესე **20.15** დოკ. ფილმი "კათედრალური ტაძრები" **21.10** "იმღერე რამე" **21.30** ფრაგმენტები სურათისთვის **22.00** "ეთნოგრაფიული ჩანახატი" **22.15** ასე ვცხოვრობთ **22.35** მხ. ფილმი **"ლაზარე"** (U)

**08.00** კლასიკა **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.20** "ჯეტიქსი" **11.00** სერიალი "დაკარგული ქალაქის მაძიებლები" **12.20** "გაიღიმეთ ფარული კამერაა" **12.50** მხ. ფილმი **"ბორსალინო და კომპანია"** (U) **15.20** სერიალი **"წმინდა ინგლისური მკვლელობები"** **17.00** სერიალი **"ვიდრე ხვალ"** **18.00, 21.00, 01.00** კურიერი **18.20** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **19.15** მხ. ფილმი **"ეის ვენტურა"** **22.00** "ფსიქო" – მხ. ფილმი **"ჩაშხამებული აპრილი"**. რეჟ. ვალტერ სალესი. **01.20** მხ. ფილმი **"მეომარი"** (18).

**08.50** ანიმაციური ფილმი "პრინცესას სასახლე" **09.50** მხ. ფილმი **"მაღალი ქერა მამაკაცი შავი ფეხსაცმლებით"** (U) **11.20** "რაო, რაო?" **11.30** "იმედითა შენითა" **11.45** "კლიპ-ლოტო" **12.40, 16.15, 02.40 ტვ**-მარკეტი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 23.15, 02.30** ქრონიკა **13.15** მხ. ფილმი **"სუნამო"** (U) **15.15** უცნობი საქართველო **15.45** წუთისოფელში **16.30** **"ნზა"**-ს ჟურნალი **17.10** დოკ. სერიალი "მშვიდობით მე-**20** საუკუნევ" **18.05** "პირველი ნაბიჯი" **19.30** ვაკაჭი-ნიუსი **20.05** მხ. ფილმი **"რეალური სიყვარული"** (U) (ჰ. გრანტი) **22.30** **ფეხბურთი**. იტალიის ჩემპიონატი. **00.20** "ნადიმი ჯ. კაშიასთან ერთად" **01.35** სერიალი **"ნეშ ბრიჯესი"** **03.10** იმედის მელოდიები

**09.00** მუსიკა მზეზე **09.30** მულტსერიალი "რედვოლი" **10.00** საბ. სერიალი **"ოდისეა"** **10.30** სერიალი **"დაკარგული ქვეყანა"** **11.30** შემეცნებითი პროგრამა "ექსტრემალური ამბები" **12.30** ტელეჟურნალი "სცენა" **13.00** სერიალი **"კარაბინერები"** **14.00, 17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **14.15** მხ. ფილმი **"დისწული"** (U) **16.15** მუსიკა მზეზე **16.30** შემეცნ. გასართ. პროგრამა "დები ტრევისის საოცარი სახლი" **17.20** "ფარული კამერა" **17.50** სერიალი **"დაკარგული ქვეყანა"** **18.50** "ჯეოსტარი" **19.00** სერიალი **"კარაბინერები"** **20.30** მუსიკ. კონკურსი "ჯეოსტარი" **22.00** მხ. ფილმი **"იტალიური დამწყებთათვის"** **00.00** ფეხბურთი. პრიმერა დივიზიონი.

**18.00** მხ. ფილმი **"სამი მამაკაცი და ჩვილი"** (U) **19.40** დოკ. ფილმი **20.30** სილუეტი **21.30** კონცერტი **22.30** მხ. ფილმი **"ჩემი ქალიშვილის ტოლი"** (12)

**15.00** მხ. ფილმი **"დიდი ზომა"** (U) **17.00** ქართული მუსიკა **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** "ცნობილი ადამიანების უცნობი წლები" **19.40** "საწინდარი" **21.30** მხ. ფილმი **"მეტრო"** (U) **23.00** გადაცემა "კალმახები" **23.30, 00.30** ქართული მუსიკა

საახალწლო სიურპრიზი
მაგთი GSM-ის აბონენტებს!
FAX
DATA
GPRS
GPRS - WAP
ნომრის დაფარვა
SIM-ბარათის აღდგენა
მონო ბარათის შეცვლა
MMS
ჩართვა უფასოა

⊙ გამოფენა

# ჯადოქრობა ბუმბულით



**ადამიანები ბუმბულს უხსოვარი დროიდან იყენებდნენ სხვადასხვა მიზნით მრავალ საქმეში, მაგრამ იმ სახით, როგორც ეს მხატვარმა ლია ბარნაბიშვილმა გამოიყენა, იშვიათობაა. მან ეს მასალა ჯერ თავის პალიტრას შემატა, რითაც ხელოვნების მაღალ დონეზე აიყვანა და იმგვარად დაეუფლა, რომ შეძლო ჭეშმარიტად მხატვრული ფერწერული ნამუშევრების შექმნა. ამის მოწმე გახდა გუშინ ყველა, ვინც კი ვახტანგ ჭაბუკიანის სახლ-მუზეუმის საგამოფენო დარბაზში, თბილისის მერიისა და საკრებულოს თაოსნობით მოწყობილ მისი პერსონალური გამოფენის გახსნას დაესწრო.**

ადრე ქალბატონ ლიას საზოგადოებრიობა იცნობდა როგორც ფერმწერს, კერამიკოსს, მხატვრული ქსოვილის ხელოვანს, სათანადო განათლებაც მიღებული აქვს ჯერ თბილისის იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში, შემდეგ კი სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში. „ფრთაბუმბულთწერა" მისი ბოლოდროინდელი გატაცებაა, თუმცა ძნელია გატაცება უწოდო იმას, რაც მისი ნიჭის, ალღოს, გემოვნების წყალობით იქმნება. პირველად დაახლოებით 12 წლის წინათ დაინტერესებულა ბუმბულით, მას შემდეგ ამ ორიგინალური საქმიანობით ზღაპრული სამყაროს მხატვრული ხედვა, სამყაროს აღქმა უპირველსად ფერის მეოხებით ხდება; ამიტომ არც ის არის გასაკვირი, რომ სწორედ მან დაინახა და თავის შემოქმედებაში დაუდო ბინა მასალის მხატვრული ეფექტების შექმნის უსასრულო საშუალებას... მი-



ბინადარი გახდა. იმას, თუ რა სილამაზეს იხილავს დამთვალიერებელი გამოფენაზე, აღწერა ძნელია, იგი უნდა ნახოთ!..

დამთვალიერებელი ერთბაშად ინუსხება თემათა მრავალფეროვნებით: პეიზაჟებით, ნატურმორტებით, პორტრეტებით, რომლებიც მხოლოდ ბუნებრივი მასალით – ფრინველთა ფერად-ფერადი, შეუღებავი ბუმბულით არის შექმნილი.



– ბუმბული უაღრესად საინტერესო მასალაა, რაღაც არნახული ბევრი შესაძლებლობებით, მასალას კი ხან ზოოპარკში ვაგროვებ, ხანაც ახლობლებს მოაქვთ ნანადირევი ფრინველი, – ამბობს ქალბატონი ლია.

**– წინასწარ ესკიზებს ქმნით თუ უშუალოდ მუშაობის პროცესში იბადება ნამუშევრები?** – ვეკითხები.

– ესკიზებს კი არა, ხანდახან კონტურებს ვქმნი, მერე კი შიგნით ბუმბულებს ვამოძრავებ, ვუსადაგებ... მეუბნება იგი.

აი როგორ აფასებს ლია ბარნაბიშვილის ხელოვნებას საქართველოს დამსახურებული მხატვარი ნანა კიკნაძე:

„იგი ჭეშმარიტი ფერმწერია. მისი „ფრთაბუმბულთწერა" ახალი სიტყვაა არა მარტო მის შემოქმედებაში, არამედ საერთოდ".

ამის დასტურია ის მრავალრიცხოვანი მადლიერი ჩანაწერები, რომლებიც თავმოყრილია შთაბეჭდილებათა წიგნში. მასზე შექმნილია დოკუმენტური ფილმი.

საგულისხმოა, რომ მხატვარმა თამარ მეფის პორტრეტი აჩუქა უწმინდესსა და უნეტარესს, კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს, განზრახული აქვს პრეზიდენტსაც უძღვნას საჩუქარი დაბადების დღისთვის.

გუშინდელი გამოფენის გახსნა დაემთხვა მხატვრის დაბადების დღეს, ქალბატონ ლიას ორმაგი სიხარული მოუტანა ამ დღემ. იგი ერთდროულად იღებდა გულთბილ მილოცვებს და ბუნებისა და ადამიანის ამ საოცარი ჰარმონიული შერწყმით აღფრთოვანებულ დამთვალიერებელთა მადლიერებას.

**რუსუდან მუხიგულაშვილი.**

**სურათებზე: ლია ბარნაბიშვილი; საგამოფენო დარბაზში; გამოფენის ერთ-ერთი ექსპონატი.**

⊙ ფეხბურთი

# ერთ კვირაში კენჭისყრაა

**17 დეკემბერს შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბბინაში ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალისტთა კენჭისყრა კონტინენტის 16 საუკეთესო კლუბს დააწყვილებს. ჯგუფური რაუნდის შემდეგ მაქსიმალური წარმომადგენლობა მხოლოდ ინგლისელებმა შეინარჩუნეს – „არსენალი", „ჩელსი", „მანჩესტერი" და „ლივერპული". 3-3 გუნდით განაგრძობენ პრესტიჟული ჯილდოსათვის ბრძოლას გერმანია („ვერდერი", „ბაიერნი", „ლევერკუზენი") და იტალია („მილანი", „იუვენტუსი", „ინტერი"). წლეულს შედარებით დათმეს პოზიციები ესპანეთმა („ბარსელონა", „რეალი") და საფრანგეთმა („მონაკო", „ლიონი"). მათ ფონზე, დაგვეთანხმებით, სიმბოლურად გამოიყურება ჰოლანდიელთა („ეინდჰოვენი") და პორტუგალიელთა („პორტუ") საშემოდგომო მონაგარი, თუმცა რაოდენობა, მოგეხსენებათ, ყოველთვის არ განსაზღვრავს ხარისხს. აქვე გაუწყებთ, რომ მერვედფინალური მატჩები 22-23 თებერვალსა და 8-9 მარტს გაიმართება. ახლა კი მოკლედ ოთხშაბათის ბატალიების შესახებ.**

**„ა" ჯგუფი. „ლივერპული" – „ოლიმპიაკოსი" 3:1.**

**გოლები: სინამა, მელორი, ჯერარდი, რივალდო.**

**„დეპორტივო" – „მონაკო" 0:5.**

**გოლები: ჩევანტონი, ქივე, სავიოლა, მაიკონი, ადებაიორი.**

„ენფილდ როუდზე" მოვლენები მართლაც რომ დრამატულად განვითარდა – მე-80 წუთისთვის ტაბლო მასპინძელთათვის უიმედო ციფრებით იყო შემკული 1:1, თუმცა დარჩენილი მცირე დრო საკმარისი აღმოჩნდა ლოგიკური შედეგის მისაღწევად. აღსანიშნავია, რომ ბერძენთა კარში ორი გოლი რეზერვისტებმა გაიტანეს.

რაც შეეხება მეორე წყვილს, ირურეტას გუნდმა საბოლოოდ შეირცხვინა თავი და გათამაშებას უგოლოდ გამოეთიშა.

**„მონაკო" – 12, „ლივერპული", „ოლიმპიაკოსი" – 10-10, „დეპორტივო" – 2 ქულა.**

**„ბ" ჯგუფი. „რომა" – „რეალი" 0:3.**



**გოლები: რონალდო, ფიგუ (2).**

**„ლევერკუზენი" – „დინამო" (კიევი) 3:0.**

**გოლები: ქუანი, ვორონინი, ბაბიჩი.**

რომაელთა ამ მატჩისადმი დამოკიდებულება კარგად გამოჩნდა მათი სალაღობო შემადგენლობით – „ოლიმპიკოს" სტადიონის ცარიელ ტრიბუნებს მხოლოდ ჟურნალისტები ამშვენებდნენ და ისინი „სამეფო კლუბის" ვარსკვლავური ბურთაობით ტკბებოდნენ.

საპირისპირო სურათი ვიხილეთ ლევერკუზენში, სადაც ბუნდესლიგელებმა კოშმარული მეორე ტაიმით გამოისტუმრეს ამბოხებული უკრაინის შვილები.

**„ლევერკუზენი", „რეალი" – 11-11, „დინამო" (კიევი) – 10, „რომა" – 1 ქულა.**

**„გ" ჯგუფი. „აიაქსი" – „ბაიერნი" 2:2.**

**გოლები: გალაშეკი, მიტეა; მაკაი, ბალაკი.**

**„მაქაბი" – „იუვენტუსი" 1:1.**

**გოლები: დაგო; დელ პიერო.**

ამ ჯგუფში ყველაფერი გარკვეული იყო, ამიტომ საინტერესო მხოლოდ ის გახლდათ, მოიგებდა თუ არა „ბებერი ქალბატონი" ზედიზედ მეექვსე შეხვედრას ერთნაირი ანგარიშით – 1:0. ამ მიზნის მიღწევაში იტალიელებს ხელი მცველმა ძებინამ შეუშალა, რომელმაც პენალტი „აიკიდა" და პარტნიორებს „მშრალი" სეზონი დაუსველა.

**„იუვენტუსი" – 16, „ბაიერნი" – 10, „აიაქსი", „მაქაბი" – 4-4 ქულა.**

**„დ" ჯგუფი. „ფენერბახჩე" – „მანჩესტერი" 3:0.**

**გოლები: სანლი (3).**

**„ლიონი" – „სპარტა" 5:0.**

**გოლები: ესიენი, ნილმარი (2), იდანგარი, ბერგონუქსი.**

**„ლიონი" – 13, „მანჩესტერი" – 11, „ფენერბახჩე" – 9, „სპარტა" – 1 ქულა.**

დავძენთ, რომ I ეტაპის საუკეთესო ბომბარდირი 8 გოლით რუუდ ვან ნისტელროი („მანჩესტერი") გახდა, მას ერთი ბურთით ჩამორჩა ასევე ჰოლანდიელი როი მაკაი („ბაიერნი").

**გია პლატონიშვილი.**

⊙ ეროვნული თასი

# ზრუნვის შედეგი

**გუშინ კალენდრით დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის გათამაშების საპასუხო მეოთხედფინალური მატჩები იყო დანიშნული, თუმცა თბილისელთა ევროპული ბატალიების გამო ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე „დინამოსა" და „ზესტაფონის" პირველი მერვედფინალური შეხვედრაც გაიმართა.**

გულშემატკივართათვის ცნობილია, რომ კლუბის ახალი პრეზიდენტის ილია კოკაიას ძალისხმევით სტუმართა ფინანსური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, რაც ეროვნული ჩემპიონატის ბოლოდროინდელ შედეგებზეც აისახა. დაუმატეთ ამას ერთ-ერთი წამყვანი ქართველი მწვრთნელის თემურ მახარაძის ფაქტორიც და აღარ გაგიკვირდებათ, რომ მასპინძლებმა საწადელს მხოლოდ მსაჯის მიერ დამატებულ დროში მიაღწიეს – 2:1 (გოლები: მელქაძე, ჭიჭველიშვილი; პარამონოვი). თუ გავითვალისწინებთ, რომ 12 დეკემბერს საპასუხო დუელში ზესტაფონელებს სამშობლოში ახლახან დაბრუნებული იონანიძე და ჩხეტიანი დაემატებათ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ფავორიტს შემდეგ ეტაპზე გასვლა ძალიან გაუჭირდება, იქ კი ამ წყვილის უძლიერეს გუნდს „ბათუმი" ელოდება.

გაუწყებთ საპასუხო მეოთხედფინალური რაუნდის შედეგებსაც: „ტორპედო" – **„თბილისი"** 2:1 (0:2), **„ვიტ ჯორჯია"** – „ამერი" 2:0 (5:2), **„ლოკომოტივი"** – „კოლხეთი" 2:0 (0:0).

დავძენთ, რომ ბრძოლა ეროვნული თასისათვის გაისად გაზაფხულზე განახლდება.

⊙ ძიუდო

# ევროპაში გამოგვარჩიეს

**საქართველოს ძიუდოისტებმა ბოლო ოთხი წლის განმავლობაში არნახულ წარმატებებს მიაღწიეს, კერძოდ, ორჯერ ევროპის გუნდური ჩემპიონობა მოიპოვეს, მსოფლიო პირველობაზე მხოლოდ იაპონელებს ჩამორჩნენ, ჭაბუკებმაც ორჯერ იმარჯვეს ევროპის მოზარდთა ფესტივალებზე...**

ჩვენმა ფალავნებმა პირად პირველობებშიც არაერთი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ჯილდო დაიმსახურეს მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე, რასაც ათენის ოლიმპიური თამაშებიდან ზურაბ ზვიადაურის ოქროს და ნესტორ ხერგიანის ვერცხლის მედლებიც აგვირგვინებს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში ევროპის ძიუდოს ფედერაციის კონგრესზე საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია და მისი პრეზიდენტი დილარ ხაბულიანი განვლილ ოთხწლიან ციკლში საუკეთესოდ მიიჩნიეს ევროპაში.

ქართული ძიუდოს ბოლოდროინდელ აღიარებას მიეძღვნა შეხვედრა, რომელიც საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში გაიმართა. სეოკის პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა დილარ ხაბულიანს, და, მისი სახით, საქართველოს ძიუდოისტებს მიულოცა ესოდენ დიდი დაფასება. ევროპელი კოლეგებისგან გამორჩეულმა ქართული ძიუდოს თავკაცმა აღნიშნა, რომ ამგვარი წარმატების მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა სეოკის, ოლიმპიური ფონდისა და მისი ხელმძღვანელის – ბადრი პატარკაციშვილის, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის აქტიური თანადგომა და დახმარება. ბოლოდროინდელმა მიღწევებმა ძიუდოს პოპულარობა საქართველოში არნახულად გაზარდა. დასტურად ისიც გამოდგება, რომ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვახტანგ ბლაგიძემ და თავისუფალ ჭიდაობაში ორგზის მსოფლიო ჩემპიონმა ელდარ კურტანიძემ თავიანთი შვილები ძიუდოზე მიიყვანეს სავარჯიშოდ. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა შოთა ჩოჩიშვილმა ისიც გვაუწყა, რომ მათ ერთ-ერთ იაპონელ კოლეგას უთქვამს, ქართველები დღეს ჩვენზე ლამაზად ჭიდაობენო.

მომავალში ჩვენს ძიუდოს უფრო თვალსაჩინო წარმატებები ექნება. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ბოლო წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა მისი გეოგრაფია. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ბრძანებულებით გამოიყო თანხა 70 ტატამის შესაძენად. ნახევარზე მეტი უკვე ჩამოტანილი და დარიგებულია საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში.

ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, პარლამენტარმა გია ნაცვლიშვილმა ჩამოაყალიბა კლუბი „საგარეჯო", რომელიც უძლიერესი ფალავნებით დააკომპლექტა, მათ შორის ოლიმპიური ჩემპიონები – ზურაბ და ჯარჯი ზვიადაურებიც არიან. ანალოგიურ კლუბებს აყალიბებენ დუშეთში ვეტერანი ძიუდოისტი დავით ნამგალაური და რუსთავში პარლამენტარი გია ხევიაშვილი. ასე რომ, გაისად საქართველოში ძიუდოისტთა საკლუბო ჩემპიონატიც შეიძლება გაიმართოს. ფედერაცია კლუბებისა და ჯგუფების ჩამოყალიბებასთან ერთად გაისად მწვრთნელთა ლიცენზირებასაც დაიწყებს.

შეხვედრაზე ითქვა ისიც, რომ გორში დაარსდება ძიუდოს აკადემია, ხოლო დუშეთში შეიქმნება ევროპული მასშტაბის ცენტრი, სადაც ყოველწლიურად ორჯერად წვრთნას გაივლიან ევროპის უძლიერესი ძიუდოისტები. ცენტრის ასაშენებლად საჭირო სახსრების გამოსაყოფად ევროპის ძიუდოს ფედერაცია ოლიმპიური სოლიდარობის ფონდთან გვიშუამდგომლებს.

სეოკში შეხვედრას ესწრებოდნენ ირანის ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი მოჰამად ღურახშანი და იქაური ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალი რეზა ამინი, რომლებსაც ქართველ კოლეგებთან მჭიდრო კონტაქტის დაამყარება სურთ, რათა ჩვენებმა საკუთარი წვლილი შეიტანონ ირანული ძიუდოს განვითარებაში.

**ვაჟა დანელია.**

⊙ ჭრელაჭრულა

## კარტოფილი ფეხბურთის გადასარჩენად



**საყვარელი გუნდის გადასარჩენად გულშემატკივარი რას არ გააკეთებს! ამის დასტურია ხორვატეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მესამე დივიზიონის ერთ-ერთი კლუბის ქომაგთა გადაწყვეტილება – თავიანთი მოწეული კარტოფილის რეალიზაციით აღებული ფულით ფეხბურთელებს დახმარებოდნენ.**

კლუბის ხელმძღვანელობას სახსრები არ გააჩნია, ფეხბურთელებს ხელფასი რომ გადაუხადოს, თანაც სპონსორობის პერსპექტივებიც არ ჩანს. გუნდის გაჭირვების ამბავი გულშემატკივრებმა რომ შეიტყვეს, სასწრაფოდ 6 ტონა კარტოფილი შეაგროვეს, კლუბის ხელმძღვანელებს გადასცეს წინადადებით, მისი გაყიდვით აღებული ფული გუნდისთვის მოეხმარებინა.

მთავარი კი შემდეგშია: თუმცა ფეხბურთელები თვეობით ხელფასს ვერ ღებულობენ, მაინც თავგამოდებით იბრძვიან გუნდის მეორე დივიზიონში გადასაყვანად. ალბათ ამანაც გამოიწვია გულშემატკივრების ასეთი თანადგომა. მათ ისიც განაცხადეს, რომ, თუკი გუნდი სეზონში ნამდვილად გამოიჩენს თავს, ისინი უფრო მეტ კარტოფილს მოიყვანენ მის დასახმარებლად.

## გაყრა 140 წუთში

**ჩვენ უკვე ვწერდით ცნობილ ფეხბურთელ ჯორჯ ბესტსა და მის მშვენიერ მეუღლეს – ალექსის შორის არსებულ უთანხმოებებზე. ამბობენ, რომ სახელოვან ფეხბურთელს ხშირად ერთმანეთში ეშლებოდა ბურთი და ცოლი, ორივეს დარტყმებს არ აკლებდა. მათი გაყრის სასამართლო პროცესი კი, ალბათ, დააინტერესებს ჰოლივუდის რომელიმე რეჟისორს ეპიკური კინოფილმის შესაქმნელად და ნიკოლას კეიჯის ფილმის „გატაცება 60 წამში" მსგავსად გადააღებინებს ახალ ფილმს „გაყრა 140 წამში". სწორედ ამდენი ხანი დასჭირდა მოსამართლეს ალექსისა და ჯორჯის გასაქორწინებლად.**



ლამაზმანი ამიერიდან ქალბატონი ბესტი აღარ იქნება. მისი ქალიშვილობის გვარი პერსი ყოფილა, თუმცა ახლა მაკადამი გახდა. ამ გვარს თურმე მისი წინაპრები ატარებდნენ. „თუმცა ძნელია პასპორტისა და საკრედიტო ბარათების გამოცვლა, მაგრამ ახლა ყველაფერი ნულიდან უნდა დავიწყო", – განაცხადა ალექსმა. სწორედ მაკადამის გვარით ფიქრობს იგი თავისი ავტობიოგრაფიის გამოცემას, რომლის სახელწოდება იქნება „მუდამ ალექსი".

## წვერს რა უყოს?

**როგორც ლას-ვეგასიდან იტყობინებიან, ბრიტანელი მოკრივე დენი უილიამსი იმუქრება, რომ ის შაბათს არ გამოვა რინგზე მძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონობისათვის უკრაინელ ვიტალი კლიჩკოსთან საბრძოლველად, თუკი ნევადის შტატის ათლეტთა კომისია კვლავ მოსთხოვს წვერის გაპარსვას, რაც მოშვებული აქვს როგორც ისლამის მიმდევარს.**

იქაური პრესა იტყობინება, რომ ათლეტთა კომისიის დირექტორმა მარკ რატნერმა განაცხადა, მისი თანამშრომლები დაათვალიერებენ უილიამსის წვერს და მთლიანად გაპარსვას თუ არა, მის დამოკლებას მაინც მოითხოვენ, თუ მიიჩნევენ, რომ მან, შეიძლება, კლიჩკო დაფხაჭნოს.

თავად კლიჩკოს გუნდის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათ არ აშინებთ მეტოქის წვერი, თუკი მის უკან რაიმე რკინის საგანს არ დამალავენ.

⊙ გვწერენ

# სიკეთეც არჩენს

**ძვირფასო რედაქცია, მინდა თქვენი გაზეთის მეშვეობით მადლიერება გამოვხატო პროფესიონალი კეთილი ადამიანებისადმი, რომლებიც მწედ მომევლინენ ჩვენი ოჯახის დიდი გასაჭირის დროს.**

საქმე ის არის, რომ ჩემს შვილს – ნიას ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის ბავშვთა განყოფილებაში მოუწია მკურნალობა. მადლობა ღმერთს, რომ ჩვენს არეულ დროში არიან გულითადი, კეთილი, მაღალზნეობრივი ადამიანები. სწორედ ასეთმა ადამიანებმა, მათმა გაგებამ და თანადგომამ ლამის მკურნალობისოდენი შედეგი გამოიღო.

ჩემი შვილის ჯანმრთელობა მართლაც საიმედო ადამიანების ხელში მოხვდა. მადლობა განყოფილების გამგეს თენგიზ გვასალიას. ძალიან გთხოვთ, ტექსტის ეს ნაწილი არ შემიმციროთ: როცა ბატონმა თენგიზმა ჩემი შვილი გასინჯა, მითხრა, რომ ბავშვს ხანგრძლივი მკურნალობა დასჭირდებოდა. ბავშვის მდგომარეობით შეწუხებული, დაბნეული ვიდექი, მან კი დამიყვავა და მითხრა, რაიონში ნუ წახვალთ, დროსაც ნუ დაკარგავთ, თუ თქვენი საჭიროებისთვის ფული არა გაქვთ, მე შემოგაშველებთ, თორემ, აქ მკურნალობა უფასოაო. კარადიდან თაფლიანი ქილა გადმოიღო და გადმომცა, ბავშვს აჭამეო. კიდევ რამდენის თქმა შეიძლება ამ დიდებული ადამიანის შესახებ: უნდა აღინიშნოს, რომ არა მარტო ბატონი თენგიზი, არამედ პალატის ექიმი ლამარა მუმლაძე და მთელი მედპერსონალი მობილიზებული არიან იმისთვის, რომ პაციენტს არაფერი გაუჭირდეს.

ღმერთო, უმრავლე საქართველოს ასეთი ადამიანები.

**ნატო ბერძენიშვილი.**

## ალბომში

# ყველას რაიმე აქვს



საქართველოს სახალხო კონტროლის კომიტეტის თანამშრომელთა ერთი ჯგუფი. 1972 წელი. სხედან: გიორგი რაქვიაშვილი, თეიმურაზ ჯაფარიძე, დავით კიკნაძე; დგანან: ვამეხ დუდუჩავა, ადიკო ინჯია, რევაზ ტყემალაძე.

მოგვაწოდა რევაზ ტყემალაძემ.

## გიხაროდეთ!

# მოდებაძეებს მეოთხე შვილიშვილსაც ვულოცავთ



– ერთ წელიწადზე მეტია, რაც თეონა და ლექსო მოდებაძეებმა ტრადიციული ქართული ოჯახი შექმნეს. ამ დღეებში თეონას თბილისში, აკადემიკოს ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში პირველი შვილი შეეძინა – ანა. პატარა ანას პაპას ინდმეწარმე ზეინალ მოდებაძეს და ბიზნესმენ თამარ მოძღვრიშვილს შვილიშვილების თამარის, რუსუდანის და ერეკლეს დაბადება გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ თავის დროზე მიულოცა, ახლა კი ამ ოჯახს მეოთხე შვილიშვილი ანაც მიემატა.

– დეკემბრის თვის ბოლო საღამოს შვილები და შვილიშვილები რაიონის ცენტრში, ჭავჭავაძის ქუჩაზე მცხოვრებ ბებია-პაპასთან შეიკრიბებიან და ყველა ერთად შეხვდება 2005 წლის შემობრძანებას, – გვაცნობა დედოფლისწყაროდან ჩვენმა საკუთარმა კორესპონდენტმა **ნანა ჭიჭინაძემ.**

**ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.**

## ცოტაც გავიღიმოთ...



პატარა გოგონამ შემთხვევით მოჰკრა თვალი აბაზანიდან გამოსულ მამას.

— დედიკო, ის რა არის, მამას რომ აქვს?

— შვილო, ის მამაშენის ისეთი საგანია... მოკლედ, ის რომ არ ყოფილიყო, შენ აქ არ იქნებოდი, თუმცა, არც მე ვიქნებოდი აქ, — დაამატა შემდეგ.

* * *

ორი მეზობელი შეხვდა ერთმანეთს. ერთი ძალიან გატანჯული და მოწყენილი ჩანს.

— როგორა ხარ, რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის?

— ჩემმა ტარაკნებმა გუშინ მეზობლის ტარაკნებს ომი გამოუცხადეს.

— მერე რა განაღვლებს, ერთმანეთს ამოხოცავენ.

— ამოხოცავენ კი არა, ჩემებმა ათას ხუთასი ტყვე მოიყვანეს!

* * *

ახალგაზრდა წყვილი სოფელში ჩავიდა, ბინა დაიქირავა, ოთახში ჩაიკეტა და ერთმანეთთან სასიყვარულო ალერსში გართული სამი დღე არ გამოსულა გარეთ.

— შვილებო ცოცხლები ხართ?
— აკაკუნებს კარზე მეოთხე დღეს მოხუცი დიასახლისი.

— ცოცხლები ვართ.

— კი, მაგრამ არ მოგშივდათ? რას ჭამთ?

— სიყვარულის ნაყოფს.

— კარგი, შვილებო, ჭამეთ, მაგრამ ნაფცქვენებს ფანჯრიდან ნუ ყრით, თორემ ბატები დაიხრჩვნენ.

* * *

ბიჭი ეზოში ფეხბურთს თამაშობს.

— ფრთხილად იყავი, თორემ მეზობლის ფანჯრის მინას თუ ჩაამსხვრევ, იცოდე, შიგ შენს უკანალს ჩავსვამთ, — ეუბნება დედა.

— დედიკო, როდესაც სადილად წავალ, ხომ შემცვლი.

* * *

ისეთი ცხოვრებაა, რომ სამგლოვიარო მარშიც კი ამაღლებს განწყობას.

* * *

ცოლი ხალხი არ არის — არ მოგითმენს!

* * *

კაცს სამი შვილი ჰყავდა. გაიზარდნენ ბავშვები, დავაჟკაცდნენ. უფროსი ვაჟი არწივივით აიჭრა მაღლა, დიდი თანამდებობრივი კარიერა გაიკეთა. შუათანა ვაჟი შევარდენივით მამაცი და გაბედული გამოვიდა, მალალჩინოსანი სამხედრო გახდა. ნაბოლარა კი წეროს თვისებებით გაიზარდა და თანასოფლელი ქალებისთვის ყოველწლიურად თითო ბავშვი მოჰყავდა.

## თაობა

# «დებიუტი» ნიჭიერ ახალგაზრდებს უხმობს



**წლეულს თბილისში მესამედ გაიმართება „დებიუტი“ – სტუდენტური სპექტაკლებისა და ფილმების კონკურს-ფესტივალი, რომელიც საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირის ინიციატივით ეწყობა (დამფუძნებლები: მამუკა ტყემალაძე, გეგა ქურციკიძე, ბადრი წერედიანი და თეა კახიანი).**

როგორც გასულ წლებში, ისე ახლაც „დებიუტი“ მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს სტუდენტური შემოქმედების პოპულარიზაციას და ახალგაზრდა, ნიჭიერი ხელოვანების წარმოჩენას. სწორედ ამიტომ ფესტივალზე დასწრება უფასოა, რათა ყველას მიეცეს წარმოდგენილი ნამუშევრების გაცნობის საშუალება.

ფესტივალში მონაწილეობს საქართველოში არსებული თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებელი. საგულისხმოა, რომ „დებიუტს“ წლეულს საერთაშორისო სტატუსი მიენიჭა, რაც როგორც სტუდენტებს, ისე ზოგადად ხელოვნებით დაინტერესებულ ადამიანებს, საშუალებას მისცემს გაეცნონ უცხოურ ახალგაზრდულ შემოქმედებას. საკონკურსო პროგრამაში მონაწილეობენ სტუდენტები აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, ნიდერლანდებიდან, ლიტვიდან, სტუმრებს ელიან დიდი ბრიტანეთიდანაც.

„აქამდე სხვა ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებთან კონტაქტი არ გვქონია, წლეულს ამაში თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის საზღვარგარეთთან ურთიერთობის განყოფილება დაგვეხმარა. ჯერჯერობით მხოლოდ რამდენიმე ქვეყანას დავუკავშირდით და მშვენივრად ვიცით, რომ ეს საკმარისი არ არის, მაგრამ სამომავლოდ კონტაქტების გაღრმავებას და ახალი მეგობრების მოძებნასაც ვაპირებთ. ვიმედოვნებთ, რომ მომავალში ბევრად უფრო მეტი სტუმარი გვეყოლება. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სტუდენტები სხვა ქვეყნის ახალგაზრდულ შემოქმედებასთან ერთად ერთმანეთს გაიცნობენ და დამეგობრდებიან“, – გვითხრა თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირის თავმჯდომარემ თეა კახიანმა.

თეატრისა და კინოს ინსტიტუტის არსებობის 80 წლის მანძილზე „დებიუტი“ პირველი კონკურს-ფესტივალია, სადაც სტუდენტი წინასწარ განსაზღვრული ნომინაციების მიხედვით ფასდება. კომპეტენტურ ჟიურის მოუწევს თეატრალური ხელოვნების დარგში გამოარჩიოს წლის საუკეთესო სპექტაკლი, რეჟისორი, მუსიკალური გაფორმება, სცენოგრაფია, ქალისა და მამაკაცის როლების საუკეთესო შემსრულებლები, ხოლო კინოხელოვნებაში პრიზები წლის საუკეთესო ფილმს, რეჟისორს, სცენარის ავტორს, ოპერატორს და ქალისა და მამაკაცის როლების შემსრულებლებს გადაეცემათ. გარდა ამისა, დამატებით გამოვლინდებიან წლის საუკეთესო თეატრმცოდნე და კინომცოდნე სტუდენტები. კონკურს-ფესტივალის საპრიზო ფონდი შეადგენს 3000 ლარს. გამარჯვებულებს ფულად პრემიებთან ერთად გადაეცემათ დიპლომები და „დებიუტის“ ბრინჯაოს სიმბოლოები, რომელთა ავტორია თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სტუდენტი ნინო თათარაშვილი, ხოლო დაამზადეს სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა.

„დებიუტს“ მხარს უჭერენ საქართველოს კულტურის სამინისტრო, ქალაქ თბილისის მერია, ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტი და კინემატოგრაფისტთა კავშირი, ხოლო საპრიზო ფონდისთვის საჭირო თანხებს მთლიანად ღვინო „ძველი თბილისი“ გაიღებს.

საგულისხმოა, რომ ამ საინტერესო წამოწყებაში თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს ხელოვნების სხვა უმაღლესი სასწავლებლებიც უდგანან მხარში, კერძოდ, სამხატვრო აკადემია და სახელმწიფო კონსერვატორია.

ფესტივალზე 14 სპექტაკლი და 45 ფილმი იქნება ნაჩვენები, პროგრამით ასევე გათვალისწინებულია უმაღლეს სასწავლებლებს შორის ოფიციალური ხელშეკრულებების გაფორმება, სემინარები, გამოფენები და გასართობი ღონისძიებები ღამის კლუბებში „ნოა-ნოასა“ და „ჯემში“.

„სტუდენტური ფესტივალი მნიშვნელოვანი მოვლენაა ყველა მისი მონაწილისთვის. ფესტივალი საოცრად ზრდის მოთხოვნილებას საკუთარი ნამუშევრის მიმართ. ფესტივალი გვიჩვენებს თეატრალური და კინო ფაკულტეტების მთელი წლის მოღვაწეობის საერთო დონეს, იგი დღესასწაულიც არის და დღესასწაულის გარეშე არ არსებობს ხელოვნება“, – გაგვიზიარა განწყობა თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის რექტორმა **გიგა ლორთქიფანიძემ.**

„დებიუტი“ დღეს გაიხსნება გასართობ ცენტრ ბერიკონში, ხოლო საზეიმო დახურვას და დაჯილდოების ცერემონიალს 17 დეკემბერს კინოთეატრი „რუსთაველი“ უმასპინძლებს.

როგორც ორგანიზატორები აღნიშნავენ, წინ საინტერესო ერთი კვირა გველოდება, რომელიც უამრავ საინტერესო სიურპრიზს გვპირდება. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, „დებიუტს“ წარმატებები ვუსურვოთ და ვიმედოვნოთ, რომ გასული წლების მსგავსად ბრინჯაოს სიმბოლოები ამჯერადაც ჭეშმარიტად საუკეთესო ახალგაზრდა ხელოვანთა თაროებს დაამშვენებენ.

**სალომე ქოქიაშვილი,**
**შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი.**

## გვეხმაურებიან

# იყიდება ყველაფერი

**აღმაშფოთებელი და დამაფიქრებელია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული წერილი „ესა არა რაი არს, გარნა სახლი ღვთისა“...**

აღარც ღმერთის შიში, აღარც ისტორიული ძეგლების თაყვანისცემა და პატივისცემა, აღარც მიწის სიყვარული და მამულისადმი თავდადება... ვკარგავთ ყველაფერს და რაღაა ჩვენი ცხოვრება? გამოშიგნულ-გამოფიტული, უშინაარსო და ჰაერში გამოკიდებული ვრჩებით. აბა რას უნდა მიეწეროს ხელყოფა ისეთი ისტორიული ძეგლისა, როგორიც ანჩისხატი და მისი შემოგარენია, რომელიც უდიდეს ისტორიულ წარსულთან არის წილნაყარი და უდიდესი ისტორია აქვს.

ურიცხვ შემოსეულ მტერს გადაურჩა ჩვენი ძეგლები და ნუთუ ყველაფერი უნდა უარვყოთ დღეს? ახლის მაძებარი კი, ის, ვინც ძველს, წარსულს ივიწყებს, ჰაერში გამოკიდებული რჩება! ნუ ხელვყოფთ ჩვენს ძეგლებს, ნუ დავაკნინებთ, კი არ მოვაკლოთ, მივუმატოთ და გავაკეთილშობილოთ, რადგან ისინია სახლი ღვთისა, რომლის მფარველობამაც იხსნა ჩვენი ერი და თუ ჩვენივე დაუდევრობით დავკნინდით, ნუღა მივუმატებთ ისედაც დამძიმებულ სულს კიდევ ახალ სამძიმარს. ნუ ვყიდით ფულზე ყველაფერს, სული უფრო დაგვიმძიმდება.

**ნიკოლოზ ჩქარელი,**
**პენსიონერი, ყოფილი ინჟინერი.**

## ლარის კურსი

**10 დეკემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| **ინგლისური გირვ.** | 1 | 3.3968 **ლარი** |
| **აშშ დოლარი** | 1 | 1.7700 **ლარი** |
| **ევრო** | 1 | 2.3555 **ლარი** |
| **რუსული რუბლი** | 1 | 0.0631 **ლარი.** |

უახლოესი მეგობრები გრიგოლ ბოკუჩავა, ამირან გაბისონია, ლევან თურმანიძე, ნიკოლოზ დანგაძე, შალვა ზარანდია, გიორგი ზიბზიბაძე, ბელა მაყაშვილი, იური მეიშვილი, ზურაბ ბერიშვილი, გურამ ღოღობერიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ზურამ დადიანი
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო სამძიმარს უცხადებს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ბატონ თემურ ლორთქიფანიძეს სიმამრის, აფხაზეთის დამსახურებული იურისტის
დავით მანაგაძის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს უზენაესი სასამართლო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლის
დავით მანაგაძის
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

შპს „პოულტრი ჯორჯია“ „კოდას“ კოლექტივი სამძიმარს უცხადებს ლილოს მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორს მირზა ლობჟანიძეს დედის
ქენია ლობჟანიძის
გარდაცვალების გამო.

## ხსოვნა

### ოქროპირ გოგიბერიძე



გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ექიმი, პედაგოგი და მეცნიერი, სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი **ოქროპირ გოგიბერიძე.**

ოქროპირ გოგიბერიძე დაიბადა 1927 წელს ხაშურში, მოსამსახურის ოჯახში. წარჩინებით დაამთავრა რკინიგზის მე-16 საშუალო სკოლა. 1945 წელს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები. ომი ახალი დამთავრებული იყო და რადგან სამკურნალო ფაკულტეტი ყველა მსურველს ვერ იტევდა, ამიტომ მას პედიატრიულ ფაკულტეტზე მოუწია საბუთების შეტანა. მაგრამ როდესაც ოთხივე საგანში ფრიადები დაიმსახურა, რექტორის, პროფესორ კონსტანტინე ერისთავის ბრძანებით, სამკურნალო ფაკულტეტზე გადაიყვანეს. ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ იგი განაწილებით მიდის რუსეთში სამხედრო ექიმად. ხუთი წლის შემდეგ ბრუნდება თბილისში და სწავლას აგრძელებს ასპირანტურაში თერაპიულ კათედრაზე შინაგანი სნეულებების განხრით, პროფესორ კონსტანტინე ვირსალაძის ხელმძღვანელობით. ხოლო როდესაც პროფესორ კ. ვირსალაძის უშუალო ინიციატივით იქმნება რესპუბლიკური გასტროენტეროლოგიური განყოფილება, იგი ამ განყოფილების გამგედ ინიშნება.

1964 წელს ო. გოგიბერიძე წარმატებით იცავს დისერტაციას თემაზე: „კუჭუკანა ჯირკვლის ფუნქციური მდგომარეობა წყლულოვანი დაავადების დროს“. შემდეგ შინაგან სნეულებათა კათედრის ასისტენტია, ხოლო 1973 წელს ირჩევენ სუბორდინატორთა თერაპიის კათედრის დოცენტად, სადაც მუშაობდა 1980 წლამდე. 1980 წლიდან იყო ჯერ კლინიკური ენდოკრინოლოგიის კურსის ხელმძღვანელი, ხოლო 1983-2001 წლებში – კათედრის გამგე.

პროფესორი ოქროპირ გოგიბერიძე იყო საქართველოს სამედიცინო ბიოლოგიური აკადემიის აკადემიკოსი.

ბატონი ოქროპირი იყო გულისხმიერი მკურნალი, გამობრძმედილი კლინიცისტი, შესანიშნავი პედაგოგი. მან დიდი წვლილი შეიტანა აგრეთვე საქართველოს მოსახლეობის სამედიცინო განათლებაში. ის იყო სიცოცხლის მოყვარული, პოეტური ბუნების ადამიანი. მისი იუმორით სავსე ლექსები ხშირად ამშვენებდა ექიმთა თავყრილობებს. მისი ოპტიმიზმი და მომავლისადმი რწმენა გადაეცემოდა პაციენტებს, კოლეგებს და მოსწავლეებს. ბატონი ოქროპირი იყო ლიტერატურის, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის, საქართველოს ისტორიის კარგი მცოდნე. მას გამძაფრებული ჰქონდა მოვალეობის გრძნობა, სათაკილოდ მიაჩნდა სიადვილისკენ ლტოლვა. ის ამბობდა: „ადამიანმა უნდა შეიძლოს ტანჯვის ფასად მოიპოვოს ღირებული, რადგან ეს არის ძირითადი არსი და გამართლება ჩვენი ცხოვრებისა“.

ბატონმა ოქროპირმა ღირსეულად განვლო ცხოვრება და დაიმკვიდრა ადგილი ქართული მედიცინის ისტორიაში.

**ვაჟა ივერიელის სახელობის საქართველოს ენდოკრინოლოგთა საზოგადოება; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ენდოკრინოლოგიის დეპარტამენტი.**

### კონსტანტინე გიორგაძე



გარდაიცვალა **კონსტანტინე (კუკური) ლევანის ძე გიორგაძე.** იგი დაიბადა 1923 წელს თბილისში. 1946 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტი. 1946-1953 წლებში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კათედრის უფროს ლაბორანტად. 1953-1955 წლებში განაგრძობდა სწავლას ასპირანტურაში. 1955 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რენტგენოლოგიის და რადიოლოგიის კათედრაზე ასისტენტად, დოცენტად, პროფესორად. 1958 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1967 წელს – სადოქტორო დისერტაცია. 1973 წლიდან 1996 წლამდე იყო ამავე კათედრის გამგე. 1996 წლიდან – კათედრის პროფესორი.

კ. გიორგაძე იყო საქართველოს სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, რენტგენოლოგთა და რადიოლოგთა ასოციაციის საპატიო პრეზიდენტი. დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით.

**თსსუ რექტორატი;**
**სხივური დიაგნოსტიკის და სხივური თერაპიის კათედრა.**

მანანა და დემურ მიქაძეები ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სიძე და ქვისლი
ზურაბ რუსია
დაკრძალვა 12 XII, 13 სთ. დაბა სურამში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამედიცინო რადიოლოგიის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართული რენტგენ-რადიოლოგიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ღვაწლმოსილი ექიმი და მეცნიერი, პროფესორი
კონსტანტინე გიორგაძე
და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

საქართველოს რადიოლოგთა ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ასოციაციის საპატიო პრეზიდენტი, ქართული რადიოლოგიური სკოლის ერთ-ერთი დამფუძნებელი და თვალსაჩინო წარმომადგენელი, პროფესორი
კონსტანტინე გიორგაძე
და გულწრფელ სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

საქართველოს პარლამენტის აპარატის საკადრო საკითხთა დეპარტამენტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე დეპარტამენტის თანამშრომლის ლია უჯმაჯურიძის მამა
გივი უჯმაჯურიძე
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ცისანა ჩიხლაძე და ოთარ კიკნაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
გივი უჯმაჯურიძე
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შპს „გეო-ტეკისა“ და სნსკ-სამშენებლო კომპანიის თანამშრომლები მწუხარებას გამოთქვამენ ვატო სულაბერიძის დედის
ნატა ზვიმრაძის
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შპს „გეო-ტეკისა“ და „სნსკ-სამშენებლო კომპანიის“ თანამშრომლები მწუხარებას გამოთქვამენ ბადრი ლებანიძის მეუღლის
ქეთევან სიხარულიძის
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გივი, ალიკო, თამაზ, თენგიზ, რეზო ცქიტიშვილები, ვანიკო ვარაზაშვილი ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ თემურ მაღლაკელიძეს შვილის
გიორგის (ბორას)
ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

თბილისის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები იუწყებიან, რომ უნივერსიტეტის პროფესორს ანზორ ერქომაიშვილს გარდაეცვალა დედა
ეთერ გორდელაძე-ერქომაიშვილი
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## დღის კალენდარი 10 დეკემბრისთვის

ამოდის 07.17, ჩადის 16.28 (ამოდის 13.17, ჩადის 00.24

წლის 344-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 22 დღე.

### საეკლესიო კალენდარი

**ხსენება დიდისა მოწამისა, წმიდა იაკობ სპარსისა (421); ღირსთა მამათა რომანოზ სასწაულთმოქმედისა და პალადისა (VI-VII); 17 მონაზვნისა ინდოეთში წამებულთა.**

### დაიბადნენ:

**1804 – კარლ გუსტავ იაკობი,** გერმანელი მათემატიკოსი, ელიფსურ ფუნქციათა თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, გარდაიცვალა 1851 წელს.

**1821 – ნიკოლაი ნეკრასოვი,** რუსი პოეტი, გარდაიცვალა 1878 წელს.

**1870 – ადოლფ ლოოსი (ლოზი),** ავსტრიელი არქიტექტორი, გარდაიცვალა 1933 წელს.

**1896 – შოთა აღსაბაძე,** თეატრალური რეჟისორი, გარდაიცვალა 1966 წელს.

**1891 – ნელი ზაქსი,** გერმანელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი, გარდაიცვალა 1970 წელს.

**1908 – ოლივიე ეჟენ მესიანი,** ფრანგი კომპოზიტორი, ორღანისტი, პედაგოგი. გარდაიცვალა 1992 წელს.

**1924 – ხუტა ბერულავა, პოეტი,** მწერალი.

**1963 – გიორგი ბრეგვაძე,** გაზეთ „ალიას“ გამომცემელი და მთავარი რედაქტორი.

### გარდაიცვალნენ:

**1618 – ჯულიო კაჩინი,** იტალიელი კომპოზიტორი, მომღერალი, ვოკალური ხელოვნების თეორეტიკოსი.

**1831 – თომას იოჰან ზეებეკი,** გერმანელი ფიზიკოსი. აღმოაჩინა თერმოელექტრული ეფექტი (ზეებეკის ეფექტი).

**1865 – ლეოპოლდ I,** ბელგიის მეფე.

**1884 – ჟიულ-ბასტიენ ლეპაჟი,** ფრანგი ფერმწერი.

**1896 – ალფრედ ბერნჰარდ ნობელი,** შვედი გამომგონებელი, ქიმიკოსი, ინჟინერი, ნობელის პრემიის დამფუძნებელი.

**1893 – ალექსანდრე ყაზბეგი,** მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

### მოვლენები:

**1068** – თურქ-სელჩუკები ალფ-არსლანის მეთაურობით მეორედ შემოიჭრნენ საქართველოში.

**1582** – საფრანგეთში შემოიღეს გრიგორიანული კალენდარი.

**1799** – საფრანგეთში შემოიღეს მეტრული სისტემა.

**1817** – მისისიპი აშშ-ს მე-20 შტატი გახდა.

**1845** – შოტლანდიელმა ინჟინერმა რობერტ ტომსონმა დააპატენტა პნევმატური საბურავი.

**1848** – საფრანგეთის პრეზიდენტად აირჩიეს ლუი ბონაპარტი.

**1898** – დასრულდა ესპანეთ-ამერიკის ომი.

**1948** – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაცია.

**1997** – ყაზახეთის დედაქალაქი გახდა ქ. აკმოლა (1998 წლიდან – ასტანა).

**ყოველი წლის 10 დეკემბერს** – ალფრედ ნობელის გარდაცვალების დღეს სტოკჰოლმსა და ოსლოში იმართება ნობელის პრემიის გადაცემის საზეიმო ცერემონიალი.

**1901** – პირველად გაიმართა ნობელის პრემიების გადაცემის ცერემონია. ამ დღეს ნორვეგიის მეფემ პრემია მშვიდობისათვის გადასცა შვეიცარიელ ჟან დიუნანსა და ფრანგ ფრედერიკ პასს, ხოლო შვეციის მეფემ – ფიზიკოს კონრად რენტგენს (გერმანია), ქიმიკოს იაკობ ვანტ-გოფს (ჰოლანდია), მიკრობიოლოგ ადოლფ ბერინგსა (გერმანია) და მწერალ ფრანსუა სიული-პრიუდომს.

**1903** – ნობელის პრემია ფიზიკის დარგში მიენიჭა პიერ-მარი კიურის.

**1904** – რუს ფიზიოლოგს ივანე პავლოვს ნობელის პრემია მიენიჭა.

**1906** – ამერიკის პრეზიდენტს თეოდორ რუზველტს მშვიდობის ნობელის პრემია მიენიჭა.

**1907** – რედიარდ კიპლინგს ლიტერატურის დარგში ნობელის პრემია მიენიჭა.

**1919** – აშშ-ს პრეზიდენტს ვუდრო ვილსონს მშვიდობის ნობელის პრემია მიენიჭა.

**1922** – ფრიტიოფ ნანსენს, ნილს ბორს და ალბერტ აინშტაინს ნობელის პრემია მიენიჭათ.

**1925** – ჯორჯ ბერნარდ შოუს ლიტერატურის დარგში ნობელის პრემია მიენიჭა.

**1994** – იცხაკ რაბინს, შიმონ პერესსა და იასირ არაფატს მშვიდობის ნობელის პრემია მიენიჭათ.

### ღირსსახსოვარი დღეები:

**ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე**

**ნობელის დღე.**

**ტაილანდი – კონსტიტუციის დღე.**

**ანგოლა – მუშათა პარტიის დღე.**

**მედია-ნიუსი.**

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი
რუსუდან ლორთქიფანიძე.

ინდექსი 66434, მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge
ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika